ქართველთა ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№348 (406) 26 იანვარი – 2 თებერვალი 2016 წელი | სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო | 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

სერგი სჯაია: ახავაი დო ვავა უვიცობავ, ქედდადრეკილთა აზროვნებავ, უხვალდღეობისკენ თავანყვეტილო ფეხანყობავ და

გვ.4

ჯოგურო თვითკმაყოფილებავ!..

ალექსანდრე ჭაჭია: რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რომ აღიაროს, მერე სად მივდივართ?

გვ.2

იგორ კეკელია — ედუარდ აიჰვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში დაცული ცნობები სამეგრელოს შესახებ

რედუტ-კალედან უკან გამობრუნებული აიჰვალდი სადგურ აბაშიდან 12 ვერსის გავლის შემდეგ ცხენისწყლის ძველ კალაპოტთან მისულა, შემდეგ კი ახალ კალაპოტზე ბორანით გადასულა და გუბისწყლის სადგურის გავლით გზა გაუგრძელებია ქუთაისისკენ.

გვ.8

ალექსანდრე ჭოლსტოი — მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

გვ.3

თემურ ქორიძე — რა ხდებოდა რუსთაველის გამზირსა და მთავრობის სახლში 20 წლის წინათ

გვ.6

კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია): რენესანსი ლიტერატურაში

...ცხოვრება რდვევაა, სიკვდილი ძლიერია. გენიოსი და სულელი ერთნაირად კვდებიან. ალექსანდრე მაკედონელი და ჰეროსტრატე მარადისობის წინაშე არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან...

გვ.3

წიგნი დიდ საფიქრალზე

...ჩვენს სამშობლოს ზოგი დღესაც „ვრასტანს“ ეძახის, სხვები კი „გრუზიას“, „ჯორჯიას“ და „გურჯისტანს“...

გვ.5

ალ. კაკულია — სვეტიცხოვლის ჩეხის წიგნი საქართველოზე

გვ.9

რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რომ აღიაროს, მერე სად მივდივართ?

დაიბეჭდა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ №43 (633), 23-29 ოქტომბერი 2006 წელი

– ბატონო ალექსანდრე, რას უპირებს რუსეთი საქართველოს?

– ვითარება ძალიან მძიმეა. რაც ხდება, ყველანი ვხედავთ... მიმდინარეობს ამერიკული ტიპის სანქციების გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, რაც ეკონომიკურ ბლოკადას ნიშნავს. ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ვშიშობდი, რომ რუსეთი ამას მოიმოქმედებდა და მოვუწოდებდი ხელისუფლებას, აქტიურ პოლიტიკაზე გადასულიყო. ამჟამად ვითარება გაცილებით მძიმეა. თუ ერთი თვის წინ რუსეთთან ორი ძირითადი პრობლემა გვქონდა მოსაგვარებელი – ტერიტორიების დაბრუნების პროცესში მისი დაინტერესებული მონაწილეობა და რუსეთის ბაზრის გახსნა – დღეს ურთიერთობა ელემენტარული სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენით უნდა დავიწყოთ.

რუსეთის მიმართ შევარდნაძემ ისეთი პოლიტიკა აირჩია, რომ ჩვენი დიდი მეზობელი სეპარატისტების მხარდამჭერად აქცია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რუსეთი არ დაუშვებს ერთიან საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზების განლაგებას, რადგან ეს თავად რუსეთს უქმნის დიდ საფრთხეს.

– საკაშვილის და პუტინის შეხვედრაზე რუსეთის ლიდერმა ნატოში არშესვლის სანაცვლოდ ხომ არ შესთავაზა საკაშვილს აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო? აკი, ეს ახლახან განაცხადა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ...

– მათი პირველი შეხვედრა ძალზე ოპტიმისტურად დასრულდა, ამის შემდეგ საკაშვილს საჯაროდ არ განუცხადებია ნატოში შესვლის აუცილებლობის თაობაზე. პირობაც დადო, რომ მისი პოლიტიკა მეგობრული იქნებოდა და საქართველოდან რუსეთს არანაირი საფრთხე არ დაემუქრებოდა. რუსეთმა ეს განცხადება ნატოში შესვლაზე უარის თქმად მიიღო. მახსოვს, ამ შეხვედრის შედეგებმა მაშინ როგორ შეაშფოთა სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები და მათი მხარდამჭერები რუსეთის პოლიტიკურ წრეებში. დარწმუნებული ვარ, რუსეთი იმ დროს მზად იყო, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებოდა, მაგრამ აქ ამერიკის პოზიციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა, საქართველოს ხელისუფლებას თავიანთი პრეტენზიები წაუყენეს და სააკაშვილმა ამერიკის წინაშე უკან დაიხია, ნატოში შესვლა კვლავ პრიორიტეტული გახდა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ორ ქვეყანას შორის ჩარჩოხელშეკრულების გაფორმებას, სადაც ჩაიწერება, რომ საქართველო თავის ტერიტორიაზე არ განალაგებს უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზებს.

– ამ შემთხვევაში საქართველოსაც ხომ სჭირდება გარანტია, რომ იგი არ გახდება რუსეთის მხრიდან მორიგი სამხედრო აგრესიის მსხვერპლი? რუსეთი ამ გარანტიას არ იძლევა, იქნებ ამიტომაც მიისწრაფვის საქართველო დასავლეთისკენ, რომ ნატოს სამხედრო ბლოკი ეგულება რუსეთისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებად?

– ძალიან მეშინია, ასეთი განწყობით 1921 წლის დროინდელ ვითარებას არ დავუბრუნდეთ!

მაშინ ჩვენი **„მუდმივი მოკავშირეები“** ინგლისი და გერმანია ისე წავიდნენ საქართველოდან, რომ თავიანთი ქართველი ცოლებიც აქ დატოვეს და პირისპირ შეგვატოვეს გაავებულ საბჭოთა რუსეთს, რომელსაც მაშინაც არ სურდა საქართველოში უცხო ქვეყნების სამხედრო ძალების განლაგება.

მოკლედ, ახლა ისეთი გზები უნდა გამოვნახოთ, რომ ახალი **„1921 წელი“** არ დაგვატყდეს თავს!

– ეგებ ნატო გამოადგეს საქართველოს ე.წ. „დამცავი ქოლგის“ როლში?

– ძალიან მაკვირვებს ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრებული ასეთი მცდარი წარმოდგენა... ვერაფრით გამიგია, რატომ სურს ქართულ პოლიტიკურ ელიტას გამოსვლა ერთი ქვეყნის გავლენის სფეროდან მხოლოდ იმიტომ, რომ მეორის გავლენის სფეროში შევიდეს?

– ნდობა აღარ არის რუსეთის მიმართ და, ალბათ, იმიტომ. მან ხომ 220 წლის მანძილზე არაერთხელ მოატყუა საქართველო?

– ფინეთიც რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, მაგრამ ლენინისგან მიიღო დამოუკიდებლობა. 1939 წელს ომიც გადაიტანა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ, ამის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის გულის გასახეთქად ნატოს ბლოკში არ გაერთიანებულა, პირიქით, რუსეთის მიმართ ხაზგასმით მეგობრულ პოლიტიკას ატარებდა. სანაცვლოდ ის მიიღო, რომ ფინეთის პროდუქციას, რომელიც ევროპაში არ იყიდებოდა, რუსეთმა თავისი დიდი ბაზარი დაუთმო. ასე გახდა ფინეთი თავისი ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ მდიდარი ქვეყანა. აქედან ჩვენ, ქართველებმაც, გარკვეული დასკვნები უნდა გავაკეთოთ. პირდაპირ გეტყვით: თუ ასე გაგრძელდა, დავკარგავთ აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს და თქმა იმისა, რომ მსოფლიო ამას არ აღიარებს, სისულელეა! ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, მთავარია – ეს ტერიტორიები ჩვენი იქნება თუ არა! მარტო რუსეთმა რომ აღიაროს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ეს სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ ჩვენ დავკარგოთ. შემდეგ გააფორმებს სამხედრო-პოლიტიკურ ხელშეკრულებას სოხუმის და ცხინვალის ლიდერებთან და იქ ჯარს შეიყვანს. მერე სად მივდივართ?

კვიპროსის ნახევარი მხოლოდ თურქეთმა აღიარა, სხვამ არავინ, გავიდა უკვე 35 წელი, გეკითხებით, რა დააკლეს ამით თურქეთს? ვერაფერი. კვიპროსელი ბერძნებისათვის კი ის, ფაქტობრივად, დაკარგულია. საქართველოს გულისათვის რუსეთს სანქციებს არავინ დაუწესებს და, მითუმეტეს, ომს არ გამოუცხადებს.

მომბეზრდა იმ დემაგოგიის მოსმენა, რომ დასავლეთი ჩვენს დასაცავად რუსეთს დაუპირისპირდება... ამერიკას საქართველო მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობაში კოზირად სჭირდება, სხვა არაფრისთვის. ნათლად გამოჩნდა **– როგორც კი ამერიკას რუსეთის მხარდაჭერა დასჭირდა ჩრდილოეთ კორეის საკითხში, მაშინვე „ქართულ კოზირში“ გადაცვალა ის.**

– ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას ვაცხადებდი, რომ თუ რუსეთის მიმართ პოლიტიკას არ შევცვლიდით, იგი აფხაზეთში პასპორტიზაციას განახორციელებდა. მპასუხობდნენ, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამას არ დაუშვებს. დღეს ეს უკვე მომხდარი ფაქტია, გეკითხებით, რა მოიმოქმედა საერთაშორისო საზოგადოებამ? რუსეთს ვინმე დაუპირისპირდა?

აი, ასეთმა მატრაბაზობამ და ბრიყვული ილუზიების ტყვეობაში ყოფნამ დაღუპა საქართველო.

დღესაც თავს ვიტყუებთ, რომ ამერიკელები თუ ევროპელები შუამავლის როლს იკისრებენ და ჩვენს ინტერესებს დაიცავენ. არავითარ შუამავლობას რუსეთი არ დაუშვებს. მხოლოდ ორმხრივი დიალოგია შესაძლებელი, ისიც ჯერ არაფორმალური, არაოფიციალური სქემების ამოქმედებით, ვინაიდან პრეზიდენტების შეხვედრაც ამ ეტაპზე შეუძლებელია.

– პუტინის პირად განწყობაზე რას გვეტყვით?

– პუტინის გასათვალისწინებელი თვისებაა ის, რომ მას დიდხანს შეუძლია მოთმენა, მაგრამ შემდეგ, თუ ყოველივე ზღვარს გადასცილდა, მისი განაწყენება ძვირად დაუჯდება საქართველოს.

– რაში ხედავთ გამოსავალს?

– არცერთ ერს პოსტსაბჭოთა სივრცეში არ ჰქონია რუსეთთან თბილი ურთიერთობის დამყარების ისეთი პოტენციალი, როგორიც საქართველოს. არცერთ ერს ამხელა გავლენა არ ჰქონია რუსეთის პოლიტიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ელიტაზე, როგორიც ქართველებს, და ეს ყველაფერი ჩვენი ბედოვლათობით **„ქარს გავატანეთ!“** ამის აღდგენაა საჭირო. რუსეთის ამჟამინდელ პოლიტიკურ ელიტაში ჯერ კიდევ არის ხალხი, ვისთვისაც უცხო არა ვართ და თუ ამით დღეს არ ვისარგებლეთ, ხვალ რუსეთში მოვა სულ სხვა პოლიტიკური ელიტა, რომლისთვისაც საქართველო და ქართველები სრულიად უცხონი იქნებიან და ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენა უკვე შეუძლებელი იქნება!

ესაუბრა ბორის ბოხუა

ანზორ მაისურაძე: ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში, თბილისში, ჩემი 102 კოლეგა მუშაობს

იყო თუ არა მოულოდნელი ახალი წლის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა? – “საქართველო და მსოფლიოს” თხოვნით ამ შეკითხვას უშიშროების გენერალმაიორი ანზორ მაისურაძე უპასუხებს.

– ჩვენი თაობის ხალხს კარგად მოეხსენება, რომ საკადრო ცვლილებები საქართველოში, მით უფრო, უმაღლესი თანამდებობის პირების, არ ხდებოდა მოსკოვთან შეთანხმების გარეშე.

დღეს ასეთი დონის ყველა საკადრო ცვლილება შეთანხმებულია ვაშინგტონთან. შტატების თანხმობის გარეშე ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობიდან ვერ გადადგებოდა.

– ისევე, როგორც თავის დროზე ვერ გახდებოდა პრემიერი თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და შესაბამისი სპეცსამსახურების “უზენაესი” თანხმობის გარეშე.

– რა თქმა უნდა! დღეს ჩვენთან მხოლოდ მიამიტ ადამიანებს თუ სჯერათ, რომ კადრების გადაადგილების, დაწინაურების ან გათავისუფლების საკითხები პიროვნების დამსახურებისა და ხალხის ნების გათვალისწინებით ხდება.

პრინციპი იგივეა, რაც საბჭოთა ნომენკლატურის პირობებში იყო, აზიმუტია ოღონდ შეცვლილი – ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენაა გადანაცვლებული, სტრუქტურული პრინციპი არ შეცვლილა.

თქვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რამდენიმე წლის წინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ფრანგი ტელეჟურნალისტების ფილმის საგაზეთო ვარიანტი, რომელშიც უტყუარი ფაქტებით იყო წარმოჩენილი, როგორ ამოათრიეს აშშ-ის სპეცსამსახურებმა საზოგადოებრივ სარბიელზე ისეთი არარაობანი, როგორებიც იყვნენ გიგა ბოკერია და **“ვარდების რევოლუციის”** ის აქტივისტები, რომლებიც შემდეგ ქვეყნის სათავეში მოექცნენ და ახლა დამსახურებულ სასჯელს მატროსოვის ქუჩაზე იხდიან.

– როცა აღარ დასჭირდათ, მაკომპრომენტირებელი “მოღვაწეობის” გამო მოიცილეს.

– დიახ, ასე იყო. ღარიბაშვილის საკითხი კი განსხვავებულია. დასავლეთის კურსის უცვლელობის მიუხედავად, რომელსაც საქართველოს პრემიერი ერთგულებდა, მან თავისი ისეთი პოზიციაც გამოხატა, რომელიც ცრულიბერალიზმის პრინციპების საწინააღმდეგოდ და ეროვნული იდენტურობის დაცვისკენ იყო მიმართული. ხომ გახსოვთ, თუნდაც **“ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა”**, ან ვლადიმერ პუტინის მიერ საქართველოსა და რუსეთს შორის უვიზო მიმოსვლის შესაძლო პერსპექტივის პროგრესულ ნაბიჯად შეფასება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მთელმა ევროპამ დააწესა ჩვენს ქვეყანასთან ვიზალიბერალიზაცია და, რუსეთიც ასე რომ მოიქცეს, ამაში არაფერია განსაკუთრებული.

ვაშინგტონს საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მუდმივად მყეფარი სააკაშვილისნაირი კაცი აძლევს ხელს. ამ ყეფამ რა შედეგიც გამოიღო, ყველანი მოწმენი ვართ – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას უფრო და უფრო დავშორდით.

რუსეთთან ურთიერთობის გართულება ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ ოცნების დაკარგვას. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვერ ვიჯერებ, რომ შტატები ამ ჩვენი უმთავრესი სატკივარის მოგვარებით იყოს დაინტერესებული: ვაშინგტონს ამ პრობლემის არსებობა უფრო აძლევს ხელს, ვიდრე მისი გადაწყვეტა, რადგან მას სჭირდება ტერიტორიებწართმეული საქართველო, როგორც ჩვენი მუდმივი გამღიზიანებელი ფაქტორი რუსეთთან დაპირისპირებაში.

საქმე ისაა, რომ ბატონი ღარიბაშვილი უფრო ქართული, უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელი იყო.

ამიტომაც შეცვალეს.

იქნებ გახსოვთ, კვირიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნამდე, კარგა ხანს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად შეისწავლეს იგი, შესაბამისი მუშაობა ჩაატარეს მასთან და, როგორც ჩანს, ეს კაცი უფრო თავისად მიიჩნიეს, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი. აქედან გამომდინარე, მიიღეს კიდეც ის გადაწყვეტილება, რომლის მოწმენიც გავხდით: საქართველოს პრემიერ-მინისტრი **“საკუთარი ნებით”** გადადგა. იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო.

ხოლო მის არგუმენტებს, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ პრემიერ-მინისტრის გადადგომა დემოკრატიის პრინციპების გამყარებისთვის იყო საჭიროო, მაინცდამაინც სარწმუნოდ ვერ მივიჩნევ.

რაღაც ხომ უნდა ეთქვა და თქვა კიდეც, მაგრამ თქვენ ამ განმარტებით გაიგეთ, რატომ წავიდა?

– ვერა, ვერ გავიგე.

– მეც ვერ გავიგე და ვეჭვობ, ვინმემ ირწმუნა, რომ მართლაც ამისთვის წავიდა პრემიერობიდან. ღარიბაშვილის წასვლაზე იმუშავა იმ ხალხმა, რომელიც **“დასავლურ ღირებულებებს”** თავს გვახვევს (თუმცა დასავლურ ღირებულებებში ბევრი კარგიცაა), ისეთ ღირებულებებს, რომლებიც ჩვენთვის, ჩვენი ეროვნული მენტალობისთვის მიუღებელია.

– ვის გულისხმობთ?

– იმათ, ვინც პარლამენტში სხედან.

– სპეცსამსახურებს გამორიცხავთ?

– როგორ გეკადრებათ! სწორედ აშშ-ის სპეცსამსახურები მუშაობენ ყველაზე უკეთ. ჩემი ინფორმაციით, როგორც ვიცი, შეერთებული შტატების საელჩოში, თბილისში, ჩემი 102 კოლეგა მუშაობს. ისინი აკეთებენ იმ საქმეს, რომელიც დავალებული აქვთ და რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ემსახურება. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ უფრო და უფრო შეუძლებელი გახდეს საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება.

– ვინ აკეთებს ამას?

– 102 კაცი რომ ზის საქართველოში, ისინი აკეთებენ... და მათი უფროსები.

– კი მაგრამ, საქართველოში კონტრდაზვერვის სამსახური არ არსებობს?

– არსებობს, როგორ არა.

– არ უნდა იმუშაოს მათ გამოსავლენად ჩვენმა კონტრდაზვერვამ?

– ვერ იმუშავებს სტრატეგიული მოკავშირის წინააღმდეგ.

– აი, გერმანიაში კი სერიოზულად იმუშავეს და გახსოვთ, როგორი სკანდალი გამოიწვია კონტრდაზვერვის მიერ გამოვლენილმა ფარული მოსმენების, მიყურადების მასობრივმა ფაქტებმა გერმანიის სახელმწიფოს პირველი პირების მიმართ. მათ შორის ქალბატონი ანგელა მერკელიც იყო.

– ის გერმანიაა და სხვა წონა აქვს მსოფლიო პოლიტიკაში...

– საბჭოთა კავშირის პერიოდში თუ გამოგივლენიათ უცხო ქვეყნების ჯაშუშები?

– რამდენიც გნებავთ. მოსკოვიდან ვიღებდით სამსახურებრივ შეტყობინებას. შემდეგ **“ვმწყემსავდით”** და, როგორც კი დავრწმუნდებოდით ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ მათ საქმიანობაში, ვიღებდით შესაბამის ღონისძიებებს უშიშროების საკავშირო კომიტეტთან შეთანხმებით. მოგეხსენებათ, იმხანად სახელმწიფო უშიშროების ერთიანი სისტემა მოქმედებდა.

რას გეტყვით, იცით? მინდა, შევხვდე ამ ახალგაზრდა კაცს – ირაკლი ღარიბაშვილს, ხელი ჩამოვართვა და მადლობა ვუთხრა. ძალიან უჭირდა, უჭირდა იმის გამო, რომ ისეთი ადამიანები ჰყავდა შემოკრებილი ადგილობრივ ხელისუფლებაში თუ პრემიერის ადმინისტრაციაში, რომლებიც პირდაპირ თუ ფარულად ხელს უშლიდნენ.

იმასაც გეტყვით, რომ ბატონი ირაკლი ასეთ დადებით პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდებოდა, კარგი ოჯახი და კარგი მასწავლებლები რომ არ ჰყოლოდა.

ესაუბრა არმაზ სანებლიძე

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ – ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

ქართულ მსოფლგაგებაში არაბთა მოძრაობის იდეოლოგიური ნაკადები გაერთიანდნენ ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის იდებთან. ქართული კულტურის ოქროს ხანასა და, განსაკუთრებით, რუსთაველის **"ვეფხისტყაოსანში"** ჩანს ნიშნები იმ იდეოლოგიებისა, რომელთა სოციალური არე ჩვენ მეთოდურად შემოვფარგლეთ. ნეოპლატონიზმი ალექსანდრიიდან მომდინარეობს. მისი მამამთავარი იყო ალექსანდრიელი წარმართი ამონიოს საკა; ნეოპლატონიზმის წარმომადგენლები იყვნენ აგრეთვე პლოტინი და მოგვიანებით დიონისე არეოპაგელი, რომელიც ქრისტიანთა შორის დიდ პატივისცემას იმსახურებდა. თეოლოგი ენოსი, ალექსანდრიელი პიეროკლესი, ეპისკოპოსი ნემესიოსი, რომლის ნაწარმოები **"ბუნებისათვის კაცისა"** ქართულად თარგმნა იოანე პეტრიწონელმა, ქადაგებდნენ ნეოპლატონიზმს. ეფრემ მცირე, არსენ ბერი, გიორგი ჭყონდიდელი, არსენ იყალთოელი აყალიბებდნენ რა ქართულ მსოფლმხედველობას, ავრცელებდნენ ნეოპლატონიზმს მესიანიზმის, ბუდიზმისა და ზოროასტრიზმის იდეოლოგიათა შერევით, რუსთაველის **"ვეფხისტყაოსანი"** სწორედ ამ კულტურულ-იდეოლოგიური გარემოს განსახიერებას იძლევა. როგორც პოემის საერთო კომპოზიცია, ისე მისი იდეოლოგია ნათელი და გარკვეული ხასიათისაა. ქართული მეტყველების მდიდარ ფორმაში მოქცეულია იმდროინდელი მსოფლიოს ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური და ფილოსოფიურ-მორალური შეხედულებანი. გაიხსენოთ თუნდაც ავთანდილის ანდერძი როსტევან მეფისადმი, რომელიც იწყება ფილოსოფოს პლატონის სიტყვებით: **"სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა"** (787), ამიტომ ავთანდილი გულახდილად აუწყებს მეფეს თავისი თავგანწირვის მიზეზს – მომმისადმი სიყვარულს, ავთანდილი იმოწმებს მოციქულებს, რომელნიც ამტკიცებენ **"სიყვარული აგვამაღლებს"**, ფილოსოფოს პლატონისა და მოციქულების აზრებიდან ავთანდილი გადადის ადამიანის ტანჯვისა და ბედის ურთიერთობის საკითხზე. რუსთაველი იძლევა სტოიციზმის ფილოსოფიას: მწარე ტკივილების ატანა, **"მოჭირვება, ჭირთა თმენა"**, – აი, ადამიანის ხვედრი წუთისოფელში. პოეტის აზრით, **"არას გაძლევს სამძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა"** (793); ადამიანს არ ძალუძს **"განგების გარდავლენა"**. ბრძოლა და წინააღმდეგობის დაძლევა უნდა იყოს ადამიანის მიზანი. წუთისოფლად ყველაფერი წარმავალია და ადამიანის ცხოვრებაც მიქრის და მიედინება. ცხოვრება ლამაზია, მაგრამ უნაკლო მაინც არ არის: **"რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!"** (36), **"ვაი, საწუთრო, სიცრუით თავი სატანას ადარე!"** (1209). რუსთაველი, ადამიანის შემოქმედებასა და ბრძოლის სილამაზეს აფასებს, და არა სიცოცხლის ფიზიოლოგიურ გრძნობას და მეშჩანურ კეთილდღეობას.

ცხოვრება რღვევაა, სიკვდილი ძლიერია. გენიოსი და სულელი ერთნაირად კვდებიან. ალექსანდრე მაკედონელი და ჰეროსტრატე მარადისობის წინაშე არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

"ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;

მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი;

ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!" (798).

სილამაზე ბრძოლაშია. ლამაზი სიკვდილი უკეთესია, უფრო მეტი დირებულებისაა, ვიდრე ნაზრახი სიცოცხლე. რაინდული კულტურის მთელი ფსიქოლოგია ზემოხსენებულ სიტყვებშია გამოსახული; აზიისა და ევროპის შუასაუკუნეები, ერთად აღებული, სიამოვნებით გაიმეორებენ რუსთაველის თქმას. ბრძოლის კულტი და ლამაზი სიკვდილი რაინდული კულტურის ცხოვრების აზრია. მაგრამ უნდა ითქვას, რუსთაველის გაგება ლამაზი სიკვდილისა მთლიანად გამოსახავს შუა საუკუნეების სურვილებსა და იდეალებს. ავთანდილისა და ტარიელის ხეტიალი განა ცოცხალი ილუსტრაცია არ არის ბრძოლის კულტისა და უშიშარი ცხოვრებისა? განა აქ ადამიანი ყოველ წუთს მზად არ არის მოკვდეს რომელიმე თინათინის ან ნესტანის გამოხედვისათვის? ჩვენი დროის ადამიანისათვის სილამაზისა და ბრძოლის გაგება სხვა სახისაა. ჩვენ დღეს ვერ ვიცოცხლებთ ავთანდილისა და ტარიელის მსგავსად. მინდორ-ველები, რომელთა თვალუწვდენელ არეში დათარეშობენ რუსთაველის გმირები, დღეს დაქსელილია რკინიგზებით და საერთაშორისო სამიმოსვლო გზებით. ცხოვრებას დღეს სხვა შინაარსი და სხვა სპეციფიკური ადამიანური სახე აქვს; რაც აღელვებდა რუსთაველის დროის ადამიანებს, ის დღეს ჩვენ თითქმის არ გვაწუხებს. მაგრამ ზოგადი, წუთისოფლური ხვედრი ადამიანისა, რომელსაც რუსთაველი გვისახავს, ჩვენი ხვედრიც არის. ბრძოლისა და სიკვდილის მიზეზები რუსთაველის დროს სხვა იყო და ჩვენს დროში სხვა არის – შინაარსი შეიცვალა სხვა მიზნებითა და იდეალებით, სხვა სურვილებით და განცდებით. ავთანდილი წერს მეფე როსტევანს თავის ანდერძში:

"მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,

შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი არას მქონები:

მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები" (801)

ავთანდილის სიტყვები მთელი ფორმულაა სოციალური ფსიქოლოგიისა: ადამიანი გრძნობს თავს საწყლად, შემთხვევის მონად; ადამიანები ერთმანეთთან მტკიცედ არ არიან დაკავშირებულნი; ცალკეული ადამიანი, ფსიქოლოგიურად მოწყვეტილი საკუთარ განცდას, სიხარულს და კოლექტივის რიტმს, შეშინებულია და რომანტიკულ გულაჩუყებასა და კეთილ სურვილებში, დალოცვასა და მოგონებებში ეძებს ხსნას.

რუსთაველის სწორად გაგებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის. რისი თქმა უნდოდა რუსთაველს, როცა ამბობდა **"მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები"**? ამის ახსნა-განმარტებას თვით რუსთაველი იძლევა ერთი სტრიქონის შემდეგ: **"მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები"**. რუსთაველი ეძებს პიროვნების ხსნის საშუალებას, მას სურს ადამიანის მე-ს განთავისუფლება დროულ-სივრცეული ტრაგედიისაგან. აქ იგივე ფსიქოლოგიაა გამოსახული, რაც სიტყვებში: **"რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია!"** (50). **"ვისრამიანში"**, რომელსაც რუსთაველი მშვენივრად იცნობდა, უფრო კონკრეტულადაა ნათქვამი შეგონება: **"გაიხარენ, სვი და ჭამე, გაეც რომე სახელი დაგრჩეს"**. იგივე **"ვისრამიანში"** სხვა ადგილას ნათქვამია: **"კაცისათვის უკეთესი არის სახელისა ძებნა"**. რუსთაველის ავთანდილიც **"სახელის ძებნაშია"**. მას სურს, რომ სიკვდილის შემდეგ კარგი მოგონება დარჩეს მისი ცხოვრებისა და პიროვნების შესახებ: **"მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები"**. ამ ოთხ სიტყვაში გადმოცემულია მწარე განცდები ადამიანისა, რომელიც ამჩნევს, რომ ცხოვრება ყოველგვარი დიდებით და სილამაზით წარმავალია. რუსთაველის ავთანდილი რომ მხოლოდ ამ ფსიქოლოგიურ განცდაზე ლაპარაკობს და არა როსტევან მეფის **"გასოციალისტებაზე"**. ეს ჩანს სიტყვებიდან: **"როცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებად, მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად"** (802). ავთანდილი ეუბნება როსტევანს: რაც მოგეწონოს შენ დაიტოვე, რაც არა და – გაეცი, ჩემი სახელის მოგონებისთვისო. სხვაგან რუსთაველი ამბობს: **"სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოვლისა მოსახვეჭელსა!"** (797). ყოველი მოსახვეჭელი ნივთია, მატერიაა, რომელიც ლპება, ფუჭდება; სახელი **"ზეისტორიული"** რამ არის, რჩება სამერმისოდ; ამიტომ ადამიანი უნდა ცდილობდეს კარგი სახელი დარჩეს ამ ქვეყნად.

ჰომეროსის, ალიგიერის, გოეთეს, ბაირონის ნაწერების მიხედვით შეიძლება სხვადასხვა ისტორიული ეპოქის, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურის დახასიათება, მაგრამ დიდ მწერალს, გარდა კონკრეტული ესთეტიკური ასახვისა, ხშირად აქვს ინტუიციისა და მიხვედრის ისეთი ხერხი, რომლის საშუალებითაც ირკვევა სულისა და ხასიათის ზოგადი დამახასიათებელი თვისებანი. **"ვეფხისტყაოსანი"** იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომელშიც გაბნეულია მრავალი საყურადღებო აზრი ცხოვრების, სიყვარულის, ადამიანობის, სიკეთისა და ბოროტების შესახებ. რუსთაველს აქვს ცხოვრების საკუთარი ფილოსოფია: დეტერმინიზმი, სტოიციზმი, სიყვარულის სიდიადე, გმირობა და რაინდობა. გარემოებისა და აზროვნების ურთიერთმიმართება, პოეზიისა და სიყვარულის რაობა – აი, თემატიკური გაგება რუსთაველის ფილოსოფიისა.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲙᲐᲞᲐᲜᲔᲚᲘ

(გაგრძელება იქნება)

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲡ

2012 წლის 21 ოქტომბერს ახალარჩეული პარლამენტის 147 წევრმა დადო ე.წ. ფიცი და ყველამ ერთად, კოლექტიურად (ერთდროულად) წარმოთქვა სიტყვა **"ვფიცავ"**. ეგრეთ წოდებული იმიტომ, რომ ამ ტექსტში სიტყვა **"ვფიცავ"** არ არის ნახსენები და მასში ჩაწერილია სიტყვა **"ვაცხადებ"**.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი, სიტყვები **"ვფიცავ"** და **"ვაცხადებ"** სინონიმები არ არის.

მაინტერესებს:

დადეს თუ არა პარლამენტის დარჩენილმა სამმა და ახალარჩეულმა ოთხმა წევრმა ე.წ. ფიცი?

და თუ არა, რატომ?

მესმის, რომ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პარლამენტარების მიერ ფიცის დადებას, მაგრამ რატომ გააკეთა ეს იმ 147 დეპუტატმა?

თუ გავითვალისწინებთ ე.წ. ფიცის შინაარსს, დეპუტატებს უნდა წარმოეთქვათ სიტყვა **"ვაცხადებ"** და არა **"ვფიცავ"**, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ტექსტი დეპუტატებს წინასწარ ჰქონდათ დარიგებული და ამის შესახებ მათ სხდომის წამყვანმაც შეახსენა. და, თუ პარლამენტარებმა წინ დადებული ერთი ფურცლის წაკითხვაც არ მოისურვეს ან, თუ წაიკითხეს და აზრი ვერ გამოიტანეს, შიგ რა წერია, მაშინ მათგან რა საკანონმდებლო შემოქმედებას უნდა ველოდოთ?

ცნობისთვის:

1. ლიტვის კონსტიტუციის 53-ე მუხლი მოითხოვს, რომ: **"სეიმის წევრი, რომელიც არ დადებს ფიცს კანონის შესაბამისად, ან ფიცს პირობითად დადებს, კარგავს სეიმის წევრის მანდატს".**

2. ისრაელის კონსტიტუცია: **"სხდომის თავმჯდომარის მიერ ფიცის დადების შემდეგ ის ხელახლა უკითხავს ფიცის ტექსტს ქნესეთის წევრს და პარლამენტის ყველა წევრი თანმიმდევრობით დგება და ამბობს სიტყვას "ვფიცავ".**

2015 წლის 28 ნოემბერს ტელეკომპანია **"რუსთავი-2"**-მა ჩაატარა გამოკითხვა თემაზე: **"იყო თუ არა ადეკვატური თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის – "სუ-24" ჩამოგდება?"**, გამოკითხულთა თითქმის 90%-მა დადებითი პასუხი გასცა. ამით **"რუსთავი 2"**-მა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ერთგულება მიხეილ სააკაშვილის იდეებისადმი.

მაგრამ ეს გამოკითხვა ისე ჩატარდა, რომ ტელემაყურებლებისათვის არავის აუხსნია რეალური ვითარება: დაარღვია თუ არა თურქეთის სახელმწიფო საზღვარი რუსულმა **"სუ-24"**-მა? ვის ტერიტორიაზე მოხდა ამ თვითმფრინავის დაზიანება და, თუ ეს მოხდა თურქეთის ტერიტორიაზე, მაშინ როგორ აღმოჩნდნენ მფრინავები და თვითმფრინავი სირიის ტერიტორიაზე, 4 კმ-ის დაშორებით თურქეთ-სირიის საზღვრიდან?

თვითმფრინავიდან კატაპულტით არ ამოვმხტარვარ, მაგრამ 400-500 კმ-ის სიჩქარით მფრინავი ხომალდიდან კი გადმოვმხტარვარ და ვიცი, რა მანძილით შორდება პარაშუტისტი მფრინავ ხომალდს და ეს მანძილი, პარაშუტისტის წონისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეადგენს არა უმეტეს 50 მეტრს. ინსტრუქციის თანახმად, მფრინავებმა დაზიანებული ხომალდი უნდა დატოვონ პირველივე წამებში.

დავუშვათ, რომ თვითმფრინავი ნამდვილად დაზიანდა თურქეთის ტერიტორიაზე, მაშინ როგორ აღმოჩნდა ის 4 კმ-ის დაშორებით თურქეთ-სირიის საზღვრიდან, რომლის დასაფარავად ხომალდს დასჭირდებოდა არანაკლებ 30 წამისა? ცეცხლმოდებული თვითმფრინავი კი ჰაერში ნახევარი წუთი ვერ იფრენდა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **"სუ-24"**-მა კი არა, თურქეთმა დაარღვია სირიის საჰაერო სივრცე, როდესაც ჩამოაგდო რუსული თვითმფრინავი.

მაგრამ ვის აინტერესებდა **"არჩევანში"** სიმართლის დადგენა?!

ამ ტელეკომპანიის მიზანი ხომ ყოველთვის არის მოსახლეობის გაბრუება და გამოკვება ტყუილებით, რასაც წარმატებით ახორციელებს კიდეც წლების განმავლობაში.

როგორც ცნობილია, სირიის ტერიტორიაზე თვითმფრინავის ჩამოვარდნისა და მფრინავების დაშვების ადგილს, ძირითადად, კავკასიიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან წასული **"ბოევიკები"** აკონტროლებენ.

ახლა დავუშვათ, რომ კოალიციის ჯარებმა ისე შეუტიეს **"ისლამურ სახელმწიფოს"**, რომ მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგეს. მაშინ ხომ აუცილებლად დაიწყება **"ბოევიკების"** მასობრივი შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში, ვინ შეუშლის მათ ხელს? როგორც ჩანს, თურქეთის მთავრობას მაინცდამაინც არ აწუხებს მის გვერდით ტერორისტული ორგანიზაციების არსებობა და შეიძლება, ეს ხელს აძლევს კიდეც. ეს ვარაუდი ხომ "სუ-24"-ის ინციდენტმაც დაადასტურა. მანძილი სირიის ჩრდილოეთიდან ჩვენს საზღვრამდე 500-600 კმ-ია, ერაყის ჩრდილოეთიდან კი – 300 კმ.

საქართველოს უშიშროების ძალები **"ბოევიკების"** მასობრივ შემოდინებას ვერ გაუმკლავდებიან, შეიარაღებული ძალები კი მათ შესაკავებლად მზად არ არიან არც პრაქტიკულად, არც ორგანიზაციულად და არც თეორიულად. ამის გამო აღმოვჩნდებით ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ და ეს საფრთხე არც პარლამენტს გაუანალიზებია და შეუფასებია და არც მთავრობას.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ლარის კურსის გამყარებაზე საუბარი უფრო უადვილდება, ვიდრე თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე მსჯელობა. სხვა კომიტეტებთან შედარებით ეს კომიტეტი ყველაზე სუსტი რგოლია საკანონმდებლო ორგანოში. ან რად ღირს მის მიერ შემუშავებული ორგანული კანონი **"ეროვნული უშიშროების საბჭოს"** შესახებ და მთავრობის №39 დადგენილება **"კრიზისების მართვის საბჭოს შექმნის"** შესახებ, რომელმაც კონსტიტუციის 99-ე მუხლს, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვა, რაც ვერც პარლამენტმა შეამჩნია და ვერც საკონსტიტუციო სასამართლომ.

მოქმედი პარლამენტი და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია უუნარონი აღმოჩნდნენ კონსტიტუციის გადამუშავებაში, განსაკუთრებით სუსტი კი – სამხედრო საკანონმდებლო კანონების შემუშავებაში.

და, ვინაიდან დრო უკვე აღარ ითმენს, მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, ნიმუშად აგვეღო რომელიმე საპარლამენტო რესპუბლიკის ძირითადი კანონი და ქართული ტრადიციების გათვალისწინებით მიგვეღო ახალი კონსტიტუცია?

მიკვირს არასამთავრობოების, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ინიციატივა საარჩევნო კანონის გადახედვის თაობაზე. მათ საერთოდ დაავიწყდათ, რომ, პირველ რიგში, ქვეყნის თავდაცვის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა საჭირო და არა პარლამენტში მოხვედრის სურვილი.

აშკარად ჩანს, რომ მათი ეს კატეგორიული მოთხოვნა ძირითადად განპირობებულია ხელისუფლებაში მოსვლის სურვილით და არა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე. და ჩვენ (რიგით ადამიანებს) უკვე გამოცდილი და ნანახი გვაქვს, როგორ იქცევიან ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

საზოგადოებრივი მოძრაობა **"საქართველო მშვიდობისათვის"**, უკვე დიდი ხანია, მუშაობს სამხედრო საკანონმდებლო აქტების შემუშავება-გადამუშავებაზე და მათ შორის კონსტიტუციის 50-ე, 69-ე, 71-ე, 73-ე, 98-ე, 99-ე და მე-100 მუხლებზე.

და, თუ თქვენი სურვილიც იქნება, მზადაა დასახმარებლად.

პატივისცემით,

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘ

ახავაი დო ვავა უვიცობავ, ქედდადრეკილთა აზროვნებავ, უხვალდღეობისკენ თავაწყვეტილო ფეხაწყობავ და ჯოგურო თვითკმაყოფილებავ!..

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

„შთავედ და უწამე ერსა და განწმდენ იგინი დღეს და ხვალე განირცხნენ სამოსელნი მათნი“...
გამოსვლაი – 19, 10;

„მთვარე აღარ სჩანდა ცაზე. ერთადერთი ღრუბლის ფთილა შერჩენოდა მალაქიტის ცას, კოლხური ოქროს საწმისის ფერისა“.
დიდოსტატი კონსტანინე;

„მე ჩემი ცეცხლი ისევ მაოცებს და ვიცი, მტრები აქაც არიან“
ტერენტი გრანელი

დღეს ჩვენი ქვეყანა უბოდიშოდ, **”სმენაზე დგომის წესით”** იმართება აშშ-ს ელჩის მიერ. თავის მხრივ აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველებთან, ანუ ტექნიკურ მუშაკებთან საქართველოს მმართველ ნამესტნიკთა აუდიენცია ატარებს სახელდახელო, ზეზეურა მითითების ხასიათს, – ქვეყანაში გასატარებელ სტრატეგიულ საკითხებს არავინ განიხილავს **”ქართულ”** ხელისუფლებასთან, მას (**”ქართულ”** ხელისუფლებას) აშშ-ს საელჩოდან უსიგრძეგანებენ საამერიკო თვალსაწიერს.

სწორედ ამიტომ, საზოგადოებრივ მიმოქცევაში ყველა საინფორმაციო საშუალებით (ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო, გაზეთი და სხვ.) მრავალცალდება (ტირაჟირდება) ჩასაფრება, სიძულვილი, ზიზღი, გარყვნილება, მდაბიურობა, გაუნათლებლობა, უდირსებობა, უვინაობა, ჩამშვებლობა, მიმდგომლობა, სისხლაღრევა და ა. შ.

საქართველოს ქრისტესმხედრული და გეორგიანული წარსული სამიზნე გახდა **ლგბტ**-ური იერიშისა და ქილიკის, რითაც არა მხოლოდ პონტო-კავკასიის ცნობიერი სამყარო, თვით ევროპის (უფრო სწორად, კაცობრიობის) სულიერების მარადიული ყოფა დგება საფრთხის ქვეშ, რადგან დასაბამი ადამიანად თავდადგენისა, თუ დაეჯერება გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს, უნდა მოვიძიოთ სწორედ იმის მიხედვით, რომ **”სული სრულყოფილობას”** კავკასიაში (ანუ ქრისტესმხედრულ და გეორგიანულ შინაარსში) აღწევს.

* * *

გვიანდელი ჩამატება: არც თუ საჭორაო ცნობა ჭორიკანა გაზეთიდან:
“...მკვლევარები იალბუზის მისადგომებში ზვავში მოყოლილი ვერმახტის ჯარისკაცების საიდუმლოს ამოხსნას ცდილობენ. აღმოაჩინეს თოვლის ტყვეობაში მოქცეული გერმანელთა რაზმი. 70 წლის მანძილზე თოვლი ყინულად იქცა – ასეთ პირობებში გვამები იმდენად კარგად შეინახა, რომ არამხოლოდ სამოსი და სამკერდე ნიშნები, სახის ნაკვთებიც იკვეთება. ჯარისკაცები თოვლში ასობით მეტრის დაშორებით, მეტწილად ჯგუფებად არიან მოყოლილები. ფორმის ტანსაცმლის მიხედვით, ეს ალპური სამთო მეტყევეები არიან, რომლებიც 1942 წლის ზამთარში დაიღუპნენ...

საქმეში გერმანელი მოხალისეები ჩაერთვნენ, რომლებსაც ქვეყნის არქივებთან აქვთ წვდომა. თუმცა, ჯერჯერობით საბუთების მოპოვება ვერ ხერხდება, რომლებიც ამ საიდუმლო რაზმის ისტორიას ნათელს მოჰფენდა. საჭიროა ვერმახტისთვის გაგზავნილი პატაკების მონახვა, რომლებიც, მეტწილად **აშშ**-ს არქივებშია დაცული...

“უგზო-უკვლოდ დაკარგული გერმანელების ასეთი დიდი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა არსებობდეს. სავარაუდოდ, ეს ცნობები გასაიდუმლოებულია, მით უმეტეს, რომ დაღუპული ჯარისკაცები, სავარაუდოდ, ფაშისტური რეჟიმის მისტიკური საზოგადოება “ანენერბეს” წევრები იყვნენ. დაღუპულ ჯარისკაცთა გვამების მდებარეობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი აფხაზეთიდან ბრუნდებოდნენ და უდელტეხილი გადმოიარეს. ჩნდება კითხვა – რას აკეთებდნენ აფხაზეთში? ცნობილი ფაქტია, რომ ”ანენერბეს” წევრები კავკასიაში საკრალური ცოდნის მოპოვებას ცდილობდნენ. შესაძლოა, მათი მარშრუტი რიწის ტბასთან იყო დაკავშირებული – გერმანელებმა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დაადგინეს, რომ რიწის ტბასთან ახლომდებარე წყაროს წყლის შემადგენლობა იდეალურია ადამიანური სისხლის პლაზმის შესაქმნელად. ხელოვნური პლაზმა გერმანელებს **“ჭეშმარიტი არიელი ბავშვების”** აღზრდისთვის სჭირდებოდათ (ხაზგასმა – ს. საჯ.). გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს კავკასიის ძალიან ბევრი გერმანელი ტურისტი სტუმრობდა. საბჭოთა კავშირში ისინი **“კომკავშირული”** საგზურებით ჩამოდიოდნენ. მათი უმრავლესობა სამთო ტურიზმის მოყვარული იყო. შემდგომმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ ისინი პროფესიონალი მზვერავები იყვნენ – მრავალი მათგანი ომის დროს აქ სამთო რაზმების შემადგენლობაში დაბრუნდა. გერმანელმა “ტურისტებმა” იმდენად ზუსტი რუკები შეადგინეს, რომ ზოგიერთ მათგანს დღემდე გამოიყენებენ.

1942 წლის ოქტომბერში ბაქსანის ხეობის სოფელ ზაუკოვოში გერმანული დივიზიის **“მგლის ხახას”** სამი მანქანა შევიდა და როგორც ადგილობრივი მოსახლეობა მოწმობს, მანქანაში, სავარაუდოდ, საბურღი აღჭურვილობა იყო. გერმანელები მანქანებით დილაადრიან ზემო ხეობაში ადიოდნენ და მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდნენ. უცნაური ფაქტია: იმ დროს, როდესაც რაიონში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა, გერმანელები ამ ხეობაში რაღაცას ბურღავდნენ და ეძებდნენ.

იალბუზის ჩრდილოეთ ფერდობებთან არის ადგილი, რომელსაც **“გერმანულ აეროდრომს”** უწოდებენ. აქ ერთ-ერთი გერმანული ქვედანაყოფის კარვების ბანაკი იყო გაშლილი. ადგილობრივები ყვებიან, რომ აქ სურსათის დიდი საწყობიც იყო. მწყემსები იხსენებენ, რომ ამ ადგილას რამდენიმეჯერ გერმანული თვითმფრინავი დაშვებულა.

ალპინისტები, რომლებიც გერმანელების შემდეგ ლაშქრობდნენ, ყვებოდნენ, რომ ვერმახტის ჯარისკაცებმა აქ მაღალი ენერგეტიკის მქონე საიდუმლო ადგილს მიაგნეს და ოკულტური ლაბორატორია მოაწყვეს.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება იალბუზის მისადგომებში ადგილობრივ მწყემსებსაც არ უშვებდა. დროთა განმავლობაში კი აკრძალვები ნელ-ნელა მოიხსნა. ერთ-ერთი ექსპედიციის მონაწილეებმა ზემო ბაქსანის ხეობებით უღელტეხილი გადაიარეს და კალიცკის სახელობის პიკთან, ე. წ. დაკარგულ სამყაროში აღმოჩნდნენ. პიკის ერთ-ერთი წვერი აშკარად ხელოვნური წარმოშობის იყო – პირველივე შეხედვით გეგონებოდა, თითქოს ქვის ადამიანი გადაშლილ წიგნს კითხულობს. ალპინისტებმა საკურთხეველი და სამსხვერპლოც აღმოაჩინეს, ასევე, აშკარად ხელოვნურად შექმნილი, მუზარადიანი მეომრების ფორმის რამდენიმე სვეტი.

სავარაუდოდ, **“ანენერბეს” წევრები საკრალური მთის შესასვლელს ეძებდნენ**. ზოგიერთი ეზოთერიკოსის აზრით, ერთ-ერთი მათგანი ზუსტად იალბუზზეა, რომელსაც **“არიელების მთასაც”** უწოდებენ.

აღმოჩენილი მღვიმე შესასვლელი თუ არა, საკრალური დანიშნულების ადგილი ნამდვილად არის. სავარაუდოდ, ეს ცოდნის დარბაზია, რომელშიც კაცობრიობის ყველაზე ფასეული ინფორმაცია ინახება, კერძოდ, ცნობები სამყაროს მოწყობის, ასტრონომიისა და ძველებური მაღალი ტექნოლოგიების შესახებ”

(გაზეთი **”ალია”,** 2015 წ. 18 ნოემბერი).

* * *

აქედან გამომდინარე, ჩასაფრებული და ავმოსურნე ძალებისთვის სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ ასეთი **“არგაგონილი თავხედობისთვის”** ქართველი ერი ამოიშალოს ცივილიზებული მსოფლიოს თვალსაწიერიდან. ამის შესაბამისად, ქართველი ერის ისტორია დღევანდელ მსოფლიოს მიეწოდება **ლგბტ**-ური ცენზურის ინსპექტირებით. ესაა მრავალათასწლოვანი ომი ქართველთა გეორგიანული და ქრისტესმხედრული, **შინერსისა** და **ვაშინერსის** რჯულის კანონის გასაუკუღმართებლად (ნუ გვეიმედება ნურცერთი შარახვეტია. საქართველოში ჟამთაბერს არ აღუნუსხავს და ასეთ რამეს მატიანე არ იცნობს, რომ ხიზანს (გნებავთ მის ადგილობრივ მეგზურს), რომელიც მიმდგომლურად უსანგრდებოდა ჩვენს სიწმინდეებს, თავი გაეწიროს საქართველოსთვის, ან მახვილი არ ჩაეცეს ჩვენთვის ზურგში, რადგან მათ მოვალეობად ქართველთა რწმენისა და ვინაობის საწყისშივე დანგრევა იქცა. საუბარია ქართველი ერის გონითი განფენის იმ ღვთივსათნო სივრცეზე, რომელიც ჩვენს წელთარღიცხვამდე, ათასწლეულების წინ იწალდებოდა კაცობრიობის დასაბამითგანვე ქალდეურ წიაღში. შესაბამისად, ამგვარი ჯიშისმიერება, ანუ ქართველი ერის ეროვნულ-სახალხო მეობის, მისი საკაცობრიო სულიერი მისიისა და ღვთით მონიჭებული საგანმანათლებლო დანიშნულება (**შინერსისა** და **ვაშინერსის** წესრიგი) გახლავთ ის ცნობური ნიშანსვეტი, რომლის სიღრმეებში ეძებდნენ სრულყოფილებას თავის დროზე ევროპის სულიერი მეჩირაღდნეები (ისევ და ისევ იხილეთ ფ. ჰეგელის, ე. კანტის, გ. ლესინგის საგაკვეთილო ძეგლისდებანი). სწორედ ასეთი, ერთის მხრივ, დიდმპყრობლური (აგრესიულ-გლობალისტური) და მეორეს მხრივ, ადამიანის სულის მასრულყოფილებელ ცნობერებათა შეჯახებები (განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჭეშმარიტება ტექნოკრატიული დასავლეთისთვის ფინანსურ, თუ დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციულ **“ყოვლისშემძლეობას”** ეფუძნება) იწვევენ ისეთ ჩასანგრებულ, გაბოროტებულ და ქუჩის ფსკერულ ყოველდღიურობას, რომელიც მიზანმიმართულად ინერგება დღეს **“დამოუკიდებელი საქართველოს”** პოლიტიკური აბრის ქვეშ (ამ შემთხვევაში მე ვეწინააღმდეგები და თანაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ, არა რომელიმე რელიგიურ ან ეთნიკურ ჯგუფს, გნებავთ ყველაზე საეჭვო ე. წ. უმცირესობას, არამედ ამ საეთნოდივერსიო ფაბრიკაციებზე მიხრახნილ და მიძრავებულ მიზნობრივ აგრესიას ქართველი ერის მარადიულყოფის წინააღმდეგ).

ბუნებრივია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი), როგორც ქართული გონითი განფენის სივრცეში სახალხო მარადიულყოფის ნათელი ნიშანსვეტი, ამიტომაც გახდა საუკუნეებზე გაწელილი ერთი სადენალიზაციო კონვეირი.

ასეთი მიზნების მისაღწევად აგრესიული გლობალიზმის გათვლა ემყარება დღეისათვის საგანგებოდ ინკუბირებული **”ქართული საზოგადოების”** უცხოთუმე და ხმაბაძვით განწყობას, რომელიც არ ეფუძნება ერის სამარადიულმყოფო პირობათა წინგახედულ გასიგრძეგანებას. უფრო მეტიც, აგრესიული გლობალიზმის მიერ მიზნობრივად მოთადარიგებულ ეთნოფაბრიკაციულ თაობას უთანხმოება (კონფლიქტი) აქვს წესით საკუთარ სამშობლოსთან, ჯიშთან. მისთვის მნიშვნელოვანი, ამ წინასაახალწლო დღეებში სადღესასწაულო და გასაოთხივ-კუთხებული ის კი არაა, რომ ამ ბოლო დროს ნეკრესში ძველი წელთაღრიცხვით 256 წლის ქართული წარწერა აღმოაჩინეს, არამედ, ევროპისთვის მისახარებელ საკითხად იქცა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხიდან ვინმე ბექა (საბი) ბერიანი **“ევროსტანდარტების”** დონის პედერასტად, ანუ იმ **“საუმცირესო”** ადგილით ბრიუსელური გამოშვერისთვის მედგარ შემპირაპირებლად განიშანსვეტდა. ამის შემდეგ ტელეკომპანია **”რუსთავი-2”**-ს ე. წ. თავისი საინფორმაციო გადაცემა **”კურიერით”** (13.11.2014 წ. 9 სთ.) იმ **”ცის-ჩამოქცევის”** შეცხადება როგორ არ გაეოთხივკუთხებინა, რომ ეს ქალის კაბაში გამოწყობილი და თავხედურად აწარამარებული ორფეხა ვიდაცამ თავის ბუნაგში მოკლა (თბილისი, კ. გამსახურდიას ქ. 80). ამის გამო ხსენებულმა ტელევიზიამ ისეთი ქუდზეკაცობისკენ მოუწოდა საქართველოს, თითქოს ფსოუს კარიდან ოკუპანტის გასარეკად აესხას ხმალ-შუბი.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი მკვლელობა დიდი ცოდვაა, თუნდაც მოკლული თავის სქესზე (მამაკაცობაზე) და ეროვნულ (ქართულ) ვინაობაზე უარს ამბობდეს. მაგრამ რატომ გვინდა, რატომ რთავს ქართული საზოგადოება ნებას, რომ ასეთი უხამსობებისადმი შემწყნარებლობით დაიწყოს მისი საარზოვნო ათვლა, რატომ ცდილობენ, რომ ცხოვრების ასეთი წესი იყოს მისაბაძი საქართველოსთვის?!

ამ შემთხვევაში ქართველი ერის ნებას აცდენილი და ზნეობაზე მითარეშებული უხამსობა გიორგიანობის აღგვას სწორედ ასეთი ქუდზეკაცობით ცდილობს, რადგანაც ეს მისთვის და ტექნოკრატიული დასავლეთისთვის **”პოლიტიკური მკვლელობა და ანაგრიშსწორებაა ”დემოკრატიამდე” ვერ ამაღლებულ ქართულ საზოგადოებაში”...**

სწორედ ასეთი მიზნების ძალისხმევით, აგრესიულ გლობალიზმს საქართველო და ქართველი ერი არ სჭირდება თავის დედან ვინაობასა და შინაარსში. ბუნებრივია, აქ ესურვილებათ ხეპრე, გამოთაყვანებული და მართვადი ბრბო, ანუ გეომასა. სამწუხაროდ, ჩვენს მიწაზე ჯერჯერობით კაცობრიობის კეთილი ნება ვერ მიელიანდაგა უფლის ნებადართულობასა თუ ქართველთა სახალხო სულისკვეთებას: თავისსავე მამულში დღეს ქართველი ხიზანია და დამცირებული, მისი ღირსეულობა ქილიკდება, ხოლო მოჭირნახულის ყოველდღიურობა უპატიურდება.

გასაგებია ამ უბოდიშოდ შემოთარეშებულ სიცხადეს, საუბედუროდ, ჯერჯერობით ვერ ავლაგმავთ, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, ქართველ ერს დაუფარავად განვუმარტოთ და ავაცილოთ მილევადი მდგომარეობა მას და კიდევ უარესი, ძილქუშში ნებივრობა შევაწყვეტინოთ...

ასე და ამრიგად, ქვეყანა გადაიქცა ერთ სადენაციონალიზაციო საამქროდ, სადაც საზოგადოებას ვერაგული ხელგამოღებით არწმუნებდნენ, რომ თავს დამტყდარი პარტახი მოდის ქართული აზროვნების წესიდან (**”ნუ, საქართველოა”**) და დედაეკლესიის სწავლებებიდან.

ქვეყანაში თვითმარქვიად ამოსოკოებული **”უფლებადამცველები”** არსებულ შეუსაბამობებს იმიტომ კი არ ასაჯაროებენ, რომ მიზეზებს ჩაეძიონ და ჭირისუფლის რუდუნებით აღმოფხვრან (მათი უმეტესობა ხომ ხელოვნურადაა გარედან შემონაგავებული?!), არა, პირიქით: ამით მსოფლიოს წინაშე თითმიშვერით გვასაჯარისებენ, რომ **”ქართველად ყოფნა ჩამორჩენილობაა”** და გვაქეზებენ ჩვენივე ვინაობის უარსაყოფად. ჩვენი სამშობლოს – საქართველოს მაგივრად დამკვიდრდა ცხვირაბზუებულთა გამოთქმა – **“ეს ქვეყანა!”**

ასე დაგეშილი თაობის ერთი, უიმედოდ წვრთნაშეუსმენელი ნაწილი, რომელსაც ტექნოკრატიული დასავლეთი ქართველი ერის ზეპურობად (ელიტად) მოიაზრებს, ნეოთეათუობერიძული აგრესიის პავლიკ-მოროზოვულ და შვონდერ-შარიკოვულ ბრიგადებად (სექტებად) იქცნენ (ნ. გვარამია, კ. კოჟორიძე, ე. გიგაური, ნ. ლომჯარია და ა. შ.). ცხადია, მათი კეთილდღეობა და საშოვარი აულაგმავ ქართველთმოძულეობაზეა დამოკიდებული (აქ ერთიცაა, – ღრმა და საფუძვლიან ახსნა-განმარტებას მოითხოვს ე. წ. შემწყნარებლობის (ტოლერანტობის) ის ნაირსახეობა, დაუკითხავად რომ გვახვევენ თავს ჩვენსავე ქვეყანაში: ეს ძალიან ჰგავს ჩასაფრებულ ძალებთან მიზნობრივი თვალდაბრმავებითა და ხელფეხშებორკვით გაასპარეზებას.

საქმე ისაა, რომ მიმტევებელი და შემწყნარებელი (ტოლერანტული) უნდა იყო ისეთი მოვლენისადმი, რომელიც, თავისი შინაარსით, არ გეხიფათება და ჟღარუნით არ მოიწევს ჩვენსკენ. თანაც, თავის მხრივ, ისიც პატივს სცემს შენს ვინაობას, თორემ, შემწყნარებლობა იმათ მიმართ, ვინც არასოდეს არ იქნება ტოლერანტული თავად, – ბოროტმოქმედებაა ეროვნული ღირებულებების წინაშე და ის ძალა, რომელიც ”უფლება-დაცვის” საბაბით მათი შემწყნარებლობისკენ მოგიწოდებს, თვითონაა შენიღბული მტერი!..

სერგი საჯაია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წიგნი დიდ საფიქრალზე

ინფორმაციის, მით უფრო ბეჭდვური პროდუქციის მოზღვავებისას, ვიდრე რომელიმე ახალ წიგნს გადახედავ, უპირველესად ის გაინტერესებს, აქვს თუ არა მის ავტორს იმ საკითხებზე საუბრის მორალური უფლება, რომლებსაც მისი ნაშრომი ეძღვნება. ამ მხრივ ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ანზორ ბაბუხადია ჭეშმარიტად გამორჩეული პიროვნებაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან საქართველოს მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩევლამდე. მრავალი წლის მანძილზე თავმჯდომარეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფილის ფაკულტეტებზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიას; დამთავრებული აქვს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემია, არის საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, არჩეული იყო გაზეთის **„სარკმელი საქართველოსი“** რედაქტორთა საბჭოს წევრად, პირადად მან დააფუძნა და დღემდე მთავარი რედაქტორია გაზეთისა **„თანადგომა“**; არის ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე; დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, იაკობ გოგებაშვილის მედლით, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის საერთაშორისო ფონდის ოქროს მედლით, მინიჭებული აქვს **„ჩოხოსანი რაინდის“** და საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ **„მართალი სიტყვის რაინდის“** საპატიო წოდებები.

ბატონი ანზორი მართლაც რომ მართალი სიტყვის რაინდია და ქართველ მწერალთა ამგვარ შეფასებას, ალბათ, ბევრი დაეთანხმება, ვინც იცნობს პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მის პუბლიკაციებს და წიგნებს **„მხოლოდ თანადგომა გადაგვარჩენს“, „კვლავაც ვწეროთ და ჩვენვე ვიკითხოთ?“ „პრობლემა ნომერი პირველი“, „აფხაზეთი – სატკივარი ჩვენი“, „გზა ვარდისფერი“, „მასალები საბრალდებო დასკვნისათვის“, „საქართველო არის ესე“, „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა“** და დღემდე უკვე გამოცემულ 8 კრებულს, რომელთა საერთო სათაურია **„შეცდომა თუ დანაშაული“**. ამ ფრიად საინტერესო ციკლს ახლახან შეემატა მეცხრე წიგნი **„გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!“**

მასში შეტანილი პუბლიცისტური და ოფიციალური წერილები ძირითადად ოთხ თემას ეძღვნება. პირველი მათგანია არჩევნების პრობლემა, რომელიც სიღრმისეულად არის გაანალიზებული. მასში როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლების მისამართით გამოთქმულია ფრიად სერიოზული ბრალდებები და დასაბუთებულია სრულიად განსხვავებული მოსაზრება, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ ყბადაღებული პრობლემის ქვეყნის საკეთილდღეოდ გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზაა.

„არჩევნების მოქმედი სისტემით, მის მიმართ ხელისუფლებისა და ხალხის დამოკიდებულებით ჩვენ „ევროპელები“ კი არა, სადღაც ჯურღმულში ჩარჩენილი ქვეყანა ვართ“, – ბრძანებს წიგნის ავტორი და მიაჩნია, რომ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც სრულიად დაკარგეს მოსახლეობის ნდობა და არარაობად იქცნენ, დროებით, ანუ ვიდრე ჩვენ **„ევროპელები“** გავხდებით და არ გადავეხვევით არჩევნების გაყალბებას, მაქსიმალურად უნდა შეეზღუდოთ დეპუტატად არჩევის საშუალება და ამისათვის გარკვეული ხნით პრაქტიკულად უარი უნდა ვთქვათ პროპორციულ არჩევნებზე.

რით ასაბუთებს თავის მიერ შემოთავაზებული სისტემის უპირატესობას?

პასუხი უმარტივესია. ამომრჩეველი ვიღაცის მიერ სხვადასხვა მაქინაციით შედგენილ სიაში არც თუ უანგაროდ შეტანილი კარიერისტის ნაცვლად მხარს დაუჭერს იმას, ვინც მის თემში, სოფელში, რაიონსა და ქალაქში გამორჩეული პიროვნებაა და ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რათა ღირსეულად ემსახუროს როგორც ქვეყანას, ისე იმას, ვინც მას ხმას აძლევს.

ავტორი თავს არ იტყუებს ილუზიით, რომ ქვეყნის მართვის სადავეებიდან პოლიტიკოსთა ჩანაცვლების მისეულ ვარიანტს ოვაციით შეეგებებიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მაგრამ არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ნეპოტიზმისა და კორუფციის ტყვეობიდან თავდახსნისათვის სხვა რეალური გზა ჯერჯერობით არ ჩანს და ქვეყანას რომ ეშველოს, საჭიროა ამგვარი ქირურგიული ჩარევა. ეს შეიძლება უადრესად მტკივნეულიც იყოს, მაგრამ სასიცოცხლო აუცილებლობაა. და კიდევ ერთიც, ისევ და ისევ არჩევნებთან დაკავშირებული პრობლემა: **„არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტობის, მერობის ან დეპუტატობის ფულიანმა კანდიდატმა დასვას კითხვა: რა შუაშია ცენტრალური საარჩევნო კომისია ან ბიუჯეტის თანხების პროპორციული გამოყენება. მე მაქვს ფული და სადაც მინდა და რამდენსაც მინდა დავხარჯავო“.**

წიგნის ავტორს მიაჩნია, რომ ყველასა აქვს უფლება, სადაც უნდა, იქ დახარჯოს თავისი ფული, ოღონდ არა იმ მიზნით, რომ პრეზიდენტობა, მერობა, ან დეპუტატობა იყიდოს!

„გახდი, ბატონო, პრეზიდენტი, მერი და დეპუტატი და მერე, როგორც გინდა, ისე დახარჯე შენი ქონება, უფრო კარგად გამოჩნდება, ქველმოქმედი ხარ, თუ ფულიანი მოძალადეო“, – ასკვნის.

როგორია ჩემი დამოკიდებულება არჩევნების შესახებ ბატონ ანზორ ბაბუხადიას იდეასთან დაკავშირებით?

მის პასუხად უცვლელად გავიმეორებ მისსავე სიტყვებს იმ ინტერვიუდან, რომელიც ჩემს მეგობარსა და კოლეგას, ბატონ ოთარ ხუციშვილს მისცა: **„პირადად მე ვიღაცას მიერ შერჩეულ და დანომრილ დეპუტატობის კანდიდატზე მეტად ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატს ვენდობი“.**

* * *

ქართული ენის გადარჩენის უმტკივნეულეს პრობლემებს ეძღვნება წიგნის მეორე განყოფილება. იგი იხსნება **„საერთო გაზეთში“** გამოქვეყნებული ინტერვიუთი, რომელსაც ფრიად **„ფეთქებადსაშიში“** სათაური აქვს: **„დადასტურებული, უტყუარი ფაქტები საბრალდებო დასკვნისათვის“.** ამ პუბლიკაციას წინ უძღვის გაზეთ **„ლიტერატურულ საქართველოში“, „საერთო გაზეთში“, „საქართველოს რესპუბლიკასა“** და ბეჭდვური პრესის სხვა ორგანოებში გამოქვეყნებული ანზორ ბაბუხადიას წერილების ჩამონათვალი, რომელიც უმძაფრეს სურათს ჰქმნის. ინტერვიუერი, ჟურნალისტი ანა ვადაჭკორია ამ ჩამონათვალის საფუძველზე ასკვნის, რომ საქართველოში ქართული ენის დასაცავად ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა ძველი ხელისუფლება და თითქმის იგივე გრძელდება დღესაც. ჟურნალისტის ამ შეხედულებას კიდევ უფრო განამტკიცებს რესპონდენტის მიერ დასახელებული კონკრეტული მაგალითი. 2011 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** საშუალებით ღია წერილი გაეგზავნა საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელ თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს. წერილში ჩამოყალიბებული იყო დედაენის დაცვის კონკრეტული წინადადებები და მათი ოპერატიულად გადაწყვეტის თხოვნა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ეს წერილი ყოველგვარი კონკრეტული დავალების გარეშე გადაუმისამართა პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს გოკა გაბაშვილს, ამ უკანასკნელმა კი არაფრისმთქმელი რეზოლუციით დააწერა თავის მოადგილეს ხათუნა ოჩიაურს. ავტორმა, როგორც იქნა, მოახერხა და ოჩიაურს ოფიციალურ მიღებაზე ეწვია, მაგრამ დეპუტატი შეეცადა, დაემტკიცებინა, რომ ქვეყანასა და პარლამენტს უფრო სერიოზული პრობლემები აქვს გადასაწყვეტიო და იმისთვისაც კი **“ვერ მოიცალა”**, რომ დაპირებული პასუხი წერილობით მაინც გაეგზავნა.

სამწუხაროდ დედაენის დაცვის საკითხი დღესაც რომ ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ეს თვალნათლივია თუნდაც იმ უცხოენოვანი რეკლამებით, რომლებიც უხვად არის როგორც თბილისში, ისე ქვეყნის სხვა ქალაქებში.

* * *

წიგნის მესამე განყოფილება იხსნება ფრიად მოკრძალებული თხოვნით პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრისა და იუსტიციის მინისტრისადმი: აღუდგინონ ჩვენს ქვეყანას თავისი ღირსეული და კანონიერი სახელი.

ანზორ ბაბუხადიას წინადადებას, რომ ჩვენს სამშობლოს მსოფლიოს ყველა ენაზე ეწოდოს საქართველო, გამოქვეყნებისთანავე ძალიან ფართო გამოხმაურება მოჰყვა და სამწუხაროა, რომ უშუალოდ ხელისუფლების მიერ გადასაწყვეტი ეს საქმე ფაქტობრივად დღემდე ადგილიდან ვერ დაიძრა. ჩვენს სამშობლოს ზოგი დღესაც **„ვრასტანს“** ეძახის, სხვები კი **„გრუზიას“, „ჯორჯიას“** და **„ჯურჯისტანს“.**

* * *

მეოთხე განყოფილებას, რომელსაც სათაურად ჰქვია **„შენ გიმღერი, ჩემო თბილისქალაქო“,** შემთხვევით არა აქვს წამძღვარებული პოპულარული სიმღერის ამონარიდი. ეს მით უფრო სათქმელია, რომ 2015 წლის **„თბილისობა“** ისე ჩატარდა, რომ პოეტ პეტრე გრუზინსკის, კომპოზიტორ რეზო ლაღიძისა და ლეგენდარული ზურაბ ანჯაფარიძის ეს უკვდავი სიმღერა ერთხელაც არ გაჟღერებულა. ამაზე ყურადღების გამახვილებით ამ საინტერესო წიგნის ავტორმა შეახსენა თბილისის ხელისუფლებას, რომ საჭიროა მეტი სიფხიზლე, რათა არც ასეთი პოპულარული სიმღერა არ გამორჩეთ და არც ამ სიმღერის შემსრულებელი, რომლის სახელი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას კი მიაკუთვნეს, მაგრამ მათი გადაწყვეტილება არ განხორციელებულა, ფარატინა ფურცელზე დარჩა.

წიგნის რედაქტორია კახაბერ მახარაშვილი. კრებული აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა **„გამომცემლობა სამშობლოში“** და მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად იმითაც გამოირჩევა, რომ ახლავს ამავე ავტორის როგორც იმ პუბლიკაციების ჩამონათვალი, რომლებიც შესულია ადრე გამოცემულ კრებულებში, ისე იმ სტატიებისა, რომლებიც ადრე გამოცემულ კრებულებში არ შესულა.

ვისურვებდი, რომ ასევე მოწესრიგებული და ბოლომდე მიყვანილი მენახოს ყველა ის კანონი, ბრძანება და განკარგულება, რომლებსაც ხელისუფლების სხვადასხვა რგოლში გამოსცემენ, მაგრამ არაჯეროვანი კონტროლის გამო მათი შესრულება ისევე ჭიანურდება, როგორც ზურაბ ანჯაფარიძის უკვდავყოფის მიზნით ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭების აღსრულება, საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ და უამრავი სხვა კანონი, გადაწყვეტილება და დადგენილება.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ



სახალხო მოძრაობა “ᲡᲐᲛᲔᲑᲠᲔᲚᲝᲡ” ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ქალბატონ ლუარა მებონიას და ბატონ რევაზ სოსელიას ძმის და ცოლისძმის

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲨᲐᲛᲣᲒᲘᲐᲡ

გარდაცვალების გამო

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲪᲮᲐᲓᲘ ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲔ-ᲑᲣᲠᲣᲡᲘᲖᲔ

მომესმა ფეხის ბაკუნი,
ზარის ხმა, კარზე კაკუნი
და ბოღმით ფერდაკარგული
შემობაკუნდა ბაკური,
ბახტურიძეანთ ბაკური.
მკითხა:
“კვლავ სკამს რომ იძენსა,
ვინ წყალობს მურუსიძესა,
და რატომ არვინ იძევსა,
რად წასცხო მური სიძესა,
ჩემს ალალმართალ სიძესა?”
მერე გამოჩნდა ჯიმშერიც,
ენუქიძეანთ ჯიმშერი:
და მითხრა: “ვეღარ მიშველით
მკვლელისკენ თითის მიშვერით,
რადგან მეფეა შიშველი!”
“მან სიმართლის გზა ჩარაზა
და ვინც მოერგო ამ დროსა,
მსაჯულობას რომ ანდობსა;.
რა ვუთხრა გურამ შარაძეს,
ბუტას, ირინეს, სანდროსა?“
– მე ვუპასუხე: “მოეშვი”,
ხომ კარგად იცნობ მეიშვილს?
მგელი მგელობას მოიშლის?
“ნაცი” “ნაცობას” მოიშლის?
თუმც უკვე წათრეულია,
სატანა მაინც იცინის,
რომ მისი ათეულია
ეს საბჭო იუსტიციის!
*** * ***
რა დიდ სიკეთეს მიზამდა,
ვინც ჩემი რწმენა შელახა,
დარჩენილიყო სიზმრად და
ცხადში არასდროს მენახა?!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ

ᲜᲐᲜᲘᲜᲐ ᲝᲜᲬᲔᲝᲑᲐᲨᲘ

გიშელი ცურუობაშე,
ვაცურუ რჩქილას ცუჯეფი:
ნანინა,– ონწეობაშე,
შხვა ნინა,– აშნაკუჭეფი.
ამშვ ვითიც ქიდიგურუე,
გაკვირე მარი-ც ნიკო-ნი,
იშენით კირტე ცურუე,
თინა უჯგვ, მერჩამ ჯიშონი.
ჯიშო დო, ართი ქორდეს-და
დიეფი დო ბაბიეფი,
ზისხირ შხვა ვემშეწყორეს და,
მიცუნა ჩხონაფილეფი.
ჯიშეფს უღ ნინა მუშ-მუში,
მარგალურს მობსახელენთ ჩქი,
ნამ თქუა შხვაში რე უჯგუში,
მარგალო ონწეთ ეშნაჩქვი?
მარა დო ამარ-ამარი
ძუძნინას იჭყოლიდუა,
ნანინათ გილეჭვამარი,
შხვაშის ნუმ იჭყოლიდუა,
შხვანინინა ჯიბეს მუშმაცუნს,
გელეთბ, იშო მირტებუ,
ოდო რენ ზისხირს გიშმარწუნს,
სი გიტენს, დუს ემინჯებუ.
შხვანინა ჩქინი უჯგუშო
ჯიშო ნამს დოგურაფუნი,
ურგებუაფნა მუშ-მუშო,
ჩქინს ვაგურაფლენს, ვაშუნი?
რშუდანი გამსახურდია
კოწია, მიჭარუნანი:
სუმარემქ გეგნმებრელეს-და,
მენძელო გინმართუნანი.
ნანინას გალუაფუდა,
შხვანინა ვაგეპატონა,
კინ თის ურგებე, გიჩქუდა,
მარგალონაშო ვამკონა.
ონჯღორე მუშენი ვაიჩქუ,
მუდა რე აბა უკუნი,
მონეწკმა გური გაჩქიჩქუ,
შურო დუს ვამწოუკუნი.
გიშელი ცურუობაშე,
ვაცურუ რჩქილას ყუჯეფი:
ნანინა ონწეობაშე,
შხვანინა აშნაკუჭეფი.

ᲛᲔᲣᲨᲔ ᲑᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢᲔ
(ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ)

ილორი

რა ხდებოდა რუსთაველის გამზირსა და მთავრობის სახლში 20 წლის წინათ

გამოქვეყნდა ჟურნალში „თბილისელები“, 2012 წლის 2 იანვარს

ოცი წელი გავიდა 1992 წლის 6 იანვრიდან, როდესაც დასრულდა შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. სამწუხაროდ, მოვლენები თითქოს სამართლებრივად შეფასდა, თუმცა ამას მაინც უფრო საჩვენებელი, ბუტაფორიული სახე ჰქონდა. რეალურად, როგორც თავის დროზე, რუსული მედია სარკასტულად შენიშნავდა, თბილისის ცენტრში, მიწის ერთ მცირე ნაგლეჯზე გაჩაღებული შეიარაღებული დაპირისპირება, არავის შეუსწავლია. შესაბამისად, არც გაცნობიერებული გაკვეთილი გამოგვიტანია, მხოლოდ შეგრძნების დონეზე დავისწავლეთ, რომ შეიარაღებული დაპირისპირება დამღუპველია. რა ვისწავლეთ თუ ვერ ვისწავლეთ 20 წლის წინანდელი მოვლენებით, მოვახერხეთ თუ არა იმ საბედისწერო წრიდან გამოსვლა და რატომ შეემსხვრა, მაინცდამაინც, საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის მეტ-ნაკლებად უმტკივნეულო პროცესს, **თემურ ქორიძე** გვესაუბრება.

– რა ხდებოდა 20 წლის წინათ იანვარში საქართველოში, უფრო ზუსტად, თბილისში?

– 20 წლის წინათ ჩვენც ის გავიარეთ, რაც ცივილიზებულმა სამყარომ თავისი არჩევნის გზაზე გაიარა. არაფერი განსაკუთრებული იმ დროს საქართველოში არ მომხდარა, უბრალოდ, ამან ჩვენი ერის განვითარებას უსაზღვროდ მძიმე კვალი დაამჩნია. თორემ ჩვენ ვიცით საფრანგეთის რევოლუციების ისტორია, როდესაც ფორმაციები თვალის დახამხამებაში იცვლებოდა. მაგრამ ჩვენი მცირე ზომის ქვეყნისთვის ეს დამანგრეველი რამ იყო, მით უფრო, რომ ძალიან მძიმე შედეგები მოიტანა ამ ყველაფერმა. ერთხელ ვთქვი და ვიმეორებ: არასდროს გამოვაქვეყნებ იმას, რაც ამასთან დაკავშირებით მაქვს მოძიებული და, ალბათ, ჩემი გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ თუ გამოქვეყნდება ეს ყველაფერი. იმდენად მძიმეა კონკრეტული პიროვნებების მონაწილეობის ფაქტები ამ საქმეში, რომ შეიძლება, ოჯახებიც კი დაინგრეს საქართველოში და მე ამას არ ვაპირებ, წმინდა ჰუმანური მოსაზრებების გამო. ჩვენ ბევრი რამ სამარეში უნდა ჩავიტანოთ. ამას მოვუწოდებ ჩემს ახლო მეგობრებს. ჩემი პრინციპული მოსაზრებაა, რომ ყველაფერი არ უნდა ვთქვათ. მე უკვე იმ ასაკში ვარ, როდესაც კაცს მოეკითხება, უფრო ჭკვიანი უნდა ვთქვათ. მე უკვე იმ ასაკში ვარ, როდესაც კაცს მოეკითხება, უფრო ჭკვიანი იყოს და ვცდილობ, უფრო ჭკვიანი ვიყო. თქვენ განსაჯეთ, რამდენად ვახერხებ ამას.

– იმ დღეებში, რას განიცდიდა ზვიად გამსახურდია, იყო იმედგაცრუებული ქართველი ხალხის მხარდაუჭერლობით, რას გრძნობდა იმის გამო, რომ მას ყოფილი თანამოაზრეები დაუპირისპირდნენ?

– ჩემთვის ეს შეკითხვა მძიმედ საპასუხოა, იმიტომ რომ იმ ტრაგიკულ დღეებში, როდესაც სროლა დაიწყო, იარაღის ყველა სახეობიდან ესროდნენ ზვიად გამსახურდიას, თორემ ჩვენ ვინ ვიყავით?! პრინციპიც ასეთი იყო: ყველა მინუს ერთი. თუ მთელი იმ პროცესებიდან ამოვაგდებთ იმას, რომ ესროდნენ მხოლოდ ზვიად გამსახურდიას, მის წესს აზროვნებისას და, თუკი ჩავიკეტებით იმაში, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პროცესი, პასუხს ვერ მივიღებთ. ეს იყო ბრძოლა ზვიად გამსახურდიას იდეასთან. ეს იყო კაცი, რომელიც მოვიდა იმისთვის, თავი დაედო საქართველოსთვის. ის თავისი ბავშვობიდან მოდიოდა აქეთკენ და ცოტა უცხო სხეულივით იყო საქართველოსთვის. მიუხედავად ამისა, ზვიად გამსახურდიამ შეძლო ის, რომ 1991 წლის 31 მარტს საბჭოთა საქართველოში აღზრდილმა და დაბადებულმა მთელმა ქართველობამ თქვა: დიახ, მე მინდა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო! ეს იყო ზვიად გამსახურდიას გარჯის, წვალებისა და წამების უდიდესი შედეგი და, ბოლოს, როდესაც ის ჯვარს აცვეს, ამაში სრული ანალოგია შეგვიძლია, დავინახოთ იესო ქრისტეს ბედთან. იესო გვეუბნება, რომ ყველა ადამიანი მის ხატად არის შექმნილი. მე არ მიკვირს, რაც ზვიად გამსახურდიამ გადაიტანა. მას თავის ერთ-ერთ დაბადების დღეზე ვუთხარი და ამის მომსწრე იყო უამრავი ადამიანი: მე ვერ წარმომიდგენია ზვიად გამსახურდია თბილ ლოგინში სულს ღაფავდეს და ისე კვდებოდეს. უსათუოდ ტყვიით მოკვდებით-მეთქი. მას ეს ვუთხარი თავის ყველაზე ბედნიერ დღეს. ერთი სიტყვითაც კი პროტესტი არ გამოუთქვამს. არათუ მას, იქ მყოფ საზოგადოებასაც კი არც ერთი სიტყვა არ უთქვამს იმის საწინააღმდეგოდ, რაც მე მაშინ ვთქვი. ანუ ზვიადი მოწოდებული იყო იმისთვის, თავი დაედო სამშობლოსთვის და, რამდენიც უნდა უკიჟინონ ამ პიროვნებას, რომ ცუდი პრეზიდენტი იყო, შეცდომები დაუშვა, ზვიად გამსახურდია, სანამ საქართველოს არსებობა უწერია, მაინც დარჩება საქართველოს ისტორიაში, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მესაძირკვლე. მან ყოველგვარი სკიპტრის, ჯარისა და ლაშქრის გარეშე მიაღწია იმას, რომ საქართველო გათავისუფლებულიყო.

– ჩვენ მივიღეთ ყველაზე მძიმე დარტყმები, ყველაზე მძიმე დანაკარგები განვიცადეთ დამოუკიდებლობის გზაზე, არადა ეს დამოუკიდებლობა ყველამ მიიღო, რუსეთმაც კი, თუმცა არ ვიცი, ვისგან გახდნენ დამოუკიდებელი. რატომ დავზარალდით ჩვენ ყველაზე მეტად?

– იმიტომ რომ ჩვენ მხარი ვუქციეთ იმ გზას, რა გზითაც უნდა წასულიყო საქართველო. ჩვენ არ წავედით ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის გზით და დავიწყეთ ხელის ცეცებით სიარული აქეთ-იქით და როგორც ამირანის მითშია, იქვე მივედით, გუშინ რომ დავკარით ისარი. მერამდენედ უნდა მივიდეთ იქ, სადაც ჩვენთვის კარი დაკეტილია? გვეუბნებიან, თქვენ ძალიან კარგები და მშვენიერები ხართ, მაგრამ ვერ შემოგიშვებთ. ნატოს გენერალური მდივანი ხშირად ჩამოდის საქართველოში და გვეუბნება, კარი დიაა, ოღონდ მოწესრიგდით, კარგად ჩაიცვით და დაიხურეთ, იყავით სიმპათიურები და შემოგიშვებთ ჩვენს სახლშიო, მაგრამ ჩვენ ეს ვერ იქნა და ვერ მოვახერხეთ.

– ისევ 20 წლის წინანდელ მთავრობის სახლს დავუბრუნდეთ. ზვიად გამსახურდია როგორ აფასებდა ვითარებას თუ სხვა გზა აღარ ჰქონდა და იქ უნდა დარჩენილიყო? ხომ ხდება ხოლმე, რომ უკან უბრალოდ ვეღარ დაიხევ?

– არ მახსოვს, ზვიად გამსახურდია იმ პერიოდის უმძიმეს წუთებშიც კი სასოწარკვეთილი და დათრგუნული ყოფილიყო. როდესაც მას პირველად დაურეკა თენგიზ სიგუამ და ორსაათიანი ულტიმატუმი წაუყენა, მეც შევესწარი ამ საუბარს, ისმოდა კიდეც თენგიზ სიგუას ხმა. ზვიად გამსახურდია, ფაქტობრივად, დათანხმდა წასვლას. ჩაიცვა პალტო, გაიკეთა კაშნე, ერთად ჩამოვედით ქვემოთ, სადაც მისი მანქანა იდგა, რომელიც ტელეფონებით იყო აღჭურვილი. უცებ მოვიდა ერთი ახალგაზრდა დაცვიდან და უთხრა, რომ მას ურეკავდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო ქალბატონი მანანა, რომელიც მას ესაუბრა. ზვიადი დარჩა და ბოლომდე მიიღო ტყვიების ის წვიმა, რომელიც სტყორცნეს მთავრობის სახლს. ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში მე მიწევდა მთავრობის სახლში შესვლაც და გამოსვლაც. ზვიადმა გვთხოვა, რომ მე და ავთანდილ რცხილაძეს ყურადღება მიგვექცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და მისი ოჯახისთვის. ჩვენ ყოველდღე მივდიოდით მასთან ოჯახში, ამას დაადასტურებენ ქალბატონი მანანა და, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროც. 28 დეკემბერს მთავრობის სახლში შესვლა შეუძლებელი გახდა, ის ალყაში მოაქციეს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროში რა ხდებოდა?

– ეს ცალკე საუბრის თემაა. ეს იყო აბსოლუტურად დემორალიზებული უწყება, რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მე მათ პირველსავე დღეს ვთხოვე: თქვენ ხელისუფლება არ გთხოვთ მხარდაჭერას, ჩვენ თქვენგან მოვითხოვთ, შეასრულოთ პროფესიული მოვალეობა და, როდესაც ამ მოწოდებით მივმართე შინაგან საქმეთა სამინისტროს, დარბაზში ექვსი კაცი იჯდა. ეს ძალიან დიდი ტრაგედია იყო, მაშინ მინისტრი გახლდათ დილარ ხაბულიანი, რომელიც დღეს **„ნაციონალური მოძრაობის“** ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა.

– მთავრობის სახლში ადამიანები თავიანთი ნებით იყვნენ?

– რა თქმა უნდა. მეტიც, როდესაც პირველად ესროლეს მთავრობის სახლს, ზღვა ხალხი მოაწყდა, მაგრამ დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა თქვა, ჩვენ არ ვიცით, ვინ არის შერეული ამ ხალხშიო. ვერ გარისკეს მათი შემოშვება მთავრობის სახლის ეზოში, თორემ იქ უამრავი ხალხი იყო, რომლებსაც სურდათ ხელისუფლების დაცვა. ეს არ არის გადაჭარბებული და არც თავის მოსაწონებლად ნათქვამი სიტყვები. ზვიად გამსახურდიამ მაშინვე აირჩია მოწამეობრივი გზა, როდესაც ჩაიკეტა მთავრობის სახლში, 4.000-მდე კაცი ჰყავდა და სულის შებერვით გააქრობდნენ მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ზვიადმა ეს არ გააკეთა და ბოლომდე მიიღო დარტყმა.

– ახლანდელი გადასახედიდან, რა ჯობდა ქვეყნისთვის, რომ გაექრო?

– თვითონ ზვიადმა გასცა ამას პასუხი თავის დროზე, ჩვენ გავიმარჯვებდით და მათზე გამარჯვება არ იყო დიდი პრობლემა, მაგრამ მორალურად დავმარცხდებოდითო. ზვიადი ამქვეყნიდან მორალურად გამარჯვებული წავიდა.

– ქვეყანა როგორი დარჩა?

– რაც შეეხება ქვეყანას: ნებისმიერ შემთხვევაში ზვიადის პოზიცია ცამდე მართალი იყო და ეს გახლდათ მამულიშვილის, ერისკაცის პოზიცია. ზვიადის იდეალი იყო ქართველი მარტვილი, სამშობლოსთვის წამებული ადამიანი და ის, ალბათ, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ელოდებოდა ამ მდგომარეობაში ჩადგომას და მას უფალმა მიანიჭა იმის უნარი, ყოფილიყო სამშობლოსთვის წამებული და დევნილი და არა მარტო სიცოცხლეში. სიკვდილშიც დევნილი იყო ზვიად გამსახურდია. ამიტომ არ არის საჭირო გამოძიებების ჩატარება, მით უფრო, პოლიტიკური კონიუნქტურის დასაკმაყოფილებლად, რაც კოკო გამსახურდიამ გააკეთა. ზვიად გამსახურდიას ცხოვრების, განსაკუთრებით, ბოლო ორი თვე, ფაქტობრივად, იყო ასკეტისა და წმიდანის ცხოვრება. თუკი ვინმეს რამე პრეტენზია აქვს ზვიად გამსახურდიასთან, მე ვურჩევდი, მისი ცხოვრების შესწავლა დაიწყოს მისი აღსასრულიდან, მისი ფინალიდან.

– რა მისცა ამ ქვეყანას მისმა მოწამეობრივმა აღსასრულმა: რით გაამდიდრა, რა ჯობდა: ცოცხალი დარჩენილიყო თუ მოწამეობრივად აღსრულებულიყო?

– როდესაც ეგრეთ წოდებული მონანიება მოხდა, რაც სუფთა წყლის პოლიტიკური ტაქტიკა იყო, მას დაუწყეს ყიჟინა, შენ უნდა მომკვდარიყავი და ერთი კარგი სალოცავი ხატი გვეყოლებოდაო. მახსოვს, ზვიადის გაოგნებული სახე, კი მაგრამ, რას მისცემდათ მათ დღეს ჩემი სიკვდილი? მე მოვკვდებოდი, მაგრამ მე უნდა მებრძოლაო. ის უკან დახევაც, რომელიც მან გასული საუკუნის 70-იან წლებში გააკეთა, იყო ტაქტიკური, მით უფრო, რომ მაშინ ძალიან რთული სიტუაცია იყო, მას გადაასახლებდნენ საქართველოდან და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. რა მისცა საქართველოს ზვიად გამსახურდიას მოწამეობრივმა აღსასრულმა? ჩვენ უნდა გავიაზროთ არა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას მოწამეობრივი ცხოვრება, არამედ, რისთვის ეწამნენ ჩვენი ჰაგიოგრაფიის გმირები. თავი დავანებოთ შუშანიკს, ჰაბოს, ისინი არაქართველები იყვნენ და მხოლოდ რელიგიური რწმენა აღაფრთოვანებდათ. გავიხსენოთ გრიგოლ ხანძთელი, უამრავი სხვა და ბოლოს, ორი ქართველი რაინდი: ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებმაც ყველაფერი გადაიტანეს, ტალახიც, ფურთხიც, ყველანაირი შეურაცხყოფა, მიმსგავსებული, რაც გადაიტანა ჩვენმა მაცხოვარმა. ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის. მოდი, ასე შევაფასოთ: ისინი არ შეიძლება, იქცნენ მდუმარე ქანდაკებებად, მავზოლეუმებად, პირამიდებად, ისინი აუცილებლად მოახდენენ გავლენას ქართველ საზოგადოებაზე. მე ვფიქრობ, რომ მომავლის საქართველო დაეფუძნება ამ ღირებულებებს. თუ ამ ღირებულებებს არ დაეფუძნება მომავლის საქართველო, ის იქნება განწირული, გადაგვარებული და არაქართული საქართველო. მე ვიცი ყველა სენტენცია, რომელიც დაკავშირებულია ოპტიმიზმთან, რომ ოპტიმისტები ცუდად აზროვნებენ, რომ ოპტიმისტები ცუდად წერენ, მაგრამ ქართველი ერისადმი რწმენაში ვერაფერი შეარყევს ჩემს ოპტიმიზმს, იმიტომ რომ ჩვენ მეოცე საუკუნის მიწურულს საბჭოთა პირობებში დაბადებულ ქართველ საზოგადოებაში გვყავდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც გვიდასტურებს, რომ, თურმე, ვერც ერთი პოლიტიკური სისტემა ვერ აღემატება ღვთაებრივ კანონზომიერებას. ზვიადმა და მერაბმა დაამტკიცეს ჩვენი ისტორიის უადრესად მნიშვნელოვან პერიოდში, რომ, თურმე, არ შეიძლება, პიროვნება მოაქციო სისტემის კლანჭებში, პიროვნება თავისუფალი რჩება მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოში მძვინვარებს ტოტალიტარიზმი და ავტორიტარიზმი. ეს თაობებს გადმოგვედო და ჩვენ ამ ადამიანებმა გვაგრძნობინეს, რომ სისტემები ვერ თრგუნავს პიროვნების თავისუფლებას.

– მე მაინც მგონია, რომ ვერ გამოვიყენეთ ეს თავისუფლება, იმიტომ რომ თავისუფლება დიდი ტვირთია. ორიოდ სიტყვა ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის პიროვნულ დაპირისპირებაზეც ვთქვათ. რომელმა გაიმარჯვა, უკვე, ალბათ, შეიძლება ამის შეფასება?

– ჩინებული ჟურნალისტი მელორ სტურუა თავის უბრწყინვალეს პუბლიცისტურ წერილში: **„ზვიად გამსახურდიას ტრიუმფი და გამარჯვება“**, შენიშნავდა – ედუარდ შევარდნაძეს ხალხი მოსთხოვს მხოლოდ გაზს, შუქს, წყალს და სხვას არაფერს. მაგრამ, თუ ედუარდ შევარდნაძე ამას ვერ გააკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის დაიღუპება საქართველოში, იმიტომ რომ მისგან არავინ მოითხოვს იმ იდეალების განხორციელებას, რომელიც თავის დროზე ზვიად გამსახურდიას ჰქონდაო. ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის გზები არასდროს გადაკვეთს ერთმანეთსო. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების საქართველო ზვიად გამსახურდიასგან არ მოითხოვდა პურს და სანახაობას, ედუარდ შევარდნაძეს კი ჩამოსვლისთანავე მოსთხოვა. განსხვავება ედუარდ შევარდნაძესა და ზვიად გამსახურდიას შორის აბსოლუტურად თვალშისაცემია. როგორი უცნაურიც უნდა იყოს, გლობალურ ომში დამარცხებულმა ზვიად გამსახურდიამ მაინც მიაღწია გამარჯვებას, ანუ მორალური გამარჯვება, რაც ზვიად გამსახურდიამ მოიპოვა, გაცილებით თვალშისაცემია და მუდმივად დარჩება ქართველი ერის ისტორიაში. მელორ სტურუამ ზუსტად გაავლო სადემარკაციო ხაზი, რით შეიძლება იყოს განსხვავებული ზვიად გამსახურდიას ქართული იდეალი და პრაგმატული საქართველო ედუარდ შევარდნაძის სახით. ედუარდ შევარდნაძე დამარცხდა თავის პრაგმატიზმში. მას არ გაუმართლა თავის პოლიტიკურ კარიერაში. ზვიად გამსახურდია მთაწმინდაზე განისვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის ტოლი და სწორია, მიუხედავად იმისა, რომ დღესაც არ ნელდება მისადმი ბიოლოგიური ზიზღის გამოხატვა. ზვიად გამსახურდია გამარჯვებული წავიდა ამ ქვეყნიდან, ედუარდ შევარდნაძე კი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ცხოვრებიდან მიდის დამარცხებული და თავლაფდასხმული.

„პენსიების ზრდა მთავრობის გადაწყვეტილებაა და „ნაციონალებს“ არაფერი „გამოუღლეტიათ“

არჩევნების მოახლოებამ და პარლამენტის ზეწოლამ შედეგი გამოიღო და 2016 წლის ივლისისათვის პენსიების გაზრდა გადაწყდა. ასაკით პენსიონერები დამატებით 20 ლარს მიიღებენ. ნომინალური პენსია კი 180 ლარს გაუტოლდება.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2016 წლიდან ჯანდაცვის ბიუჯეტი სამ მილიარდ ლარს გადააჭარბებს და დაახლოებით 3 მილიარდ 100 მილიონი ლარი იქნება.

„თუ ჯანდაცვის ბიუჯეტი 2012 წელს 1 მილიარდ 800 მილიონ ლარს შეადგენდა, 2016 წელს ის 3 მილიარდ ლარს გადააჭარბებს. მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის გამოყოფილი იქნება დაახლოებით 570 მილიონ ლარამდე, რაც 2012 წელს არ იყო გათვალისწინებული. ყველას მინდა შევახსენო, რომ ყველა მოქალაქე არის დაზღვეული და სახელმწიფო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარჯს ფარავს“,– აღნიშნა მაშინ პრემიერმა.

მისივე თქმით, დევნილებისთვისაც გათვალისწინებულია 85 მილიონ ლარამდე. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მომავალი წლის პირველი ივლისიდან პენსია იზრდება. ყოფილ პრემიერს ამ საკითხზე საუბარი ჰქონდა ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურთან და გადაწყდა, რომ პენსიები იყოს 180 ლარი. გარდა ამისა, მომავალი წლისთვის გაიზრდება როგორც პენსიები, ისე პედაგოგთა საბაზო ხელფასები.

„შევახსენებ ყველას, 2012 წლიდან ჩვენ პენსიები გავზარდეთ 64%-ით. ეს არის 600 მლნ ლარამდე მატება, თუ შევადარებთ 2012 წლის ბიუჯეტს ამ მიმართულებით, ანუ 600 მლნ ლარით მეტს გავცემთ პენსიონერებისთვის. შევახსენებ ყველას, 2012 წლამდე პენსია იყო 110 და 125 ლარი, რადგან იგი დიფერენცირებული იყო. ამის შემდეგ გავათანაბრეთ პენსიები და მუდმივად ვზრდით. მალე პენსია იქნება 180 ლარი. ასევე ვმუშაობთ ინტენსიურად საპენსიო რეფორმაზე, რომ დაინერგოს პენსიის დაგროვებითი სისტემა და ეტაპობრივად გადავიდეთ ახალ სისტემაზე“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს შეფასებით, პოლიტიკოსების მიერ გაცემული დაპირება უნდა იყოს არა პოპულისტური, არამედ რეალურ გათვლებზე დაფუძნებული. მთავრობა შეასრულებს იმ კანონს, რასაც დაამტკიცებს პარლამენტი. პენსიის 20 ლარით გაზრდა ამ ეტაპზე სავსებით რეალურია.

რაც შეეხება საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის გაზრდას, რაც 2016 წლის ბიუჯეტის კანონპროექტითაა გათვალისწინებული, სერგეენკო ამბობს, რომ ეს ბუნებრივი პროცესია და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგივე პრაქტიკაა.

„საყოველთაო ჯანდაცვა იყო ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წინგადადგმული ნაბიჯი, რაც გაკეთდა. ხაზი მინდა გავუსვა ორ პოსტულატს – არ არსებობს სახელმწიფოში უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა. ჯანდაცვაში დახარჯული ფული არ არის უბრალოდ დახარჯული, არამედ ეს არის პირდაპირი ინვესტიცია ეკონომიკაში. რაც შეეხება იმას, რომ საყოველთაო ჯანდაცვაში გახდა საჭირო თანხის დამატება, ეს ბუნებრივია, რადგან მთელ მსოფლიოში ასე ხდება“,– აცხადებს ჯანდაცვის მინისტრი.

დავით სერგეენკო აღნიშნავს, რომ საქართველოს შემთხვევაში მოსახლეობის ნახევარი, ვინც ვერ ახერხებდა ექიმთან მისვლას, დღეს ამას აკეთებს სწორად და უარს ამბობს თვითმკურნალობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რეფორმა სწორია.

საერთო ჯამში, 2016 წლის ბიუჯეტი 10 მილიარდ 145 მილიონი ლარი იქნება.

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა დაადასტურა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი 10 მილიარდ ლარს გადააჭარბებს.

„2016 წლის ბიუჯეტი 10 მილიარდ 145 მილიონი ლარი იქნება. ეს არის ის პარამეტრი, რომელზეც ჩვენ უკვე ავაგეთ ბიუჯეტის პროექტი და წარვუდგენთ საქართველოს პარლამენტს“,– განაცხადა ხადურმა და დასძინა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალური ხარჯების გაზრდა და ადამიანებზე ზრუნვა. მათ შორისაა ჯანდაცვის პროგრამაც.

„ჯანდაცვის პროგრამაზე ჩვენი ოპონენტები ამბობენ, რომ უვარგისია რატომღაც. ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა თურმე არ უნდა იყოს სახელმწიფოს პრიორიტეტი“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

პრემიერ-მინისტრის კითხვაზე, რამდენი იყო ბიუჯეტი 2012 წელს, ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ დაახლოებით 8 მილიარდი ლარის ფარგლებში მერყეობდა.

პენსიების 20-ლარიანი ზრდა არ ნიშნავს იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაწყებულ კამპანიას შეწყვეტს. ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ჭიაბერაშვილმა განმარტებით, პირიქით, ისინი კვლავ მოითხოვენ პენსიები 50 ლარით გაიზარდოს, ვინაიდან ბიუჯეტს ამის რესურსი აქვს.

„საკმარისი რესურსია და ეს ჩვენ დასაბუთებულადაც დავუდეთ მათ. მხოლოდ 20 ლარით მომატებას 84 მილიონი ლარი სჭირდება, როცა რესურსი გაცილებით დიდია. ამიტომ, ჩვენ ვაგრძელებთ კამპანიას და ზეწოლას ხელისუფლებაზე. რომ არა ეს ზეწოლა, აღნიშნული 20 ლარიანი მატებაც არ იქნებოდა“,– აღნიშნავს ჭიაბერაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის გიგი წერეთლის თქმით, მთავრობის გადაწყვეტილება პენსიების ზრდასთან დაკავშირებით, დადებითად ვერ შეფასდება, რადგან 2012 წლის შემდეგ, 450 მილიონით გაზრდილი ბიუროკრატიული ხარჯების ფონზე, ეს არ არის საკმარისი.

„ხალხს უჭირს და პენსიონერების პენსია შემცირებულია ამ სამი წლის განმავლობაში, მსყიდველობითი უნარითაც და დოლარში მიმართებაშიც ლარის კურსის დაწევის გამო – თუ 2012 წელს ეს იყო დაახლოებით, 91 აშშ დოლარი, დღეს ეს არის 67 დოლარის ფარგლებში. სწორედ ამ ვითარებაში ჩინოვნიკებისთვის ახალ მანქანებს, ახალ ავეჯს ყიდულობდნენ და მოგზაურობებსა და სტუმრების მიღებაში ხარჯავდნენ ფულს, ბიუჯეტის თანხები იხარჯებოდა პროექტებში, რომლებიც გაურკვეველი სათაურებით იყო მხოლოდ მითითებული ქაღალდზე, სამაგიეროდ იზრდებოდა პრემიები და სახელფასო დანამატები.

პენსიონერებს და სოციალურად დაუცველ ადამიანებს, სამწუხაროდ, რომელთა ერთადერთი შემოსავალი შეიძლება იყოს პენსია და სოციალური დახმარება, დევალვაციის და ლარის კურსის დაცემის, მაღალი ინფლაციის გამო, დღეს უწევთ მრავალი პრობლემის გადალახვა, მათ შორის საკვების თუ მედიკამენტების მიღების მხრივაც“, – აცხადებს წერეთელი და აღნიშნავს, რომ იმ კამპანიის ფონზე, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ აწარმოებდა, შეიძლება ითქვას, რომ მათ პენსიონერებისთვის მთავრობას 20 ლარი „გამოღლიტეს“, განსაკუთრებით თბილისის მერის დავით ნარმანიას და ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი კაკაურიძის განცხადებების ფონზე.

„ნარმანია აცხადებდა, რომ არ აპირებს ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას, კაკაურიძე აჟღერებდა ჩვეულებრივ დაპირებას – ჩვენ ვიმუშავებთ, თუმცა ბიუჯეტის პროექტში პენსიების გაზრდა არ იყო მითითებული.

ვფიქრობ, რომ ჩვენი აქტიური კამპანიის ფონზე და რეალური და არა პოპულისტური ციფრების და გათვლების მოსახლეობისთვის გაცნობის შემდეგ, მთავრობა იძულებული გახდა ეს გადაწყვეტილება მიეღო. მთავრობასაც შევახსენეთ მათი წინასაარჩევნო დაპირებას პენსიის 220 ლარამდე გაზრდის შესახებ“, – განაცხადა წერეთელმა.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის თეიმურაზ ჭკუასელის განცხადებით, ის თვითონ იყო პოლიტსაბჭოს წევრი და იმ სხდომის უშუალო მონაწილე, სადაც სწორედ პენსიების ზრდის საკითხი განიხილებოდა და „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არავითარ „გამოღლეტვას“ ადგილი არ ჰქონია, მთავრობის გადაწყვეტილებაც მათი დამსახურება არ არის.

„ფინანსთა მინისტრთან ერთად ჩვენ გავიარეთ ყველა საკითხი და მივიღეთ გადაწყვეტილება შესაძლებლობიდან გამომდინარე, რომ პენსიები გაზრდილიყო 1 ივლისიდან 20 ლარით.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი საკითხი – პენსიების გაზრდა, ბუნებრივია, შეიძლებოდა, თუ ჩვენ სახელმწიფო დაზღვევის დაფინანსებას არ გავზრდიდით. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მოსახლეობას ეს პროგრამა აუცილებლად სჭირდება, ისინი ბევრად უფრო დაცულნი არიან ამ პროგრამის მოქმედების ქვეშ. ამ პროგრამის დამსახურებაა ისიც, რომ გაიზარდა პენსიონერთა რაოდენობაც საქართველოში.

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ის დრო, როდესაც ადამიანები სახლებს აგირავებდნენ, ყველაფერს ყიდდენ იმისთვის, რომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება მიეღოთ.

გიგი წერეთელს და ყველა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მინდა შევახსენო, რომ გაეკეთებინათ ეს ყველაფერი იმ ცხრა წლის განმავლობაში, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. ვინ უშლიდა ხელს ამაში? მაგრამ მათ არც თავისი მოსახლეობა და პენსიონერები აინტერესებდათ. უხერხულიც კია, რომ მათ განცხადებებზე კომენტარები უნდა გავკეთოთ“, – აღნიშნა ჭკუასელმა.

რაც შეეხება, ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი კაკაურიძის განცხადებას პარლამენტში, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი აცხადებს, რომ ისინი მსჯელობდნენ პენსიების გასაზრდელ მოსაძიებელ სახსრებზე, თუმცა საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ სახსრები ამ ეტაპისთვის ჯობდა, ჯანდაცვის სისტემას მოხმარებოდა.

„პენსიების მატება სწორედ მთავრობის და პარლამენტის დამსახურებაა. შედეგი სახეზე გვაქვს. გადავწვიტეთ, ძირითადი რესურსები ჯანდაცვის სისტემის გაზრდას მოხმარებოდა, ვიდრე ამ ეტაპზე პენსიების ზრდა უფრო მეტი ყოფილიყო“, – აღნიშნა ჭკუასელმა.

ეკა ბუჩუკური, ბექა დანელია

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ბატონ იოსებ (სოსო) თორიას დედის

ჯულიეტა მსხილაძე-თორიას

გარდაცვალების გამო

გენო კალანდია რუშნი ჯოპუას გარდაცვალებაზე: დაგვტოვა კოხტა აფხაზმა

2016 წლის 9 იანვარს, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზი არტისტი, პოეტი და დრამატურგი რუშნი ჯოპუა. იგი სოხუმში 12 იანვარს დაკრძალეს. მანამდე აფხაზეთის დრამატულ თეატრში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, მოგვიანებით მოეწყო სამგლოვიარო მიტინგი.

საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე და პოეტი გენო კალანდია, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს, ამბობს, რომ რუშნი ჯოპუა მისი უახლოესი მეგობარი იყო.

“კოხტა აფხაზმა დაგვტოვა. იცით როგორი იყო? აი, ტიპიური აფხაზი – ემოციური, ფიცხი, სხვათაშორის მდეროდა ძალიან კარგად. მიუხედავად მისი ფიცხი ხასიათისა ჩვენ არასდროს გვიჩხუბია. აი, ცნობილი გამოთქმა რომ არის – აფხაზივით კოხტა კაციო, ის ამართლებდა ამ გამოთქმას. ის იყო ძალიან კარგი მსახიობი. წერდა კარგ პიესებს, რომლებიც ძალიან აქტიურად იდგმებოდა ჩამბას სახელობის სოხუმის აფხაზურ თეატრში. მე აფხაზურიდან ვთარგმნე მისი პიესა “ძმის სისხლი”. ეს იყო რაღაც ძალიან მწარე სიმბოლო, რადგან 25 წლის შემდეგ იქ მართლა დაიღვარა ძმის სისხლი. ის იყო თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტში აკაკი ხორავას აფხაზური ჯგუფის წევრი. მაშინ იქ ბევრი აფხაზი სწავლობდა და ასე ეძახდნენ ამ ჯგუფს. აქ იყვნენ ის მსახიობები, რომლებიც ამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გახდნენ სოხუმის თეატრის მსახიობები”, – აღნიშნა გენო კალანდიამ.

პოეტის ინფორმაციით, რუშნი ჯოპუას პიესის მიხედვით ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში აფხაზმა რეჟისორმა დიმიტრი კორტავამ სპექტაკლი დადგა, სადაც თავად რუშნი ჯოპუასთან ერთად მოწვეული იყვნენ სხვა აფხაზი ხელოვანები:

“ეს იყო დიდი დღესასწაული. ზუგდიდის თეატრში აფხაზი დრამატურგის პიესა დადგა აფხაზმა რეჟისორმა. მაშინ ამ პრემიერაზე მოწვეული იყო 100 ცნობილი აფხაზი, ყველა ვისაც კავშირი ჰქონდა ხელოვნებასთან. ეს იყო ერთგვარი ზეიმი აფხაზებისა და ქართველების – ზუგდიდში”.

გენო კალანდიას სიტყვებით, ომის შემდეგ აფხაზ მეგობართან ურთერთობას ისე აქტიურად ვერ აგრძელებდა, თუმცა მოკითხვებს საერთო ნაცნობების საშუალებით ერთმანეთს მაინც უთვლიდნენ.

“თუ ვინმე ჩამოვიდოდა იქიდან ჩემი მეგობარი, უპირველეს ყოვლისა მოკითხვას ვაბარებდი რუშნი ჯოპუასთან. ჩვენ მთელი ცხოვრება ერთად მოვდიოდით, მაგრამ სამწუხაროდ ომმა დაგვაშორა...”, – ამბობს პოეტი.

რუშნი ჯოპუა 1934 წლის 25 თებერვალს ოჩამჩირის რაიონში დაიბადა. დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოგვიანებით – მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თეატრალური კურსი. 1961 წლიდან რუშნი ჯოპუა იყო აფხაზეთის დრამატული თეატრის მსახიობი. 1985 წლიდან ამავე თეატრში სამხატვრო საბჭოს მდივანი – ლიტერატურის განხრით.

რუშნი ჯოპუას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს აფხაზეთის სახალხო არტისტის, აფხაზეთის დამსახურებული არტისტის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული და ადიღეის დამსახურებული არტისტის წოდება. იყო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი, **“ახძ-აპშას”** მესამე ხარისხის ორდენის კავალერი. არის 12 წიგნის ავტორი.

ილორი

ედუარდ აიჰვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში დაცული ცნობები სამეგრელოს შესახებ

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ხორგის სახელით ოთხი სოფელია ცნობილი ხობის მუნიციპალიტეტში: გამოდმა შუა ხორგა, გაღმა შუა ხორგა, გამოდმა პირველი ხორგა და გაღმა პირველი ხორგა. ფაქტობრივად ხორგად იწოდებოდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ხობისწყლის ორივე მხარეს, პირველ ხორგასა და ქარიატას შუა (ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, 227). ხორგა მოიხსენიება შუა საუკუნეების არაერთ საისტორიო წყაროში. 1673-1696 წლებით დათარიღებულ **„შეწირულობის წიგნში“** აღნიშნულია, რომ ხორგას მცხოვრები ერთი კომლი აზნაურიშვილი მორდებუ გიგიბერია და ცხრა კომლი გლეხი აფხაზეთის კათალიკოს დავით ნემსაძეს ბიჭვინთის ღვთისმშობლისთვის შეუწირავს (ქართული სამართლის ძეგლები, 3, 612. იხ. აგრეთვე გვ. 646, 670, 778, 1016). 1706 წელს შედგენილი **„შეწირულების სიგელში“** დასახელებულია ნაპარკევის სასახლე სოფელ ხორგაში და საეკლესიო ბეგარის გადამხდელი გლეხები. სხვა საბუთში გვხვდება ხორგის უბანი საკუტალიო (კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 90-92, 144).

ხორგა აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ე. წ. **„ლათინურენოვან რუკაზე“** (1654 წ.). ხოტევის ეკლესიაში დაცული ვერცხლის ჭურჭლის წარწერაში რაჭის ერისთავი მერაბ წულუკიძე ტრაბახობს: **„...და ძმა ნიკორწმინდელათ დამისვამს, და მეორე ძმა კიდევ ხობს სოფელათ დამისვამს ნასუჯუნევს ხორგას...“** (ბერაძე თ., რაჭა, 90-91).

ვახუშტი ბატონიშვილი მდ. ხობისწყალს შეცდომით **ხორგისწყლის** სახელით მოიხსენიებს: **„და ამ ფოთის ჩდილოთ კერძ შესდის ზღუას ხორგის წყალი“; „მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა“** (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 777-778).

XVII ს. მიწურულსა და XVIII ს. I ნახევარში მოღვაწეობდა ხორგელი მერაბ ჯაიანი. 1696-1742 წლებით დათარიღებულ პირობის წიგნში ვკითხულობთ: **„ესე მტკიცე... წიგნი მოგართვი თქვენ კ(ათალი)კ(ო)ზს ბატონს გრიგოლს ჩვენ ჯაიანმა მერაბ, ასე რომ ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქმნა და მერე ამ ხელი კაცი ვარ და იქ აღარ გვედგომებოდა და მოვედი, შემოგეხვეწეთ და წყალობა გვიყავით და ჩვენს სიცოცხლეში დაგვაყენეთ და ჯიქთუბანს სამი მოსახლე გლეხი გვიბოძეთ“** (კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 149-150). წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ხორგაში ჯაიანები მკვიდრობენ ჯერ კიდევ XVII ს-ის II ნახევარში. 1673-1696 წწ. ჯაიანთა საგვარეულოს წარმომადგენლებიდან ცნობილი დეისმა ჯაიანი, პროფ. ო. სოსელიას ვარაუდით, ხორგას მოურავი უნდა ყოფილიყო (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბილისი, 1973, 293-295).

ლევან V დადიანის დროს ხორგაში მოღვაწეობდნენ ძმები – ოტია, გიორგი და ლევან ჯაიანები (სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, 298).

XIX საუკუნის სტატისტიკური აღწერილობის მასალების მიხედვით ხორგას ექვსი ეკლესია და ერთი სკოლა აქვს (ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, 324).

სოფელ ხორგის თავად ჯაიანისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს ტოპონიმ **ჯაიანიშ მუხური** დამოწმებაც. ასე ეწოდება სახნავს ხობისწყლის ნაპირას, რომლის ერთი ნაწილი შუა ხორგას, ხოლო მეორე ნაწილი – ქარიატას ეკუთვნის (ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, 191, 233).

სამეგრელოს შესახებ ედუარდ აიჰვალდის ჩანაწერებში დაცული ცნობებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცხენისწყლის დინების შესახებ მოგზაურის შემდეგმა მსჯელობამ: **„მართალია რიონი ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას ჩაედინება ზღვაში, სამაგიეროდ თავის კალაპოტს ძალზე ხშირად იცვლის. ცხენისწყალს ასიოდე წლის წინ სულ სხვა დინება უნდა მიეღო და 10 ვერსით ზემოთ ჩრდილოეთისკენ უერთდება რიონს. ამჟამად ძველ კალაპოტებში ძალზე მცირე წყალია, ძალიან თხელია, მაგრამ მით უფრო მეტ კირქვის ქვებს გვიჩვენებს, რომლებიც ადრე უგორებია და რომლებიც ახლა მთელ კალაპოტს ფარავენ. ახალი ტოტი რიონში ძველი კალაპოტის შესართავიდან 17 ვერსზეა დაცილებული და, როგორც ითქვა, 10 ვერსზე აღწევს მას ჩრდილოეთით“** (იქვე, 206).

ცხენისწყლის ძველი ნაკალაპოტარის შესახებ ცნობები აისახა ტოპონიმიაშიც. ნამდინარევს ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ტყვირსა და ნაესაკაოში **ნაცხენწყარუ** ეწოდება. ნოდელის ქვემო წელიც ასე იწოდება. ორი საუკუნის წინ ცხენისწყალი კეთილარსა და გულეიკარს შუა დიოდა. თვით რიონი კი ფიჩორის კალაპოტში მიედინებოდა და ცხენისწყალიც იქ ერთოდა. დღეს ეს ნაკალაპოტარი კოდორსა და კეთილარს შუაა მოქცეული. საგულისხმოა, რომ ცხენისწყლის არხი ქვიშანჭალასა და გაუწყინარში ასევე **შავღელედ// ნაცხენწყოდ// ნაცხენწყარად** იწოდება. არხი მდინარეს სოფ. ქვიშანჭალაში, ჩაჩიბაიების ადგილში გამოეყოფა და რიონს შეერთვის გაუწყინარის ტერიტორიაზე, კურდღელიაში (ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII, აბაშის რაიონი. თბილისი, 2013, 187, 258).

სამეგრელოს დასახლებული პუნქტებიდან სამოგზაურო ჩანაწერებში გვხვდება აგრეთვე **სენაკი**. ასე ეწოდება ამჟამად ქალაქს და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონის (მუნიციპალიტეტის) ცენტრს ოდიშის დაბლობზე, ტეხურის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 28 მ-ზე. ამასთანავე, ძველი სენაკი სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია, რაც სენაკს 7 კმ-ით არის დაშორებული. XVII ს. იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ ოდიშის სამთავროს რუკაზე, მდინარეებს – ტეხურსა და ხობისწყალს შორის, **sinaghi**-ს ფორმით დატანილი და იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ბრძანებით 1737 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნული **„სენაკები“** ერთსა და იმავე პუნქტს, დღევანდელ ძველ სენაკს გულისხმობს (იხ. ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. **„მაცნე“**, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია. 3, თბილისი, 1971, 151).

სენაკს მოიხსენიებს აგრეთვე XVIII ს. ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი. ტეხურის ხეობის აღწერისას მეცნიერი წერს: **„ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა. ამას ზეით, კიდევ ტეხურისავ კიდეზედ, არს სენაკს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოსისა“**. სოფელი სენაკი გვხვდება არაერთ ისტორიულ დოკუმენტში (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. კეკელია ი., ოდიშარია დ., სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი. ქუთაისი, 2012, 70-75).

რედუტიდან 22 ვერსის მოშორებით აიჰვალდი ასახელებს ხორგას სადგურს, ხოლო ამ უკანასკნელიდან 17 ვერსზე – სახარბედიოს: **„აქ სამეგრელოს მთები საფოსტო შარას სულ უფრო ახლოს ადგებიან და საფნის ტყეები დიდი რაოდენობით ჩნდებიან. ჩვენ გადავედით ხიდით ერთ მდინარეზე“** (იქვე, 225-226).

სოფელი სახარბედიო მდებარეობს ციის ორივე ნაპირსა და ეკის მთის კალთაზე და თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის. 1696-1742 წლების ახლო ხანებში დაწერილი საბუთიდან ირკვევა, რომ გრიგოლ კათალიკოსს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის შეუწირავს **„სახარბედოს ეჯიბია ივანელა მისის ცოლშვილით, სახლკარითა... ხუცესი ხარიბედია მისის ცოლშვილითა...“** (კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფილისი, I, 1921, 156). აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის სიგელში (1706 წ.) ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულთა შორის მოხსენიებულია **„სახარბედიოს სამი გლეხი, ორი ხოსიაი და სარჯელიაი... ეჯიბია მუთალა და მისი შვილი...“** (კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 1921, 91). იმავე სიგელის თანახმად, **„მართებს... სამს მოსახლეს ხარაბედიას და ეჯიბიას ოროლი ლოდარიკონი სანთელი..“** (იქვე, 93). ფრანგი მოგზაურისა და კონსულის – ჟაკ ფრანსუა გამბას თქმით, სახარბედიო წარმოადგენდა საკმაოდ ამაღლებულ პლატოზე აშენებულ, ორასი გაფანტული სახლისაგან შემდგარ სოფელს. აქ იდგა კაზაკთა საგუშაგო, რაც ზემოდან დაჰყურებდა მდ. ციას. მდინარის გაღმა, ხეებით გარშემორტყმულ საუცხოო საძოვრებს სახარბედიოს გლეხები საქონლის საბალახოდ იყენებდნენ. **„სახარბედიოს პლატოს ჰავა სავსებით ჯანსაღია და სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ აქ არცერთი ავადმყოფი ჯარისკაცი არ იყო. ჩვეულებრივად, კაზაკთა საგუშაგოებისათვის ადგილს ასე კარგად ვერ არჩევენ ხოლმე“** – წერს გამბა (გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, 124).

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის (XIX ს. 30-იანი წლები) მიხედვით სახარბედიო სუჯუნის მაზრაში შემავალი სოფელია. 1855 წლის საარქივო დოკუმენტში (ფ. 489, აღწ. 6) დასახელებულია სუჯუნის მაზრის სოფ. სახარბედიოს წმ. გიორგის ეკლესია. 1846 წლის საარქივო დოკუმენტის (საქმე №633) თანახმად ამ ეკლესიის მღვდელი ვასილ ხარბედია ყოფილა (ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, 64). 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში სენაკის მაზრის სოფლებს შორის დასახელებულია სოფ. სახარბედიო ერთი ეკლესიით (სახარბედიოს შესახებ ვრცლად იხ. კეკელია ი., ოდიშარია დ., სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, 68-69).

სახარბედიოდან აიჰვალდს ამოფუღურული პატარა ნავით გადაუცურავს ძალზე სწრაფი და იმ დროს ძალზე ადიდებული მდ. **ტეხურა**. გაუვლია აგრეთვე მდ. **აბაშა**, რომლის სახელსაც ატარებდა სადგურიც: **„ამ სადგურამდე გავედით აბაშაზე, რომელიც ატარებს მის სახელს; ის აქ საკმაოდ ღრმა წყალს მიაქანებდა, რაც ცხენებს მუცლამდე სწვდებოდა, თუმცა არ იყო ისეთი ჩქარი, როგორც ტეხურა“** (იქვე, 226).

აბაშა ეწოდება ქალაქს და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (მუნიციპალიტეტის) ცენტრს ოდიშის დაბლობზე, ამავე სახელწოდების მდინარესა და ნოღელას შორის. აბაშა ზ. დ. 23 მ. სიმაღლეზეა. ამ პუნქტს თავის სამოგზაურო ჩანაწერებში მოიხსენიებს გამბა, სადაც საუბარია აბაშის კაზაკთა პოსტზე, რაც ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე მდებარეობდა. გამბას აღწერით, აბაშის პოსტიდან მოყოლებული მარანამდე მთელს ამ მხარეში იყო ხშირი ტყე, უფრო მეტად კი – სახნავ-საბალახოები. მოგზაურს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებისა და მდგომარეობის გაუმჯობესების უდავო მაჩვენებლად მიუჩნევია სახნავისათვის მიწის საკმაოდ ვრცელი ფართობების გამოყოფა. მრავლად ხარობდა ატამი, ლედვი და ბოსტნეული. ხეხილზე ვაზი იყო მირგული. აბაშიდან რამდენიმე ვერსზე, ხისაგან აგებული ორი მონასტრის გალავანს შიგნით იდგა შავი თუთის ხეები. გამბას თქმით აბრეშუმის პარკის გამოყვანა და აბრეშუმის რთვის ხელოვნება ამ მხარეში სრულიად ახალი საქმეა. ნოტიო ჰავა ხელს უშლის აქ ცხვრის მოშენებას, მაგრამ მემამულეებს მრავლად ჰყავთ თხის ჯოგი და ღორების კოლტი (გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, 128-129; მსჯელობისათვის ვრცლად იხ. კეკელია ი., აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი. ქუთაისი, 2011, 10-17).

რედუტ-კალედან უკან გამობრუნებული აიჰვალდი სადგურ აბაშიდან 12 ვერსის გავლის შემდეგ ცხენისწყლის ძველ კალაპოტთან მისულა, შემდეგ კი ახალ კალაპოტზე ბორანით გადასულა და გუბისწყლის სადგურის გავლით გზა გაუგრძელებია ქუთაისისკენ. ამით სრულდება სამეგრელოში გერმანელი ბუნებისმეტყველის მოგზაურობის ვრცელი და უაღრესად საინტერესო აღწერილობა (იქვე, 226).

უკანასკნელ ხანს სამეგრელოს შესახებ მრავალი მონოგრაფია და სტატია გამოქვეყნდა, მაგრამ ასეთი მზარდი ინტერესის მიუხედავად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას შემდეგი: რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ სამეგრელოს წარსული, დღემდე გამოცემული და ჩვენ ხელთ არსებული რამდენიმე ათეული მონოგრაფიისა და ცალკეული გამოკვლევის არსებობის შემთხვევაშიც კი, საბოლოოდ მაინც იმ შეხედულების აღიარება მოგვიწევს, რომ ბევრი რამ ამ რეგიონის ისტორიიდან გამოსამზეურებელია, მთელი რიგი საკითხებისა კვლავაც საგანგებო კვლევასა და ახლებურად გააზრებას საჭიროებს. ეს კი შეუძლებელია, უპირველეს ყოვლისა, ევროპელ ავტორთა ცნობების გაანალიზების გარეშე.

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – ედუარდ აიჰვალდის სამოგზაურო ჩანაწერების მნიშვნელობა, რომელიც ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით ავსებს ჩვენ ცოდნას XIX საუკუნის პირველი მესამედის სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე.

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი

„სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დასტურდება „ვილაიეთი გურჯისტანის“ არსებობა“

„ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ალი ნასერ ალ-ობეიდი, რომელიც ჩრდილოეთ ერაყსა და აღმოსავლეთ სირიის სამხედრო მეთაური იყო, ლიკვიდირებულია. ის დაჯგუფებაში აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის შემდეგ მეორე პირი იყო, რომელიც საკუთარ თავს ხალიფას უწოდებდა. **„ისლამური სახელმწიფო“** კი ევროპას მასიური ტერაქტებით ემუქრება. პარალელურად ცნობილი ხდება, რომ პარიზში მოკლული ტერორისტი თავს ქართველად ასაღებდა. **„ისლამური სახელმწიფოს“** წევრი პარიზში მდებარე პოლიციის ერთ-ერთ შენობას დაესხა თავს, რა დროსაც ისლამურ ლოზუნგებს სკანდირებდა.

შეგახსენებთ, რომ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადმა ქართულენოვანი მიმართვა გამოაქვეყნა, სადაც ის მოუწოდებს ყველა მუსლიმანს მებრძოლთა რიგებში გაწევრიანდნენ, **„რადგან ეს არის ბრძოლა, რომელიც ყველა მუსლიმანს ეხება“.**

ჟურნალისტთან საუბრისას უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი, ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ საფრთხე რეალურია, რადგან **„ისლამური სახელმწიფო“** საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენს.

ვახტანგ მაისაია: – საქართველოს მოქალაქეები იმყოფებიან სირიაში, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ იზიარებენ **„ისლამური სახელმწიფოს“** იდეოლოგიას, მაგრამ არიან ქართველი მუსლიმები, რომლებიც არ იზიარებენ ამ იდეოლოგიას. რა კატეგორიაზეა გათვლილი მიმართვა, რომელიც ვრცელდება **„ისლამური სახელმწიფოს“** მიერ?

მიმართვა მიმართულია იმ ნაწილისთვის, რომლებიც არ იზიარებენ ისლამისტების იდეოლოგიას. მიმართვაში ნახსენებია ფრაზა – **„ყველა ის მებრძოლი, რომელიც ჩვენ გვებრძვის“,** როგორც ჩანს, ისლამისტები აპირებენ გააქტიურდნენ ცენტრალურ აზიაში და ავღანეთში, რაც ჩვენს სამშვიდობო კონტიგენტსაც შეიძლება არაპირდაპირ შეეხოს.

– ქართულენოვანი მიმართვის პარალელურად ცნობილი გახდა, რომ პარიზში მოკლული ტერორისტი თავს ქართველად ასაღებდა. მეტიც. მან მოითხოვა თავშესაფარი და დაბადების ადგილად მიუთითა საქართველო. ეს ორი ფაქტი ადასტურებს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ საქართველოში აქვს დასაყრდენი ძალა და რამდენად ძლიერია ეს ძალა?

– რაოდენობაზე ძალიან რთულია საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში მათ ჰყავთ მხარდამჭერები. როდესაც ეს ჯგუფი გააქტიურდება, მაშინ გამოჩნდება **„ისლამური სახელმწიფო“** რა ძალას ფლობს რეალურად. ჯერჯერობით ისინი თავს ინახავენ, თუმცა, როგორც ჩანს, გარკვეული დროის პერიოდში აპირებენ გააქტიურებას.

ეს რა პერიოდია?

როდესაც გაიცემა ბრძანება, რომ გამოვიდნენ იტაქვეშეთიდან და დაიწყონ გააქტიურება. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დასტურდება **„ვილაიეთი გურჯისტანის“** არსებობა. სამწუხაროდ, საფრთხე რეალურია. ეს ჯგუფი კარგად არის კონსპირირებული და საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენს. როგორც გითხარით, რაოდენობაზე ჯერჯერობით რთულია საუბარი, მაგრამ ზოგჯერ რაოდენობა შეიძლება მცირე იყოს, მაგრამ ხარისხობრივად იყოს ძლიერი და ეფექტური. ლიბანის მსგავსად საქართველოშიც არსებობს სერიოზული ქსელი.

– თქვენ ამბობთ, რომ „ვილაიეთი გურჯისტანის“ არსებობა დასტურდება, თუმცა საპირისპიროს ამტკიცებს ძალოვანი სტრუქტურა. ბატონო ვახტანგ, საქართველოს შემთხვევაში როგორ დასტურდება „ვილაიეთი გურჯისტანის“ არსებობა?

– გარდა ქართულენოვანი მიმართვის გავრცელებისა, გაჩნდა ქართულენოვანი საიტი და კონკრეტული პროპაგანდისტული ინსტრუმენტი. შეგახსენებთ, რომ საქართველოში დააკავეს 2 ჯგუფი, რომელთაც აღმოაჩნდათ ვილაიეთისთვის დამახასიათებელი მასალები, რაც უკვე ადასტურებს, რომ ისინი საკმაოდ ინტენსიურად მოქმედებენ.

საქართველოს შემთხვევაში მოქმედებს მიძინებული ვილაიეთი და როგორც ჩანს, საკამოდ კარგი დაფინანსებაც აქვთ. ახლა მთავარია მიძინებული ქსელები არ გადავიდნენ ნახევრად მიძინებულ დონეზე, რადგან ამ შემთხვევაში, მათ უკვე ექნებათ საბრძოლო ჯგუფები. მიძინებული ვილაიეთი არის დაჯგუფება, რომელიც მოქმედებს იატაქვეშეთში და ასრულებს მეორხარისხოვან დავალებას.

თამთა ქარჩავა

წიგნი საქართველოზე

წინამდებარე ნაშრომი ჩემმა სიყრმის მეგობარმა, უტყუარმა კაცმა და ოჯახისა და სამშობლოს ღირსეულმა შვილმა ოთარ ჭითანავამ მომაწოდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მას.

როლანდ ჯალაღანია

ქართველი და ჩეხი ხალხების კულტურული კავშირ-ურთიერთობა მე-19 საუკუნის დამდეგიდან იწყება. ამ საკითხე ბევრი საინტერესო მასალა გამოუქვეყნებიათ როგორც ჩვენს, ისე ცნობილ ჩეხ მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს. ჩეხეთზე პირველი სრულყოფილი წარმოდგენა მოგვცა ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა და მოგზაურმა, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილმა თეიმურაზ ბაგრატიონმა. ჩვენი აზრით, იგი პირველი ქართველია, რომელმაც მოიარა ჩეხეთი (ბოჰემია) და მოგვცა მისი ვრცელი და საინტერესო აღწერა. თეიმურაზ ბატონიშვილის (ბაგრატიონი) შრომის – **„მოგზაურობა ჩემი ევროპისა და სხვათა და სხვათა ადგილთა“** წყალობით ქართველი საზოგადოება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშივე ეცნობა ჩეხეთის (ბოჰემიის) ბუნებას, ქალაქებს, სამკურნალო ადგილებს და, რაც მთავარია, მებრძოლი და შრომისმოყვარე ხალხის ყოფაცხოვრებას. აღნიშნული შრომა ჩეხი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობის კიდევ ერთი უტყუარი ფაქტია, რომელმაც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მეცნიერულ-კულტურული კავშირი გააბა ამ ორ გეოგრაფიულად ერთმანეთისგან საკმაოდ შორს მდებარე, მაგრამ ბუნებრივი პირობებით, ისტორიული და სულიერი თვისებებით მსგავს ქვეყნებს შორის. თეიმურაზის ნაშრომს ამჟამადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

თუ თეიმურაზ ბატონიშვილი პირველი ქართველთაგანია, ვინც ბოჰემიის სრული აღწერა მოგვცა, ჩეხ მოგზაურთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის ასევე პირველი ადგილი უნდა მივაკუთნოთ გამოჩენილ ჩეხ მწერალსა და პოეტს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჩეხური დემოკრატიული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელს სვატოპლუკ ჩეხს (1846-1908 წწ.) ლიტერატურული წყაროებით ცნობილი იყო, რომ როგორც სვ. ჩეხს, ისე სერვაც ჰელურს და იოზეფ გიუნშს სხვადასხვა დროს უმოგზაურიათ კავკასიაში, კერძოდ – საქართველოში – მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და ამ მოგზაურობათა შთაბეჭდილებები წიგნებად გამოუციათ, მაგრამ დღემდე ისინი ქართველი მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის უცნობი იყო.

ამას წინათ ჩეხეთიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა, რომ პრაღის კრაკოვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა სვატოპლუკ ჩეხის 90-გვერდიანი წიგნის **„მოგზაურობა კავკასიაში“** რამდენიმე ეგზემპლარი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დახმარებით შევძელით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა.

მოკლედ, სვ. ჩეხის ბიოგრაფიის შესახებ: სვატოპლუკ ჩეხი დაიბადა 1846 წლის 21 თებერვალს, ქალაქ ბენეშოვის მახლობლად ისტრშედეკში. ბავშვობა და ყრმობა მან შუა ჩეხიაში გაატარა. მომავალი მწერალი დემოკრატიულ გარემოცვაში იზრდებოდა და ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში განიმსჭვალა მშობლიური ხალხისადმი სიყვარულით. პრაღის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე ხანი იურიდიულ პრაქტიკას გადიოდა, ხოლო შემდგომ მთლიანად ეზიარა ლიტერატურასა და საზოგადო მოღვაწეობას.

სვ. ჩეხი იყო ერთ-ერთი პირველი მწერალი, რომელიც მიესალმებოდა მუშათა მოძრაობას ჩეხეთში და არაერთხელ აუსახავს მუშათა კლასის ბრძოლა თავის ნაწარმოებებში.

სვ. ჩეხი ლიტერატურაში შევიდა პირველად როგორც პოეტი, მაგრამ არანაკლები როლი შეასრულა პროზის განვითარების საქმეშიც. მისი შემოქმედების აღმავლობის ხანა მე-19 საუკუნის ბოლო წლებს ემთხვევა.

1888 წელს მან შექმნა თავისი საუკეთესო პროზაული ნაწარმოები, ისტორიული მოთხრობა **„პან ბროუჩეკის მოგზაურობა XV საუკუნეში“**, რომელშიც გაამათრახა ბურჟუაზიის ანტიპატრიოტიზმი და ხალხს მოუწოდა ჰუსისტური მოძრაობის რევოლუციური იდეების გაგრძელებისკენ. ამას მოჰყვა მისი ბრწყინვალე პოემა **„მონის სიმღერა“**, რომელიც მსოფლიო კლასიკური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშია. სლავი ხალხის გმირული გამოძახილი იყო მისი დაუმთავრებელი პოემა **„ტრამალები“**. აქ იგი წარმოგვიდგენს სლავი ხალხის გენიალური მგოსნების პუშკინისა და მიცკევიჩის სახეებს.

1874 წელს სვ. ჩეხმა იმოგზაურა საქართველოში. ამ მოგზაურობით გამოწვეული მრავალმხრივი და საინტერესო დაკვირვებანი შემდგომში მრავალჯერ აისახა მწერლის ნაწარმოებში. ასევე წლების განმავლობაში სვ. ჩეხი ჩეხეთის ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა მნიშვნელოვან მასალებს საქართველოზე, ქართველ ხალხზე. ხოლო 1884 წელს პრაღაში გამოდის მისი ფუნდამენტური წიგნი **„მოგზაურობა კავკასიაში“**.

რითია ეს წიგნი გამორჩეული და ღირსშესანიშნავი, რა მასალებია აქ თავმოყრილი? პირველ რიგში აღსანიშნავია უცხოელის თვალით აღწერა იმჟამინდელი საქართველოს ისტორიული ადგილებისა და მეორე მხრივ, თუ რას წარმოადგენდა ქართველი გლეხკაცი და რითი სუთქავდა იმდროინდელი ჩვენი ქალაქი თუ სოფელი.

საქართველოში სვ. ჩეხი პოლონეთის საზღვრებიდან უკრაინისა და შავი ზღვის სანაპიროს გავლით ჩამოსულა. ამ მოგზაურობას ოთხ თვეზე მეტი დრო დასჭირდა და, რასაკვირველია, უცხოელ მწერალს შესაძლებლობა მიეცემოდა თვალნათლივ ეხილა კავკასიის სოფლებისა და ქალაქების უმრავლესობა.

წიგნი ოთხი ნაწილისა და თერთმეტი თავისაგან შედგება: ადიღე-სვანეთი-ქუთაისი-მოწამეთა-უფლისციხე-ტფილისი-კოჯორი-მანგლისი-ცხინვალი-არაგვისპირეთი-ვლადიკავკაზი. თითოეულ მათგანზე ჩეხი მწერალი გვაწვდის საინტერესო დახასიათებას და თავისებურ ანალიზს უკეთებს უძველესი ქართული კულტურის ძეგლების, ხეროთმოძღვრების ნიმუშების მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიის ფონზე. როგორც ირკვევა, მისი თქმით, მოგზაურობამდე იგი შეძლებისდაგვარად გასცნობია კავკასიის ხალხების წარსულის ფურცლებს და განსაკუთრებით დაინტერესებულა ივერთა მხარით, რომელსაც წიგნში **„რომანტიკული ისტორიის და ზღაპრული ბუნების“** ქვეყანას უწოდებს.

როგორც წიგნის შესავალში თვით ავტორი აღნიშნავს, კავკასიაში მოგზაურობაზე მას ორი წიგნი გამოუცია: პირველი – 1884 წელს, რეპორტაჟებისა და ნარკვევების სახით, სათაურით **„მოგზაურობის სურათები“**. 1885 წელს კი – **„მოგონებები სამხრეთზე“**. ხოლო წიგნში **„მოგზაურობა კავკასიაში“** წარმოდგენილია 1874-1875 წლებში მიღებული შთაბეჭდილებანი, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალ **„ლუმინარში“**.

„ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წიგნი, – ამბობს სვ. ჩეხი,– **დიდი გულისხმიერებით და სიფაქიზით მივუძღვენი საქართველოს. მსურდა ჩვენში, შორეულ ჩეხეთში გარკვეული წარმოდგენა ჰქონოდათ ამ ქვეყანაზე, ვინაიდან იგი ყოველთვის იყო უცხოელ მოგზაურთა ერთ-ერთი საინტერესო მხარე თავისი უძველესი ისტორიითა და კულტურით, რომელიც დღემდე შემოინახა ქართველმა ერმა, თუმცა დიდის ვაი-ვაგლახით. ისტორიათა ბედი ჩეხეთსა და საქართველოს მუდამჟამს აუტანელი ჰქონდათ. ახლაც გასაჭირი დაგვტრიალებს თავს. ყუმბარასა და ხმალს ისტორია ვერასოდეს გაუთელავს. ეს ახლაც ასეა, მაგრამ ჩვენი ხსნა ერთობაშია! ბრძოლაა საჭირო ერთიანი, რევოლუციური!“**

სვ. ჩეხის ეს სიტყვები პროგრესული მიზნების ნათელი გამოხატულებაა და მეტყველებს თავისუფლებისათვის ბრძოლისა და ერის კულტურის აყვავების იდეებზე. აი, სწორედ ამ მხრივ არის გამოჩენილი ჩეხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სვატოპლუკ ჩეხის წიგნი **„მოგზაურობა კავკასიაში“** ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი და იგი ქართველი და ჩეხი ხალხების მეგობრობაზე მეტყველებს.

ალ. კაკულია,
საქართველო-ჩეხეთის ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ!!!

აი, 2015 წელიც მიითვალა ჟამთაგანმრიგემ... დასრულდა იგი და დაგვიტოვა უამრავი ახდენილი თუ აუხდენელი მიზნები, ოცნებები, იმედები... მხედველობაში მაქვს: პირადში და საზოგადოებრივში, რა თქმა უნდა... მაგრამ მე, ამ შემთხვევაში, აქ საქვეყნო, საკაცობრიოზე უფრო გავამახვილებ ყურადღებას, რადგან გულწრფელად არ მაინტერესებს არავის პირადი ცხოვრება და თუთაშხიასი არ იყოს: არავის საქმეში არ ვერევი მე... ყველას ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით გაგვიმარჯოს იმდენად და იმ დოზით, რა დოზითაც ის წინააღმდეგობაში არ იქნება ეროვნულ-ტრადიციულ-ქრისტიანულ ფასეულობებთან, ასევე, ჩვენი ხალხის წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთობლიობის უწყვეტობასთან!..

ვერ ვიტყვი, რომ ეს წელი განსაკუთრებულად ცუდი იყო ჩვენი სამშობლოსათვის. ვფიქრობ – არა! მაგრამ არ ვიქნები გულწრფელი თუ არ ვიტყვი ერთ რამეს... ანუ, რა მინდა ვთქვა: არა და არ გამოიკვეთა უფსკრულის კიდესთან მყოფი საქართველოსათვის საფრთხეების აცილების სასიკეთო ნიშნები! ეს საფრთხეები და გამოწვევები კვლავ არსებობს რეალურად და ისიც მინდა ვთქვა, რომ ის არა თუ არსებობს – უფრო მატულობს კიდეც... საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავალი კვლავაც დიდი კითხვის ნიშნის წინაშეა და თუ კარგად, ცნობიერად, ობიექტურად და მამულიშვილურად დავინახავთ რეალობას, მაშინ ეს რეალობა მართლაც სავალალოა! არ უნდა დიდი შორსმჭვრეტელობა იმას, რომ ანალიტიკური და საღი აზროვნების ადამიანებმა დაინახონ პერსპექტივა... ეს პერსპექტივა კი არის ასეთი: ჩვენს საყვარელ მამულს ელოდება გამთლიანება კი არა, უდიდესი ალბათობით სრული გავერანება და დეზინტეგრაცია! ხოლო ერი ჩვენი... მრავალ ქარტეხილებს დღემდე ასე თუ ისე გამოცდენილი კოლხიბერი – ასევე, უდიდესი ალბათობით საერთოდ შეუერთდება კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გამქრალ ერებს თუ ეთნოსებს!.. კი, მაგრამ რაშია გამოსავალიო – მკითხავს მავანი და მეც მინდა ასეთნაირად ვუპასუხო, რომ გამოსავალი, ხსნა ისევ ჩვენშია... ანუ ჩვენში უნდა გამოვაღვიძოთ მიძინებული თვითგადარჩენის რეფლექსი! საღად, გონივრულად უნდა გავაანალიზოთ არსებული რეალიები და დავსახოთ საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლისათვის ოპტიმალური, პრაგმატული, სტრატეგიულად გამართლებული ორიენტირები! ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს კორდონებსიქითა ინტერესების პრიორიტეტულობა საქართველოს ინტერესებთან მიმართებაში! მხოლოდ ურთიერთინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელი კონსესუსის საშუალებით უნდა წარიმართოს საგარეო ურთიერთობანი და, აქედან გამომდინარე, უნდა ხდებოდეს საჭიროებისდა მიხედვით მისი კორექტირებაც! აი, ამ მიმართულებით უნდა მოძრაობდეს, ვითარდებოდეს საზოგადოებრივი აზროვნება და, აქედან გამომდინარე, დაკვეთის შემსრულებელი უნდა იყოს ამავე საზოგადოებრიობის მიერ არჩევნების დროს დაქირავებული ნებისმიერი სახელისუფლებო პოლიტიკური ძალაც!.. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, ჯერჯერობით, შეიძლება ითქვას, რომ აქამდე არც არაფერი გვქონდა სატრაბახო! იმ ავადმოსაგონარი კრიმინალური პუტჩის შემდგომ ჩვენი სამშობლო ფაქტიურად არშემდგარი, კოლონიური და უფსკრულის პირას მყოფი ქვეყანაა, მაგრამ ამაზე მე ფაქტიურად ზემოთ უკვე გავამახვილე ყურადღება და ახლა მეტს აღარ განვავრცობ...

ასეა თუ ისეა... ავად თუ კარგად... 2015 წელიც მიილია... შევთხოვ უფალს, რომ 2016-ში სასიკეთოდ და ბედნიერად, ეროვნული სახელმწიფოებრიობის გადრჩენის გზაზე შეუქცევადად წარმართულიყოს საქართველოს და ქართველი ერის სვე-ბედი!..

თითოეულ ჩემს თანამემამულეს უპირველესად და ასევე, პლანეტის მოსახლეობასაც ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ მშვიდობიან, ნათელ მომავალს!..

გილოცავთ!!!

ზურაბ კვარაცხელია
ქ. ზუგდიდი

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲣᲙᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲩᲐᲛᲝᲔᲠᲗᲕᲐᲗ

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლება არ გამორიცხავს, რომ მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, საქართველოს მოქალაქეობა უკრაინაში დასაქმებულ სხვა ქართველებსაც ჩამოერთვათ. ამრიგად, სხვებისათვის დაგებულ ხაფანგში **“ნაციონალები”** თავად გაებნენ ორივე ფეხით და მათთვის პოლიტიკურად მიუღებელი პიროვნებების წინააღმდეგ მიღებული კანონი ახლა უკვე მათ წინააღმდეგ მუშაობს. მაგრამ საკუთარი ცოდვების სხვებზე გადაბრალების **“დიდოსტატი”** დაშნაკი ნაცები მაინც ჩვეული უტიფრობით ამტყუნებენ ოცნების ხელისუფლებას და აღნიშნული კანონით ჟონგლირებაში სდებენ მათ ბრალს. მაგრამ მათი უკვე აღარც საქართველოში სჯერათ და აღარც საქართველოს ფარგლებს გარეთ, რადგან ევროამერიკელები, როგორც ჩანს, უკვე დაიღალნენ ნაცების უსაგნოდ დაცვით და ქართველ ხალხს მიანდეს საბოლოოდ მათი პოლიტიკური მომავლის გასაწყვეტის საკითხი.

“ნაციონალების” მომავალი კი მთლად ნათელი და ამ დაშნაკებისათვის იმედისმომცემი რომ არ არის, ამაში უკვე თვით ყველაზე პირწავარდნილ ნაცებსაც კი აღარ ეპარებათ ეჭვი!

“Главком”-თან ინტერვიუში, ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ საუბრისას ბატონმა მიხეილ უკლებამ აღნიშნა, რომ **“ასეთივე პროცედურა ახლა სხვა პირებთან მიმართებაში მიმდინარეობს”.**

“საქართველოს კონსტიტუციაში ნათლად წერია, რომ საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია, იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქე იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა სახელმწიფოს წინაშე არსებული დამსახურების გამო ენიჭება. მოქალაქეობის შეწყვეტის და მიღების პროცედურები გაწერილია კანონში “საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეობას კარგავს პირი, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქე ხდება. ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში საქმე გვაქვს კონსტიტუციისა და კანონის ნორმების აღსრულებასთან. გუბერნატორად მისი დანიშვნის შემდეგ ჩვენ უკრაინულ მხარეს მივმართეთ და მათ ოფიციალურად შეგვატყობინეს, რომ მან მიიღო უკრაინის მოქალაქეობა, რის შემდეგაც მას შეუწყვიტეს საქართველოს მოქალაქეობა. ახლა იგივე პროცედურა მიმდინარეობს სხვა პირებთან მიმართებაში”,– განაცხადა უკლებამ.

კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ეს, რომ პრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ განკარგულებებს უკრაინის ხელისუფლებაში მყოფი სხვა ქართველების მიმართაც გამოსცემს, მიხეილ უკლება აცხადებს, რომ ეს **“აუცილებლად მოხდება”.**

ბნელეთი და მასთან მებრძოლები

ბრძნული ნაშრომი რომ არასოდეს არ ფერმკრთალდება, უდავოა. აწგარდაცვლილი შესანიშნავი მოზროვნის კახა კაციტაძის სტატია **„ბნელეთი და მასთან მებრძოლები“** ამის აშკარა დასტური გახლავთ. აღნიშნული წერილი, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს, პორტალზე For.ge **ჯერ კიდევ 2011** წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა და დღემდე არ დაუკარგავს აქტუალურობა.

დღეს, დღიდან დღემდე, საათიდან საათამდე, სულ უფრო საცნაური ხდება სააკაშვილის რეჟიმის მახინჯი მხარეები. სულ უფრო საცნაური ხდება, რომ საქართველოში რადაც არა მხოლოდ დალპა და იშლება, არამედ შეუქცევადად ნადგურდება.

ვფიქრობ, მოვიდა დრო, დაიწყოს იმის გააზრება, რა ტიპის არსება, რა სახის მუტანტი, მონსტრი (ადამიანს ვერ ვუწოდებ) წარმოიქმნა სააკაშვილის რეჟიმის ტრანსფორმაციის პირობებში.

თავიდან ერთი შენიშვნა **„ტაბულაში“** გამოქვეყნებულ თამარ ჩერგოლეიშვილის წერილის ერთ მონაკვეთზე, სადაც ავტორი წერს: **„უკანასკნელმა მოვლენამ (წერილი 23 აგვისტოს დაიბეჭდა), კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლებს ამ ინსტიტუტების იმედი ვერ ექნებათ. სიბნელესთან ბრძოლაში ისინი (კონტექსტით ჩანს რომ იგულისხმება ქართული მედია, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადება – კ.კ.) როგორც წესი, კონსპირაციის თეორიებს აგებენ, საბაბს ეძებენ, რის გამოც სულისკვეთების გაზიარებაზე უარს იტყვიან და ხელს დაიბანენ, ან უმწეობას იჩენენ, ანდაც ბარიკადის მეორე მხარეს დგებიან“.**

მოკლედ **„ტაბულა“** და მისი მამა – **„თავისუფლების ინსტიტუტი“** – აწ მძიმე დღეში რომ არის, საქართველოს გვყოფს **„თავისუფლების მებრძოლებად“** და **„ბნელებად“.**

„ბნელებს“, აწ მიშას ბრძნული მმართველობის პირობებში, აღარაფერი დაგვრჩენია გაქრობის გარდა.

საერთოდ, როდესაც ადამიანი უეცრად განაცხადებს – მე ადამიანი კი არ ვარ, თავისუფლებისთვის მებრძოლი ვარ, რომელიც სიბნელეს ვებრძვიო, ბუნებრივად გაგიჩნდება კითხვა: თუ გაიარა ამ ადამიანმა კონსულტაცია მედიცინის ცნობილი სფეროს სპეციალისტებთან?

ასეთი კითხვის დასმის სურვილი კიდევ უფრო გაგიძლიერდება როდესაც ასეთ **„მარგალიტსაც“** წაიკითხავ: **„სინამდვილეს რომ თვალი გავუსწოროთ, დავინახავთ, რომ ანტილიბერალური ძალები გაუცნობიერებლად არ მოქმედებენ. მათ საკუთარი სიმართლის რწმენა და კონკრეტული იდეა ამოძრავებთ – მართალია ბნელი, მაგრამ ნათლად დასახული მიზნის მისაღწევად იბრძვიან. ამ ბრძოლაში თავისუფლების ბედი წყდება“**

ამასთან – **„სიბნელის დამარცხებას, ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს“.**

მოკლედ, ჩვენ ვერ გაგვიგია და, საქართველოში თურმე მიდის გადამწყვეტი ბრძოლა სიბნელესთან და ბნელ ძალებთან.

იბრძვიან საურონის ლაშქარი და ნათლითმოფენილი თეთრი საძმოს წევრები. თანაც, ამ ბრძოლაში თურმე თავისუფლების ბედი წყდება.

და ამ სისულელეების, ამ მესიანისტურ, მართლაც რომ ბნელ, ფუნდამენტალისტურ თეზისებს ისვრიან ადამიანები, რომლებიც თავს არა მხოლოდ ლიბერალებს უწოდებენ, არამედ ლიბერალიზმის ფლაგმანებად მიაჩნიათ თავი და ინკვიზიციური მეთოდებით ცდილობენ ხელისუფლებასთან ერთად დაამკვიდრონ ის მახინჯი ღირებულებების სისტემა, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ ლიბერალიზმს უწოდებენ.

სინამდვილეში, ისინი ფუნდამენტალისტები არიან, ასე ვთქვათ – ლიბერალ-ფუნდამენტალისტები, გაცილებით ბნელნი, ვიდრე ოდესღაც მათ მიერვე გაპიარებული ბასილ მკალავიშვილის მომხრეებს წარმოგვიდგენენ.

ბნელნი არიან არა მხოლოდ იმიტომ, რომ არიან უმეცარ-უწიგნურები, არამედ, პირველ რიგში, მათი ბოღმიანი, შეუწყნარებელი, აგრესიული მიდგომების გამო; იმის გამო, რომ ამტკიცებენ თითქოს ერთადერთ ჭეშმარიტებას ისინი ფლობენ.

დიახ – ქართული საზოგადოება ებრძვის ასეთ სიბნელეს. სიბნელეს, რომელიც თავს ცოდნის სინათლედ წარმოგვიდგენს.

და ამ ბრძოლაში მართლაც ყველა უნდა გავერთიანდეთ, თუგინდ იმ იდეის გამო, რომ ვერავის ექნება საბოლოო ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზია.

მართლაც რომ სწორი ნათქვამია **“აქ და ახლა, ბოროტება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ კარგი ადამიანები უქმად (უფრო ზუსტად – უმოქმედოდ – კ.კ.) იქნებიან”.**

ლიბერალ-ფუნდამენტალისტები, როგორც მანიქეველები

მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს, რომ უმაღლეს და საბოლოო ჭეშმარიტებას ფლობს, და ამბობს, რომ სამყარო ნათელი და ბნელი ძალების ბრძოლის ასპარეზია, სადაც თვით ისინი ნათლის მხედრები არიან, ხოლო ოპონენტები – ბნელები, რომ მიდის გადამწყვეტი ბრძოლა მათ შორის და კეთილებმა ნებისმიერი, თუგინდ უღირსზე უღირსი საქციელის ფასად უნდა გაიმარჯვონ, **“მანიქეველობა”** ეწოდება.

„ტაბულას“ რედკოლეგიაში, კიდევ უნდა იყვნენ ფილოსოფოსები, რომლებსაც სამეფო კარზე ტაკიმასხარებად მუშაობის პერიოდში კვალიფიკაცია ბოლომდე არ დაუკარგავთ.

აღმოსავლეთში ჭეშმარიტების დაუფარავად მთქმელნი, ანუ ფილოსოფოსები, ჩვეულებრივ, სამეფო კარის მასხარები არიან. ჩვენთან სამწუხაროდ ფილოსოფოსთა მოზრდილი ნაწილი საკუთარი სურვილით იქცა სამეფო კარის მასხარებად.

ჰოდა ამ ფილოსოფოსყოფილმა ადამიანებმა ქალბატონ ჩერგოლეიშვილს უნდა აუხსნან ვინ იყო მანიქეველთა სექტა და რა სახით ვრცელდებოდნენ ისინი საქართველოში.

გიგა ბოკერია და ბინქარან მაცდური

ჩვენში მანიქეველობა გავრცელებული ყოფილა დაახლოებით 4-5 საუკუნეებში, ცნობილია მათი ერთი ლიდერთაგანის ბინქარან მაცდურის შესახებ. ახლა მანიქეველობის ლიდერობაზე პრეტენზიას გიგა ბოკერია აცხადებს. ჯანმრთელობის გაუმჯობესების პარალელურად გადაწყვეტილი მაქვს დავწერო ისტორიული ბესტსელერი დენ ბრაუნის სტილში: ქართული მანიქეველობა – ბინქარან მაცდურიდან გიგა ბოკერიამდე. ვიმედოვნებ, მკითხველი ხელს გამიმართავს.

ეჭუს შესახებ

მაგრამ რა შუაშია და ვინ არის **ეჭუ**, რომლის გამოყვანასაც ჩვენი მანიქეველნი აპირებენ.

ეს არსება სვიფტის **„გულივერის მოგზაურობის“** პერსონაჟია, რომელსაც გულივერი მეოთხე მოგზაურობისას გადაეყრება კეთილშობილი ცხენისებური არსებების – ჰუინგმების ქვეყანაში.

ეჭუ (Yahoo ზუსტად ემთხვევა ინტერნეტის საძიებელი სისტემის სახელს, რაც ამ სისტემის შემოქმედებმა სპეციალურად გააკეთეს – სეთი სრულყოფილი სისტემაა ეჭუსნაირი გონებასუსტიც კი გამოიყენებსო.

ეჭუები ადამიანისებრი ამაზრზენი არსებები არიან – გაველურებულები, ყოველგვარ ადამიანურ კულტურას მოკლებულნი. ისინი ჰუინგმების ქვეყანაში ზღვით მოსულან, სადაც პარტნიორებს გადაუსვამთ და მიუტოვებიათ. ორი ეჭუ მთებში დასახლებულა და გამრავლებულა, მაგრამ მათი შთამომავლები ძალიან გაველურებულან. გულივერი ვარაუდობს, რომ ეჭუები ინგლისიდან უნდა იყვნენ გამოსულები, თუმცა ეს დანამდვილებით არსაიდან ჩანს.

ეჭუები დაჯილდოებულნი არიან ადამიანური ნაკლოვანებების მთელი თაიგულით. სახელდობრ:

სიხარბე: „თუ ხუთ ეჭუს მოუტანთ 50-სთვის სამყოფ საკვებს, ისინი იმის ნაცვლად, რომ მშვიდად დაიწყონ ჭამა, იწყებენ ჩხუბს, რათა ყველაფერი ერთ მათგანს დარჩეს“

აბრესიულობა: „ეჭუებს შორის ბრძოლები ყოველგვარ ხილულ მიზეზს გარეშე იწყება. ეჭუები თავს ესხმიან მეზობელ ეჭუებს... წარუმატებლობის პირობებში ისინი შინ ბრუნდებიან და მტრის არყოფნის გამო ერთმანეთთა იწყებენ ბრძოლას“.

ხელისუფლება ეჭუებთან: „ჯოგების უმრავლესობას რაღაც ბელადების მაგვარიც ჰყავს... რომლებიც, როგორც წესი, მთელს ჯოგში ყველაზე მათხოჯები და ბოროტები არიან. ყოველ ასეთ ბელადს, ჩვეულებრივ, ჰყავს ფავორიტი, რომელიც ძალიან ჰგავს მას. ფავორიტის მოვალეობაა, ულოკოს ბელადს ფეხები და უკანალი და პერიოდულად მიჰგვაროს ძუკნები ბუნაგში. სანაცვლოდ, მას პერიოდულად აჯილდოვებენ ვირის ხორცის ნაჭრით.

ბელადი ხელისუფლებაშია მანამ, სანამ არ გამოჩნდება უარესი; გადააგდებენ თუ არა ბელადს, ტომის ყველა ეჭუ მჭიდროდ შემოერტყმება გარს და თავიდან ფეხებამდე ამოსვრიან ფეკალიებში“.

ამ ჩვენთვის არცთუ უცნობი სურათის ხილვის შემდეგ გულივერს მძიმე ფიქრები შეიპყრობს: **„როდესაც ვფიქრობდი ჩემს ოჯახზე, მეგობრებზე, თანამემამულეებზე ან, უბრალოდ, ადამიანთა გვარზე, ადამიანებში მათ შიდა წყობასა და გარეგნობაში ვხედავდი რანიც ისინი სინამდვილეში არიან: ეჭუები, შეიძლება მცირედ უფრო ცივილიზებულნი და მეტყველების უნარის მქონენი, მაგრამ მათი გონების გამომყენებლები იმ ბიწიერებათა გასამრავლებლად და გასაძლიერებლად, რომელიც მათ თანამემამულეებს გააჩნიათ“.**

ჩვენი მანიქეველების ამოცანაა საქართველოში ადამიანთა ეჭუიზაციის პროცესი, რასაც თურმე ჩვენი საზოგადოების უმეცრება უშლის ხელს.

როგორც ვხედავთ, მიიღება კიდეც ზომები ქართველთა ეჭუიზაციის დასაჩქარებლად.

„თავისუფლების ინსტიტუტი“ იმედოვნებს, რომ ეს პროცესი აწი უფრო წარმატებულად წავა. ჩვენ საპირისპიროს იმედი გვაქვს. ისე, საბოლოო არჩევანი ჩვენივე გასაკეთებელია: უწიგნურმანიქეველური ეჭუიზაცია გვსურს თუ, ნორმალურ ადამიანებად დარჩენა?

P.S. *პრეზიდენტი (იგულისხმება სააკაშვილი – “ობერი”), რომლის ცოდნა, რბილად რომ ვთქვათ, არასაკმარისია დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გასააზრებლად და მისი ხელქვეითი მანიქეველი ეჭუზატორები პიეტიტით ახსენებენ სიტყვა „მოდერნიზაციას“, რომელიც მათ ადამიანური განვითარების მწვერვალი ჰგონიათ, რომელზეც საქართველო უნდა აიყვანონ.*

არადა ახლა პოსტმოდერნის ეპოქაა, რომლის თვალსაწიერიდან მოდერნიზაცია ისეთივე მოძველებული რამაა, როგორც ბრტყელი დედამიწის არსებობა. არ იციან ეს, და იმის ნაცვლად, რომ მომავლისკენ – პოსტმოდერნის ეპოქისკენ გაგვიძღვნენ, როგორც დღევანდელობის კომპეტენტური და პასუხისმგებელი ლიდერები იქცევიან, წარსულისკენ, მოდერნის და მოდერნიზაციისკენ მიგვათრევენ, რომელიც საარაკო გაუნათლებლობიდან გამომდინარე, ვიმეორებთ, კაცობრიობის განვითარების ყველაზე ბოლო, მოწინავე საფეხური ჰგონიათ.

რატომ ვერ იგებენ ისინი ამ უმარტივეს ჭეშმარიტებას? იმიტომ რომ ეჭუიზირებულნი არიან და ირგვლივაც ეჭუიზაციას აფრქვევენ. ასეთი ადამიანები კი მარად მოდერნის და მოდერნიზაციის სიბნელეში იქნებიან ჩარჩენილები და სხვა რეალობას ისევე უარყოფენ, როგორც პლატონის გამოქვაბულის მითის პერსონაჟები უარყოფენ ყოველგვარ რეალობას აჩრდილების რეალობის გარდა.

ამიტომ, ჩვენი ამოცანაა, აღკვეთოთ მოდერნიზაციის უწიგნური გამოცხადება კაცობრიობის უმაღლეს მიღწევად და ამ მოძველებული, გუშინწინდელი იდეოლოგიის დანერგვა საქართველოში. ხუმრობით თუ ვიტყვით: „არა მანიქეველურ მოდერნიზაცია-ეჭუიზაციას. გაუმარჯოს საქართველოს 21-ე საუკუნის პოსტმოდერნულ მომავალში“.

კახა კაციტაძე

გიორგი თევზაძე: “სომხური მხარე ქართული მართლადიდებლური ეკლესიების მიტაცებას ცდილობს”

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე აპროტესტებს სომხეთის მოთხოვნას 450 ქართულ მართლადიდებლურ ეკლესიაზე და საქართველოს ხელისუფლებას ქმედითი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს.

გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ “პირველი შემთხვევა არაა როდესაც სომხური მხარე უსაფუძვლოდ, ისტორიული ფაქტების დამახინჯებით და მეცნიერული დასკვნების საწინააღმდეგოდ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების მიტაცებას ცდილობს, რისთვისაც საქართველოს მისამართით წამოწევს დაუსაბუთებელ, აბსურდულ და ისტორიულ წყაროებთან სრულიად შეუსაბამო პრეტენზიებს. განსაკუთრებით აქტიურობს ზოგიერთი სომეხი “ისტორიკოსი” და ამ სახის არაკეთილმეზობლური დამოკიდებულება პერიოდულად იჩენს ხოლმე თავს სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ბეჭდური სახით, რითაც ცდილობენ შეცდომაში შეიყვანოთ ადამიანები.

ასევე, ამ ბოლო დროს მედიით გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა, რომ თურმე სომხური მხარეს ჯერ საქართველოში მდებარე 5 ეკლესიაზე ჰქონდა პრეტენზია, რომელიც მოკლე პერიოდში 450 ეკლესიამდე გაიზარდა. ვინმე სამველ კარაპეტიანმა გამოსცა წიგნი, სადაც ეწერა, რომ საქართველოში მდებარე 653 ეკლესია არის სომხური. ეს წიგნი 1995 წელს რუსულ ენაზე გამოიცა და რამდენიმე წლის წინ კი იგი ინგლისურად ითარგმნა.

სადავო ეკლესიების თემას საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა რუსულმა ინტერნეტ-გამოცემამ. გამოცემის ცნობით საქართველოში სომხური ეპარქიის წინაძღვარმა ვაზგენ მირზახანიანმა მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამ საკითხზე დიალოგი დაიწყოს.

გათვითცნობიერებული აქვს რა სომხურ ეპარქიას, რომ საერთაშორისო საეკლესიო ინსტანციებში დავა ამ თემაზე უპერსპექტივოა, აქვე ცნობილი ხდება, რომ სომხური მხარე გეგმავს ეს საკითხი გადაიტანოს კულტურული მემკვიდრეობის დავის სიბრტყეში და ამ თემაზე იუნესკოს მიმართოს. როგორც ჩანს ამ დავის მოცემული სცენარით გაგრძელება მხოლოდ დროის საკითხია და საქართველოს ხელისუფლებას მოეთხოვება სწორი და დროული რეაგირება განახორციელოს ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციაში.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში სადავო ეკლესიების თემა ყოველთვის იყო. ეს საკითხი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც საქართველოს სომეხთა პატრიარქი გარეგინ მეორე ეწვია. მან საქართველოს პატრიარქს სომხური ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭება მოსთხოვა. ამავე დროს გარეგინ მეორე სადავო ეკლესიების გადაცემას მოითხოვდა. საქართველოს ეკლესიის წინამძღოლმა ამის პირობა მისცა, რომ საქართველოში სომხური ეკლესია იმავე სტატუს მიიღებდა, რა სტატუსსაც ეჩმიაძინი სომხეთში ქართულ ეკლესიას მიანიჭებდა.

საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სადავო ეკლესიებზეც ისაუბრა და სომხურ მხარესაც მოსთხოვა სადავო ეკლესიების გადაცემა. ეს შეთავაზება გარეგინ მეორეს არ მოეწონა, რის გამოც სავარაუდოდ ამ თემაზე დროებით საუბარი შენელდა და ამ დღეებში კვლავ ახალი მოთხოვნები იქნა სომხური მხარის წარმომადგენლების მხრიდან დაყენებული.

უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ამ თემაზე არსებობს ქართველ მეცნიერთა არაერთი ფუნდამენტური კვლევა და საფუძვლიანი დასაბუთება, რომლითაც დასტურდება სადავო ეკლესიების ქართული წარმომავლობა. ყველა კვალიფიციური კვლევა დასაბუთებულად ადასტურებს სომხური მხარის პრეტენზიების სრულ უსაფუძვლობას და აბსურდულობას. როგორც ჩანს სწორედ ეს კვლევები წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ სომხური მხარე რატომღაც თავს არიდებს ქართულ მხარესთან ერთობლივი კომისიების შექმნას და ცდილობს საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის იუნესკოს შეცდომაში შეყვანით მიაღწიოს საწადელს. ამდენად, აქ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს დიპლომატიურ ჭრილში საქართველოს მოქმედებათა გააქტიურება, რათა ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია და მათ შორის იუნესკო ფლობდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ინფორმაციას სადავო ეკლესიების ქართული წარმომავლობის თაობაზე.

ამ მხრივ ქართულ ხელისუფლებას და, პირველ რიგში, საგარეო საქმეთა სამინისტროს და ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. სომხური მხარის პრეტენზიების მოსმენისას უნებურად გვახსენდება ილია ჭავჭავაძის **“ქვათა ღაღადი”** და გვიჩნდება ლოგიკური კითხვა, როგორ არ მთავრდება საუკუნეების მანძილზე სომხური მხარის უსაფუძვლო და უკანონო მცდელობები ქართული ისტორიული, მართლმადიდებლური ეკლესიების მიტაცებისათვის. ამ ქართული ეკლესიების დაცვა არის მთელი ქართული საზოგადოების ვალდებულება და პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე”, – ნათქვამია უფლებადამცველის გიორგი თევზაძის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ᲓᲣᲓᲘᲨᲜᲒᲐᲠᲐ

“დუდიშნგარას”, ამ გასაოცარი რიტუალის სათავეები კოლხი ხალხის მითაჟამინდელი ისტორიის სიღრმეებში უნდა ვეძებოთ... ეს ჩემთვის ისეთივე უეჭველია, როგორც, მაგალითად ის, რომ ჩემს მშობლიურ ოფუტეში გამდინარე წენწყარი კერნახონასთან იღებს სათავეს...

სასწაულია ჩემი ხალხის დამოკიდებულება გარდაუვალ გარდაცვალებასთან... რასაკვირველია, ამაზე ტრაქტატები შეიძლება დაიწეროს, მაგრამ მე მეტს აღარ გავაგრძელებ და ერთს ვიტყვი მხოლოდ: “დუდიშნგარა” წლების წინ საკუთარი ხელნაწერის სახით წამაკითხა სულკურთხეულმა გიორგი (ხუტა) ხუფენიამ, რომლის შემდგომაც მე ის მას გამოვართვი ჟურნალ “აიაში” დასაბეჭდად... ბატონმა გიორგი სიჭინავამ კი, რა თქმა უნდა, ეს უნიკალური მასალა უყოყმანოდ დასტამბა...

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

ᲓᲣᲓᲘᲨᲜᲒᲐᲠᲐ – (ᲗᲐᲕᲢᲘᲠᲘᲚᲘ)

მეგრული **“დუდიშნგარა”** სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **“თავტირილს”**, რომელსაც სამეგრელოში ხანდაზმული უხუცესები მიმართავდნენ. ეს ისტორიული წეს-ჩვეულება ძველი კოლხური წარსულიდან მომდინარეობდა, რომელიც ჩემი ბავშვობის დრომდე აქა-იქ კიდევ იყო შემორჩენილი.

როდესაც ღრმად მოხუცებული პიროვნება მიიღებდა გადაწყვეტილებას **“თავტირილის”** ჩატარების შესახებ, ახლობლების საშუალებით ატყობინებდა სოფლის უხუცესებს, მაგრამ დროს და თარიღს არ უზუსტებდა, რადგან თარიღის გამოცხადება უკვე ამ უკანასკნელთა მოვალეობაში შედიოდა.

დავალების მიღების შემდეგ, უხუცესობა სოფლის საამოსთან ერთად ადგენდა და იწვევდა ნაცნობ-მეგობრების და მოკეთეების იმ ჯგუფს, რომლებიც **“თავმოტირალის”** გულშემატკივრები იყვნენ (მოწვეული კონტიგენტი არ იყო განსაზღვრული, რადგან ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ არა მარტო სოფლიდან არამედ სოფლისა და რაიონის გარეთაც კი).

“თავტირილის” მომწყობი არანაკლებ 75 წელს გადაცილებული მოხუცი უნდა ყოფილიყო.

“თავტირილი”, როგორც რიტუალური სახეობა, მეტად საინტერესო და მიმზიდველი ტრადიციით აღიქმებოდა, რომელიც სინამდვილეში შორს იდგა გლოვასთან, არადა პირიქით შეიძლება ითქვას, რადგან ამ შემთხვევაში პროცესიის მონაწილეთა შორის ადგილი ჰქონდა საზეიმო მსვლელობას, რომელსაც ცხენანჯობის უბადლო დემონსტრირება ახლდა სიმღერათა და ცეკვა-თამაშით, ამდენად იგი იმპროვიზირებული სახით უფრო თეატრალურ სანახაობას წარმოადგენდა, ვიდრე ტირილს და გლოვას.

თვითონ **“თავტირილის”** მომწყობი პიროვნება ადრიდანვე იჭერდა თადარიგს და იმისდა მიხედვით თუ რამდენი კაცის მოსვლა იყო მოსალოდნელი **“თავტირილში”** მონაწილეობის მისაღებად, ოჯახურ პირობებში ინახავდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს, ღვინოს, პურს, ღმისღომს და ეს ძირითადი ხორაგი ზომაზე მეტად ჰქონდა მომარაგებული, რათა ამ საინტერესო დღეს მოზღვავებულ სტუმარ-მოტირალთ პურ-მარილი არ მოჰკლებოდათ.

“თავმოტირალი” ყოველდღე ელოდა შემცხადებელს. ამ შემთხვევაში შემცხადებელი უეჭველად მამაკაცი უნდა ყოფილიყო (**”თავტირილში”** ქალები მონაწილეობას საერთოდ არ ღებულობდნენ თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ წვრილმან საქმეს).

დათქმულ დღეს შორეული და ადგილობრივი **“მომტირალნი”** მინიშნებულ ადგილზე (სოფლის შუაგულში) მოიყრიდნენ თავს და უხუცესთა წინამძღოლობით გაემართებოდნენ **“თავმოტირალის”** ოჯახისაკენ. მოწინავე ჯგუფის შუაში იდგა შემცხადებელი მამაკაცი, რომელიც **“თავმოტირალის”** სახლიდან 250-300 მეტრის დაშორებით იწყებდა ქალურად კივილს.

როდესაც **“თავმოტირალი”** გაიგონებდა კივილს და დაინახავდა პროცესიას, რომელიც მისი სახლისაკენ მოემართებოდა, წესრიგში მოიყვანდა ჩაცმულობას და უკვე ეზოში შემოსულ **“მომტირლებს”** თვითონაც რამდენიმე კაცი ხეზე ასული ზევიდან არეკვდა მოსათხრელ მცენარეს, ნაწილი კიდევ ძირიდან ძალაყინებისა და სხვა საშუალებებით ეხმარებოდა. საინტერესო საყურებელი იყო, როდესაც ამდენი მისეული ხალხი გულიანად აწვებოდა ასწლოვან მოსათხრელ ხეს და ხორხოცითა და გამამხნევებელი შეძახილებით თუ როგორ გლეჯდნენ მას ძირ-ფესვიანად (ნაჯახის ან რკინის სხვა იარაღის ხმარება ხის მოსათხრელად იკრძალებოდა).

საბოლოოდ უშველებელი მოთხრილი ხე **“თავმოტირალის”** მითითებით, რომელიც მას წინდაწინ ჰქონდა მონიშნებული, ღელეზე თუ მოზრდილ ნაკადულზე, იქ სადაც კოლხური კოკისპირული წვიმებისაგან (მეგრულად – **“ხელერდი”**) უმეტეს შემთხვევაში გაუვალი ხდებოდა, ბოგირად უნდა გაედვათ. საბოგირედ შერჩეული ადგილი ტრადიციის მიხედვით მეტწილად ქვრივ-ობოლის საცხოვრებელ კარ-მიდამოსთან ახლოს უნდა ყოფილიყო და ეს ბოგა-გადასასვლელი, ადგილობრივ მცხოვრებთათვის, თუ მუდმივად არა, დიდი ხნის მანძილზე მის სახელს ატარებდა.

უნდა ითქვას, რომ ადრინდელ სამეგრელოში წესად იყო შემოღებული, როდესაც ახალშობილის დაბადების აღსანიშნავად – ბიჭი იქნებოდა ის თუ გოგო, – აუცილებლად ირგვებოდა მაგარი ბულზე მჯიღის ცემით და მოთქმით მიეგებებოდა. ორივე მხრიდან იმიტირებული მოთქმა-ტირილი დაახლოებით 10-15 წუთი გრძელდებოდა, შემდეგ ნაცნობ-მეგობრები გადაეხვეოდნენ **“თავმოტირალს”** და ოდიშურად მარცხენა მკერდზე ამბორის შემდეგ ერთმანეთს მოიკითხავდნენ.

სტუმრებთან მოკლე გასაუბრების შემდეგ მეზობელი მამაკაცები შეუდგებოდნენ საზეიმო სუფრის მომზადებას.

უხუცესი სტუმარ-შემცხადებელნი და მასპინძელ-თავმოტირალი ხის ჩრდილში დაჯდებოდნენ სამასლაათოდ, ხოლო ახალგაზრდობა ჯირითითა და ცეკვა-თამაშით ერთობოდა.

საზეიმო სუფრის გაშლამდე სტუმრები, რომლებიც ეზოში ან მის მიმდებარე მინდორზე, ჯირითი და ცეკვა-თამაში ჰქონდათ გამართული, უხუცესის ნიშნის მიცემისთანავე ეზოში იყრიდნენ თავს, სადაც უნდა დაწყებულიყო **“სამგლოვიარო”** რიტუალის თავისებურად დამაგვირგინებელი პროცესია, რაც იმას ნიშნავდა, რომ **“თავმოტირალის”** კარ-მიდამოში მაგარ-ფოთლოვანებიდან, მუხა ან იფანის ჯიშის ხე, რომელიც რამდენიმე ათეული წლის იქნებოდა, ძირფესვიანად უნდა მოეთხარათ. ჯიშის ხე, რომელსაც ძველ-კოლხური გაგებით საღვთო-რიტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ფაქტიურად ამით მთავრდებოდა ძირითადი ნაწილი ამ უცნაური, მაგრამ უნიკალური და საინტერესო ტრადიციის – **“თავტირილის”** თეატრალიზირებული გათამაშებისა, რომელიც სოფელსა და ოჯახს დიდი ხნის დასამახსოვრებელ ამბავად რჩებოდა.

იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე ორიოდე საათით ადრე იწყებოდა ლხინი. მართალია ამჯერად სუფრა მეგრული კერძების მრავალფეროვნებას მოკლებული იყო, მაგრამ ტაბაკზე უხვად იყო მოხარშული საქონლისა და თხის ხორცი, პური, ღმისღომი, სულგუნი, მარილში დანაყული წითელი პიმპინელი, სხვადასხვა სახის საწებელი, შესაძლებლობისდაგვარად – ხაჭაპური. სასმელებიდან: ხილის არაყი, ლაკადური ან იმერული სურნელოვანი ღვინო. თითოეულ მაგიდის წევრს, გარდა იმისა, რომ სუფრაზე მომეტებულად ეწყო ხორცეულობა, ჩვეულებისამებრ მიართმევდნენ, საკუთრივ, ეერეთწოდებულ **“თიას”** (ულუფას) **“წკირთან”** ერთად (წკირს წკნელისაგან გამოთლილ შამფურს უძახიან). **თია** დაახლოებით ერთ კილოგრამზე მეტი წონის მოხარშული ხორცი იყო, რომელიც, როგორც წესი, სუფრის დამთავრების შემდეგ სახლში დაბრუნებულ სტუმარს თან უნდა წაეღო საგზლად.

ქეიფი და დროს ტარება გვიან ღამემდე გრძელდებოდა. სიტყვამ მოიტანა და მინდა ერთ ფრიად თავისებურ წეს-ჩვეულებასაც გავუსვა ხაზი. საქმე იმაშია, რომ ქორწილის ტრადიციით მაყრის ჩარჩენა სიძის ოჯახში, როგორც იტყოდნენ, თავის მომჭრელ სირცხვილად ითვლებოდა და ამით მთელი მაყრიონიც ილანძღებოდა, ხოლო უზომოდ მთვრალს **“ნოხაშერც დინოსქილადირც”** (ნახარშში ჩარჩენილს) უწოდებდნენ. გამოსავალი ის გახლდათ, რომ ქორწილის დამთავრების შემდეგ, მაყარს – როგორი მთვრალიც არ უნდა ყოფილიყო, როგორმე უნდა შეძლებოდა ცხენზე შეჯდომა და სიძის ოჯახიდან გაღწევა ერთი კილომეტრით მაინც.

“თავტირილის” პირობებში სულ სხვა სურათს ვხედავთ, როცა სტუმრისთვის აუცილებელი იყო **“თავმოტირალის”** ოჯახში მეორე დღემდე დარჩენა. მეორე დღეს დილადანვე, რომელსაც **“თავმოტირალთან”** გამოსათხოვარ სუფრას უწოდებდნენ, უხუცესები კოლხური რიტორიკით ამშვენებდნენ ამ უნიკალური პროცესიის ჩატარებას. სტუმარ-მასპინძელთა ზომიერი დალევის შემდეგ, დიდი მოწიწებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს და კმაყოფილნი უბრუნდებოდნენ საკუთარ სახლ-კარს.

ბოლოს მინდა აღვნიშნო: „თავტირილში”, „თავმოტირალის”, მისი ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავ-მოკეთეთა მხრიდან თავისებური შინაარსი იყო ჩადებული, რაც ამ „თავმოტირალის” სურვილის ასრულებას ნიშნავდა – სიცოცხლეშივე ეხილა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მისი აღსრულების ჟამს მისი ოჯახის მწუხარებას გაიზიარებდა.

მართლაც, ამ რიტუალის სიღრმეში მნიშვნელოვანი თვალთახედვაა მოცემული, სადაც **“თავმოტირალისა”** და მისი ჭირისუფლის ნება-სურვილია გამოხატული, როდესაც ფაქტიურად საზეიმო ვითარებაში ტარდება **“სამგლოვიარო”** მსვლელობა და მას თეატრალიზირებული სანახაობის სახე აქვს მიცემული.

ეს პროცესია წინ უსწრებს ოჯახისათვის საყვარელი – უხუცესის ხვალინდელი დღის იმ გარდაუვალ მოვლენას, რაც ბუნების უცვლელი კანონით გარდაცვალების სახით უნდა აღსრულდეს. მეორე მხრივ, რიტუალის მოსურნე სახალხოდ ჩატარებული იმპროვიზირებული გლოვით, ჭირისუფალს და ნათესავ-მოკეთეთა გარემოცვას გარკვეულწილად უადვილებს მოსალოდნელ სულიერ სიმძიმეს, საპატიო ადამიანის დაკარგვის გამო და ამით ოჯახს ზომიერი მწუხარების გარემოში აქცევს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (ᲮᲣᲢᲐ) ᲮᲣᲤᲔᲜᲘᲐ

ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚ ᲘᲡᲚᲐᲛᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ – ᲯᲘᲰᲐᲗ ᲐᲜ ᲜᲣᲡᲠᲐ

სირია-ერაყის ტერიტორიაზე არსებულ ჯიჰადისტური ბანაკის ერთ ერთი მთავარი მოთამაშის **“ჯიბჰათ ან ნუსრის”**, ანუ **“გამარჯვების ფრონტის”** მხარდაჭერამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ორი ყველაზე ძლიერი ჯიხადისტური მოძრაობის **„ალ ქაიდასა“** და **“ისლამისტური სახელმწიფოს”** დაპირისპირებაში.

მოძრაობა დაარსდა 2011 წლის ბოლოს, მასში გაერთიანდნენ **“ისლამისტურ სახელმწიფო ერაყში”** შემავალი სირიელები, რომლებმაც გადაწყვიტეს სირიაში დაბრუნება, სადაც ახალი დაწყებული იყო ფერადი რევოლუციის ერთ ერთი სერია და, ასევე, სადამ ჰუსეინის არმიის ყოფილი ოფიცრები. ბოევიკების მიზანს წარმოადგენდა სახალხო პროტესტების ისლამიზაცია, სირიის რადიკალურად განწყობილი ელემენტების კონსოლიდაცია და სირიის ტერიტორიაზე ისლამური ხალიფატის შექმნა.

ᲯᲐᲭᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ფაქტობრივად **“ისლამურმა სახელმწიფომ ერაყში”**-ს ხელმძღვანელობამ სირიაში შექმნა თავისი ფილიალი, რომელმაც ელვისებურად მოიპოვა იქ გავლენა. ამას ხელი შეუწყო შეიარაღებულ ოპოზიციაში მზარდმა ექსტრემისტულმა განწყობამ და იმანაც, როდესაც შიდა კონფლიქტი სირიაში ის ის იყო იქოქებოდა, ხოლო ამ კონფლიქტის მთავარი სპონსორები და იდეოლოგები სახელმწიფო დეპარტამენტიდან უარს ამბობდნენ სამხედრო მოქმედებებში პირდაპირი მონაწილეობა მიეღოთ. ერთი წლის შემდეგ **“ჯიბჰათ ან ნუსრას”** მხარეს, რომლის სათავეშიც აბუ მუჰამედ ალ-ჯულანი ჩაუდგა, უკვე იბრძოდა რამდენიმე ათასი ბოევიკი, მათ შორის სხვადასხვა არაბული ქვეყნიდან, ხოლო ტერიტორიულად მოიცვა მთელი აღმოსავლეთ სირიის პროვინციები. **“ან ნუსრის”** სტრატეგია ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაცია და მისი კეტილგანწყობის მოპოვება იყო, რომელიც აიმან აზ ზაჰარის 2014 წლის ივლისის დერექტივას პასუხობდა, რომელიც ორგანიზაციას ადგილობრივ მოსახლეობასთან და ასადის წინააღმდეგ მებრძოლი სამხედრო დაჯგუფებებთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ

იმ გამოცდილებით, რაც მიიღეს ერაყში, **“ჯიბჰათ ან ნუსრას”** ხემძღვანელობამ ააშენა ახალი წევრების და ფინანსების მოზიდვის ურთულესი სისტემა. კონტროლირებად ტერიტორიაზე შემოიღეს შარიათი და დაიწყეს გადასახადების ამოღება. მაგრამ ასევე შექმნეს სპეციალური ორგანო, რომელიც სურსათის განაწილებას, ელექტრო ენერგიის მიწოდებას და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასებს არეგულირებდა. **“ჯიბჰათ ალ ნუსრას”** მის მიერ სოციალური კუთხით გაკეთებულმა ნაბიჯებმა მოუპოვა პოპულარობა არა მარტო მოსახლეობაში, არამედ ბაშარ ასადის ოპოზიციის სხვადასხვა შეიარაღებულ ჯგუფებში. ეტაპობრივად მოხდა ორგანიზაციის **“სირიიზაცია”** და ღღევანდელ დღეს ის მთლიანად სირიულლევანტური გახდა. ხოლო მისი ხელმძღვანელი ძირითადად სალაფიტური ჯიჰადიზმის მოწინავე თეორიტიკოსის – აბუ მუსაბა ას-სურის შრომებს ეყრდნობა, რომელსაც სამი ფუნდამენტალური პოსტულატი აქვს:

1. მუსულმანური სისხლის სიწმინდე, გინდაც ის ცოდვილი იყოს და გინდაც დანაშაული ქონდეს ჩადენილი; (**„კუფრის“**: ურწმუნოების, ჯადოქრობის, მრავალღმერთიანობის, თვითმკვლელობის შემთხვევის გარდა);
2. სასჯელის აღსრულება შარიათის დამყარების შემდეგ. (აქტუალურია მესამე პუნქტის აღსრულების შემდეგ).
3. მუსულმანური მიწებიდან ყველა არამუსულმანის და მოწინააღმდეგის განდევნა;

ას-სური-მ ასევე შემოიღო **“ინდივიდუალური ჯიბჰათ”**-ის მეთოდი. ეს მეთოდი ითვალისწინებს როგორც **“მარტოხელა მგლების”, ასევე** ინდივიდუალური ჯიჰადის, მომხრეთა გააქტიურებას, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად. ასევე შეიქმნა მოძრაობა **“სარაია”** (ინდივიდუალური ბრიგადები, ჯგუფები), რომელიც არის ქმედებათა სისტემა და მოიცავს იდეოლოგიურად იდენტური დამოუკიდებელ, მობილურიჯგუფებს და ისინი პერმანენტული ზეწოლას ახორციელებენ მოწინააღმდეგეზე.

ას-სურის სწავლებით, ის ხალხი, რომლებიც, ასე თუ ისე დაკავშირებულია ისლამურ სამყაროსთან, მაგრამ რაღაც დონით დაცილდნენ ჭეშმარიტ ისლამს, უნდა დაიმოძღვრნონ, შემობრუნდნენ სწორ გზაზე და შეინარჩუნონ ძალა.

ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ

“ჯიბჰათ ან ნუსრას” დაფინანსება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებიდან, მაგრამ ძირითადი დაფინანსება შემოდის საზღვარგარეთიდან – კერძოდ, კატარიდან და აშშ-დან, რომელიც ე.წ. ბ. ასადის მოწინააღმდეგე ზომიერი ოპოზიციის დახმარების ხაზით იგზავნება სირიაში. პატარ-პატარა დოზით, ისინი, ასევე ჩართული არიან თურქეთის პრეზიდენტის შვილის სარაია ერდოგანის მიერ ორგანიზებულ სირია-ერაყის ტერიტორიიდან ნავთობის კონტრაბანდის, ასევე ბამბის და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ბიზნესში.

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ

სირიის დანაყოფის წარმატების შემდეგ, 2013 წლის 4 აპრილს, აბუ ბაქარ ალ-ბაგდადიმ გამოაცხადა მისი დახურვა და მათი გაერთიანება **“ისე”**-ში (ისლამური სახელმწიფო ერაყში), რამაც საფუძველი დაუდო ახალი ცენტრის – **“ისლამური სახელმწიფო ერაყსა და ლევანტეში”**, შექმნას, რომელიც აკონტროლებდა სირია-ერაყის საზღვარს და მასთან ერთად მთელი იარაღის, კონტრაბანდის და ბოევიკების ნაკადს. ამ და სხვა საკითხებზე უთანხმოებების გამო, უარი თქვა რა დაქვემდებარებოდა ალ-ბაგდადის ბრძანებას, ალ-ჯულანიმ, ა.ზავახარის (ბენ ლადენის შემცვლელი) მისცა ერთგულების ფიცი, რომელიც იმ დროს ალ-ბაგდადის მოკავშირედ ითვლებოდა რეგიონში. თავის მხრივ აზ ზავახარი შეეცადა **“ჯიბჰათ ან ნუსრა”**-ს და **“ისელს”** შორის გაჩენილი წინააღმდეგობების დიდი დაძაბულობა შეენელებინა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ამას, საბოლო ჯამში, 2014 წლის ივლისში, მოჰყვა სირიული რადიკალური დაჯგუფების პრაქტიკულად მთლიანად შევიწროება თავიანთი პოზიციებიდან, რამაც იძულებული გახადა **“ან ნუსრას”** ხემძღვანელობა სირიის მხოლოდ დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებისკენ გადაბარგებულიყო.

აღნიშნულმა სტრატეგიულმა ქმედებამ **“ან ნუსრას”**საშუალება მისცა შეენარჩუნებინა ორგანიზაციული სტრუქტურა და, ასევე, მნიშვნელოვანი სამხედრო პოტენციალი. ამან კი მას ბ. ასადის სამთავრობო ჯარებთან და მისი მოკავშირე ლიბანური შეიარაღებული ორგანიზაციის **“ჰეზბოლა”**-ს წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება მისცა. ამავდროულად, **“ან ნუსრას”** ბოევიკები ერიდებიან **“ისლამურ სახელმწიფოს”** მებრძოლებთან პირდაპირ შეჯახებას, რომლებიც მოქმედებენ როგორც სირია-თურქეთის საზღვარზე, ასევე დამასკოს მისადგომებთან. ის კი არა, ბოლო ხანებში, ალ-ჯულანის მხრიდან აბუ ბაქარ ალ ბაგდადის მისამართით, კონფრონტაციის შეწყვეტის მცდელობა შეიმჩნევა, რაც **“ჯიბჰათ ან ნუსრის”** ემირების სალეჰ ჰამის და აბუ მარია ალ-კაჰტანის გადაყენებაში გამოიხატა, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავის მტრული დამოკიდებულებით **“ისლამური სახელმწიფოსადმი”**. ასევე, 2015 წლის აგვისტოში **“ან ნუსრას”** მებრძოლებმა დატოვეს პოზიციები ალეპოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც მდებარეობდა უშუალოდ **“ისლამური სახელმწიფოს”** სამხედრო ფორმირებების მოქმედების ზონის სიახლოვეს. ასეთი ქმედებები გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ გავლენისთვის ბრძოლა **“ჯიბჰათ ან ნუსრას”** და **“ისლამურ სახელმწიფოს”** შორის სავარაუდოდ **“ისელ”**-ის სასარგებლოდ გადაწყდება.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲪᲐᲐᲕᲐ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალაღანიას

რა უსიამოვნებები ჰქონდა პირად ცხოვრებაში მიხეილ მესხს

დიდი საბჭოთა ფეხბურთელი **მიხეილ მესხი** *79 წლის გახდებოდა*

იგი საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ და საქართველოს მეოცე საუკუნის **„საოცნებო გუნდის"** წევრად დაასახელეს. თავის დროზე არც ტელევიზიას და არც სხვა მედიასაშუალებებს არც ერთი ეპითეტი და შედარება არ დარჩენია, რომ მიხეილ მესხისთვის არ მიეძღვნა. ნებისმიერი მწვრთნელი ნებისმიერ გუნდში სიხარულით მიუჩენდა ადგილს და ნებისმიერი სტადიონის მაყურებელი ინატრებდა, საკუთარი თვალით ენახა მიხეილ მესხის ოსტატობა.

მიხეილ მესხი დიდ ფეხბურთში ჭიდაობიდან მოვიდა. არ იქნებოდა მესხი — ფეხბურთელი, რომ არ ყოფილიყო ჯემალ შენგელია, ჭიდაობის სექციაში ვარჯიშის დროს ხელი რომ მოსტეხა მიშას. ეს შემთხვევა რომ არა, ის ჭიდაობას გაჰყვებოდა და, ალბათ, ვერასოდეს ვნახავდით მიხეილ მესხს სტადიონზე.

მესხი ვერ ეგუებოდა მორჩილებას, ერთობ **„მოუხელთებული"** იყო. ნაადრევად შეწყვეტილმა კარიერამ, რაც ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მარტოსულად აქცია იგი. ცხოვრებამ მძიმე დაღი დაასვა მის ვაუს – მიშიკოსაც. ადრე დასრულდა მისი საფეხბურთო კარიერაც და ადრე წავიდა ამ ქვეყნიდანაც. დიდი ფეხბურთელის პირველი მეუღლე და უმცროსი მიშა მესხის დედა, ჯენეტა ბოლღაშვილი ფეხბურთელის ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ლამაზ პერიოდზე – სიყვარულზე გიამბობთ.

„მე რომ სკოლის გამოცდებს ვაბარებდი, მიშა უკვე „დინამოში" თამაშობდა. ჩვენი ოჯახები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, ამდენად, ჩემთვის ეს ადამიანი უცხო არ იყო. ჩვენ საკუთარი სახლი გვქონდა. ერთხელ ჩემი და ეზოში კლასობანას თამაშობდა, მიშა რომ მოვიდა. რუსთაველის თეატრში ჩვენი დაჯილდოების ცერემონიალი იქნება და მოვედი შენ და შენი ძმა დაგპატიჟოთო. დედაჩემიც არ შეწინააღმდეგებია, რადგან, ძალიან სერიოზული ყმაწვილი იყო – არც იცინოდა, არც ლაპარაკობდა, ორ სიტყვას ძლივს ამბობდა. მას შემდეგ ჩვენთან მოსვლას მოუხშირა, მაგრამ მე აბსოლუტურად არაფერს მეუბნებოდა. უმრავლეს შემთხვევაში „სბორებზე" იყო წასული.

უცხო ენებზე ვაბარებ და გამოცდებისთვის ვემზადები. გაიგო, რომ ინგლისურში მეცადინეობას ვაპირებდი. მოვიდა და შემომთავაზა, ძალიან კარგ მასწავლებელთან წაგიყვანო. ჩემთან ყოფნის საბაბი არ ელეოდა, საიდან სად მატარებდა ფეხით – თბილისში იშვიათად ვარ და ფეხით სიარული მიყვარსო. მეც მომწონდა, რადგან, ცოტა მონატრებული ვიყავი სიარულს – ასე ადვილად არ მიშვებდნენ ხოლმე სახლიდან. მერე გერმანიაში წავიდა. რომ დაბრუნდა, ჩვენთან მოვიდა – რაღაც ჩამოგიტანე და, ხომ არ გეწყინება, რომ მოგცეო. რატომ უნდა მეწყინოს-მეთქი. ულამაზესი ოქროსფერი კაბა და იმავე ფერის ჩანთა ჩამომიტანა სკოლის ბანკეტისთვის.

ეს იყო მისი პირველი საჩუქარი. ერთხელაც, დედაჩემი და მამაჩემი მამიდასთან იყვნენ. მამიდამ ყველაფერი იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ, მე და ჩემმა მშობლებმა არაფერი ვიცოდით. ამ ბიჭს რომ უყვარს ეს გოგო ვერ ამჩნევთო? – უთხრა მათ. გადარეულან ჩემები. დედას უთქვამს, მისი ფეხი აღარ ვნახო ჩვენს სახლში, ფეხბურთელს შვილს ვერ გავატანო.

ჩავაბარე გამოცდები, ბანკეტიც მქონდა, ყველაფერი, მიშა კი არ ჩანს. ისე ვიკითხე – ნეტავი, ეს ბიჭი სად დაიკარგა, ცოლი ხომ არ მოიყვანა-მეთქი. დედაჩემმა მითხრა: სულ შენთვის სცალია მიშას. იმდენი გოგო ეხვევა თავს და, იმის დრო აქვს, აქ იაროსო?! დეიდაჩემი ჩვენს მახლობლად ცხოვრობდა. მისი ქმარი ფეხბურთის დიდი მოყვარული იყო და სულ სტადიონზე დადიოდა. ერთ დღეს, მათთან ვარ სახლში. ბიძაჩემი შემოვიდა და მეუბნება: მიშამ დამაბარა, ხვალ სამ საათზე, რუსთაველზე, „ბორჯომის წყლებთან" ველოდებიო. ავფორიაქდი. ვფიქრობ, რა ვქნა. მივედი მამიდაჩემთან და ვეკითხები: მიშას დავუბარებივარ ხვალ „ბორჯომის წყლებთან" და რა ვქნა-მეთქი. წადიო. მივედი. გამომკითხა, რას შვრები, როგორ ხარ, როგორ მიდის შენი სწავლის საქმეებიო. მერე მითხრა, ვინმე რომ შეგიყვარდეს და შენს მშობლებს არ უნდოდეთ, რას იზამო. გამუდმებით ამას მეკითხებოდა. მე ვუთხარი: ქურდი და უხეირო არ შემიყვარდება და რატომ არ უნდა უნდოდეთ-მეთქი. ხვალ პარიზში მივდივარ და ისე ვერ წავიდოდი, რომ არ მენახეო. გავიდა დრო. გოგონებთან ერთად ქუჩაში ვდგავარ, ჩემს სახლთან. გაჩერდა მანქანა, გადმოვიდა მიშა. მე არც დამელაპარაკა, პირდაპირ სახლში შევიდა და დედაჩემთან მოვიდა ჩემი ხელის სათხოვნელად. ასე რამდენჯერმე მოვიდა და უარით გაისტუმრეს. მერე ნათესავები ჩაერივნენ. დედაჩემმა მითხრა: მასთან ერთად ასე სიარულს, ჯობია, გაჰყვეო. ახლა ვფიქრობ, რომ ამ ორი ადამიანის მსხვერპლი გავხდი. არ მინდოდა გათხოვება, ჯერ არ ვიყავი ამისთვის მზად, თუმცა, არც მიშას დაკარგვა მინდოდა.

შემეძინა მიშიკო, შემდეგ გაჩნდა მაკა. ვერ ვიტყვი, ვეჭვიანობდი-მეთქი, იმიტომ, რომ მართლა ძალიან ვუყვარდი. თუკი შეიძლებოდა, რომ მისი მხრიდან კიდევ ერთი ადამიანი ყოფილიყო იქ, სადაც თვითონ იყო, ყოველთვის თან მივყავდი. ჩემ მიმართ ძალიან ყურადღებიანი იყო. ისეთ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, რომ ყოველდღე მქონდა ლექციები. ის სულ შეკრებებზე იყო წასული, მე კი დღის დასწრებულზე ვიყავი და, აღარ ვიცოდი, რა მექნა, ორი ბავშვით სად წავსულიყავი. ბავშვებს დედაჩემს მივუყვანდი და მაშინვე ინსტიტუტში მივრბოდი. მერე წამოვიყვანდი, დილით კი ისევ დედაჩემთან მიმყავდა... თან, სულ წიგნი მეჭირა ხელში და გადავიღალე. ამან დიდი როლი ითამაშა ჩვენს პირად ცხოვრებაში. მერე „დინამოდან" გამოუშვეს. მაშინ 29 წლის იყო. შეიძლება, რომ არ ეთამაშა, ჩვენი ცხოვრება სხვანაირად გაგრძელებულიყო. მძიმე, თავისებური ხასიათი ჰქონდა. სხვათა შორის, 60-იანი წლების ფეხბურთელები ნამდვილი რაინდები იყვნენ – ხალხის სიყვარულის გარდა არაფერი გააჩნდათ. არანაირი პირობები არ ჰქონდათ, მაგრამ, მაინც ენთუზიაზმით თამაშობდნენ. თავს იკლავდნენ, ისე თამაშობდნენ; საქართველო მსოფლიოში გაგონილიც კი არ ჰქონდათ და ბიჭებმა შეძლეს, ქვეყნის სახელი საზღვრებს გარეთ გაეტანათ. „მტკვრისპირელი მესხი და გარინჩა" – ასე მოიხსენიებდნენ უცხოეთში. მერე ჩვეულებრივად ცხოვრობდა და ჩვენი უსიამოვნებაც აქედან დაიწყო. ყველაფრის ატანა შეიძლებოდა, ფეხბურთიდან რომ არ გამოეშვათ. დიღომში სახლს აშენებდა. ბევრი გავლენიანი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც მშენებლობაში ეხმარებოდნენ. პარალელურად, ფეხბურთის სკოლას – „ავაზას" აშენებდა. ამის გამო მე და ბავშვებს ბევრი რამ მოგვაკლდა. დღეს კი „ავაზა" „ვისოლს" დარჩა. ათი წელი ვიცხოვრეთ ერთად და დავცილდით. ბოლოს პრობლემები რომ გვქონდა, ამბობდა: დიღომში ვიცხოვრებ, ძაღლები მეყოლება და ცოლს აღარასოდეს შევირთავო. მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ მარტო იცხოვრებდა, თუმცა...

სულ ქეიფი, ქეიფი... აღარ მთავრდებოდა. ასე დაამთავრებინეს კარიერა. ერთია, როცა სკოლის დირექტორი ხარ და მეორეა, როცა მოედანზე გამოდიხარ და ამდენი ხალხი ტაშს გიკრავს. აღარ მინდა ის ადამიანები დავასახელო, მაგრამ, პირდაპირ, შემოჩენილები ჰყავდა, არადა, იცოდნენ, რომ სახლში ამის გამო უსიამოვნება გვქონდა. მერე ბოდიშებს მიხდიდა, აღარ დავლევო, თუმცა, მაინც იგივე ხდებოდა.

ჩვენი ვაჟი, მიშიკო, სამ ფილმშია გადაღებული. ძალიან ლამაზი ბავშვი იყო. ნანა მჭედლიძეს მოეწონა და ორ ფილმში გადაიღო („დიდედები და შვილიშვილები" და „ბელა"). შემდეგ რეზო ჩხეიძემ მიიწვია „ნერგებში". მერე ისე მოხდა, რომ ფეხბურთი აირჩია. სხვათა შორის, მამამისი ამბობდა, ჩემზე უკეთესი მონაცემები აქვს და მაგარი ფეხბურთელი იქნებაო. არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცას მესხები თვალში არ მოსდიოდა – მამამისიც ნაადრევად დაითხოვეს და ჩემი მიშიკოც არ დააყენეს. „სპარტაკში" წავიდა სათამაშოდ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ჩამოიყვანეს და ისევ სათადარიგო სკამზე დასვეს..."

უმცროსი მიშა მესხი გულის შეტევით გარდაიცვალა. მას დარჩა მეუღლე, ქალიშვილი და ვაჟი – მსახიობი მიშა მესხი.

ეკა პატარაია

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

გამოვიდა ჟურნალ „აია"-ს მომდევნო ნომერი (№19), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი ბიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო"-ს წარმომადგენლობაში.

ტელ. 238-03-11

ჟურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩაღგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 593-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge